

კომუნიკაციების
კომისია

წლის

2025

ანგარიში

სარჩევი

გოგა გულორდავა - კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე	4
5G-ის განვითარება საქართველოში	6
მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ხარისხის მონიტორინგი	6
ქვეყნის ინტერნეტიზაცია და ციფრული ნივთიერება	7
თელეკომ ბაზრის კომპლექსური კვლევა	10
IP პირინგისა და IXP-ის განვითარების კვლევა	13
მობილურ და ფიქსირებულ ინტერნეტზე გავრდილი ფასის მოკვლევა	14
თელეკომ სექტორის განვითარების ტენდენციები	15
მაუწყებლობის დარგის განვითარების ტენდენციები.....	64
მედიის გამომწვევები: ყალბი ინფორმაცია, ფაქტისა და მოსაზრების აღრევა	72
სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის გამომწვევები - Product Placement	73
წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგი	74
ფასიანი და უფასო კოლიტიკური რეკლამის ანალიზი	75
რადიოების განვითარების ახალი გეგმა	76
მედიანივთიერების განვითარება	77
მედიანივთიერების ინტეგრირება ზოგად განათლებაში	77
კონკურსი „მედიანივთიერების ოლიმპიადა“	78
კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?“	79
„გამარჯობა, რუბი“ - პროგრამირების სახელმძღვანელო	80
მედიანივთიერების ინტეგრირება უმაღლეს განათლებაში	81
კონკურსი „გახდი მედიანივთიერების მკვლევარი“	82
მედია და ინფორმაციული ნივთიერების კვირეული	83
„მედიანივთიერების გლობალური ჰაკათონი“	84
მედიანივთიერების ეროვნული კლათფორმა	85
მედიაკადემია	86
საერთაშორისო თანამშრომლობა	90
ორმხრივი კარტინორობა	96


დანიშნულება

კომუნიკაციების კომისიის სტრუქტურა
 კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი
 მომხმარებელთა მომართვიანობის სტატისტიკა
 ლიცენზირება და ავტორიზაცია, თანხმობა წილები და აქტივების გასხვინებაზე
 რადიოსიხშირული სექტორის განაწილების ეროვნული გეგმა და თავისუფალი სიხშირული რესურსი
 კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები
 კომუნიკაციების კომისიის მიერ განხილული დავები
 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება
 სასამართლო დავები (გათ შორის, ადმინისტრაციული საგარეულდარღვევები)
 აუდიტის დასკვნა



გოგა გულორდავა

კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე



დღეს ჩვენ თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ეპოქაში, სადაც ტელეკომ სექტორის, მაუწყებლობის სფეროსა და მედიაინჟინერების განვითარებას, იმაზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოდესმე. კომუნიკაციების კომისია, რომელიც სწორედ ამ სამი უმნიშვნელოვანესი სფეროს უწყვეტ განვითარებაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყებაა, გააკეთებს მაქსიმუმს იმისთვის, რომ ქვეყანაში გაგრძელდეს და კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა, იზრუნებს მაყურებლის, საზოგადოების ინტერესებზე და მაუწყებლობის სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე, ასევე, ციფრული სამყაროს გამონწვევებთან გასამკლავებლად, განავითარებს და გააძლიერებს ქვეყანაში მედიაინჟინერებას.

თანამედროვე სამყაროში, შესაძლებლობების გაზრდასთან ერთად, გამონწვევაც ბევრია. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გამონწვევა გვაქვს დღეს მაუწყებლობის სფეროში. მედიას, ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად, ფუნდამენტური სოციალური დანიშნულება აქვს, რასაც თან დიდი პასუხისმგებლობა ახლავს. გამომდინარე იქიდან, რომ მედიას საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, აუცილებელია დაიცვას კანონი და ჟურნალისტური სტანდარტები იმისთვის, რომ მაყურებელსა და ჩვენს საზოგადოებაზე ნეგატიურად არ აისახოს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს მტკიცე გადაწყვეტილებით, ქვეყანაში გარანტირებულია მედიაპლურალიზმი და სიტყვის თავისუფლება. ამაზე მედიის მრავალფეროვნება და მაუწყებლების რაოდენობაც ნათლად მეტყველებს. მედიაპლურალიზმის პარალელურად, ბოლო წლებია, მედია ფუნდამენტური გამონწვევების წინაშე დადგა. დღეს სახეზე გვაქვს ისეთი მძიმე გამონწვევები, როგორებიცაა: დეზინფორმაცია, გადაუმონმებელი ინფორმაციის გავრცელება, პოლიტიკური და სოციალური მოვლენების მიკერძოებული, თუ პოლიტიკური კონტექსტით გაშუქება, ფაქტისა და მოსაზრებების ერთმანეთში არევა, რაც იწვევს პოლარიზებას, აგრესიისა და სიძულვილის გავრცელებას, განსხვავებული მოსაზრებების მიუღებლობას და საბოლოო ჯამში, დაპირისპირებას საზოგადოებაში, რაც საგანგაშოა და საჭიროებს მოგვარებას. სამწუხაროა, რომ პოლარიზაციის გაღრმავების პროცესში მედია

პირდაპირ არის ჩართული, ნაცვლად იმისა, რომ თავის რეალურ როლს ასრულებდეს და საზოგადოებას მიუკერძოებელ, დაბალანსებულ, ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას აწვდიდეს. პოლარიზაციისა და დაპირისპირების მკაფიო მაგალითები მრავლადაა სოციალურ ქსელებშიც, სადაც აგრესიამ და სიძულვილის ენამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია.

დებინფორმაცია, ყალბი ამბები, მანიპულაცია და მაყურებელზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენის მცდელობა, თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ქართველი მაყურებელი ამ მხრივ მუდმივად საფრთხის წინაშე დგას. მინდა სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ სახელმწიფო ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად სრულად არის მზად, როგორც საკანონმდებლო ნორმებით, ისე კვალიფიკაციითა და გამოცდილებით.

კომუნიკაციების კომისია აღასრულებს კანონს და შეასრულებს თავის მოვალეობას. ფაქტის ჭეროვანი სიზუსტე, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, არ არის მხოლოდ ქართული სტანდარტი. ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს ანალოგიური, ან უფრო მკაცრი რეგულაციები აქვს. ყველამ კარგად ვიცით, რომ პოლარიზაციის გაღვივება და აგრესიის გაღრმავება, არ არის მედიის ფუნქცია და მისია. მედიის როლი ბოლო წლებში, სამწუხაროდ, სადღაც ჩაიკარგა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული რეგულაციები, სწორედ ამ პრობლემების მოგვარებისკენ არის მიმართული. კანონისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ აღსრულებით, ძლიერდება ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების დაცვა. მაუწყებლები ვალდებული არიან მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ. პასუხისმგებლიანი მედია, რომელიც მაყურებელზეა ორიენტირებული, ჟურნალისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს, კანონის მოთხოვნის გარეშეც უნდა იცავდეს.

გამოწვევებია ტელეკომ დარგშიც, რომლის კიდევ უფრო განვითარებაც, როგორც მომხმარებლების კეთილდღეობის, ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სატელეკომუნიკაციო სერვისების მომხმარებლის სტატისტიკა ნათლად აჩვენებს, რამდენად კრიტიკულია დღევანდელ ტექნოლოგიურ სამყაროში ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა. ბოლო წლების განმავლობაში, კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომ ბაზრისთვის საჭირო ღონისძიებები გაატარა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ბიზნესის განვითარებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზანს ემსახურებოდა. თუმცა, გამოწვევები კვლავ რჩება, მათ შორის, მომსახურების ფასების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გამოყენების, ასევე, მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორებისთვის კონკურენტუნარიანობის მიმართულებით. მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ტელეკომ სექტორში მომუშავე ყველა, დიდ თუ პატარა ოპერატორთან მჭიდრო თანამშრომლობით, ერთიანი ძალისხმევით, შევძლოთ ტელეკომ სექტორის განვითარება და ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა. კომუნიკაციების კომისიამ უნდა შექმნას საფუძველი იმისა, რომ ბიზნესს თავისუფალ გარემოში ჰქონდეს მოტივაცია, განახორციელოს ინვესტიციები, იმისთვის, რომ საბოლოოდ მომხმარებელმა მრავალფეროვანი და მისთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი სერვისების მიღება შეძლოს.

და ბოლოს, კომუნიკაციების კომისია გააგრძელებს ქვეყანაში მედიაინჟინერების განვითარებას. კომისია უკვე მეცხრე წელია, განათლების სამინისტროსთან ერთად, ახორციელებს ძალიან საჭირო და საინტერესო პროექტებს, რათა პედაგოგებში, მოსწავლეებსა და მშობლებში გაზარდოს მედიაინჟინერების დონე და მისცეს მათ შესაბამისი ცოდნა და უნარები. გარდა სასკოლო საზოგადოებისა, კომუნიკაციების კომისია აქტიურად მუშაობს საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებთან. ჩვენი მიზანია ფორმალურ განათლებაში, განათლების ყველა საფეხურზე, კიდევ უფრო ეფექტიანად მოვახდინოთ მედიაინჟინერების ინტეგრირება და თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს დავეპირისპიროთ ყველაზე მძლავრი იარაღი, რასაც ცოდნა და კრიტიკული აზროვნება ჰქვია.

5G-ის გავრცელება საქართველოში

2025 წელს საქართველოში მეხუთე თაობის მობილური ინტერნეტი სამივე მსხვილი ოპერატორის აბონენტებისთვის გახდა ხელმისაწვდომი. კომუნიკაციების კომისიამ (ComCom), 5G-ის დასაანერგად, მესამედ ჩატარებულ აუქციონში, N1 კომბინირებული ლოტის გამარჯვებულად „სილქნეტი“ გამოაცხადა. აღნიშნული ლოტის საფასურმა 48 802 257 ლარი შეადგინა.

სიხშირების მოპოვებასთან ერთად, „სილქნეტი“ ვალდებულია 5G ქსელით ეტაპობრივად დაფაროს საქართველოს მჭიდროდ დასახლებული პუნქტები, ტურისტული ზონები, პორტები, აეროპორტები, რკინიგზა და ძირითადი საავტომობილო გზები. ამასთან, 5G ქსელების აგებისას, კომპანიამ უნდა იხელმძღვანელოს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ტექნიკური ნორმებით, რაც ქსელის მაღალ ხარისხსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

2025 წელს 5G-ის დასაანერგად აუქციონი სულ 11 ლოტზე იყო გამოცხადებული, რომლის ფარგლებშიც 700, 3400-3800 და 2600 მჰც დიაპაზონების სიხშირული ზოლები იყო გამოტანილი. 11 ლოტიდან ორ კომბინირებულ აბსტრაქტულ ლოტს ერთნაირი დაფარვის ვალდებულებები და ფასი ჰქონდა განსაზღვრული. ამასთან, ორივე მათგანი სიხშირული სპექტრის ორი განსხვავებული, 700 და 3400-3800 მჰც დიაპაზონის ზოლებისგან შედგებოდა და დასახლებული პუნქტების

დაფარვის ერთნაირ ვალდებულებას ითვალისწინებდა. საგულისხმოა, რომ კომბინირებული ლოტის შექმნისას MVNO-ს დაშვების სავალდებულო მოთხოვნა არ არსებობდა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ლოტს MVNO-ს დაშვების ვალდებულებით აირჩევდა, საწყის საფასურზე 20%-იანი ფასდაკლება იმოქმედებდა. „სილქნეტმა“ N1 კომბინირებული ლოტი MVNO-ს დაშვების ვალდებულების გარეშე შეიძინა.

2023 წელს, პირველად გამოცხადებულ აუქციონში, მონაწილეობა მხოლოდ „სელფი მობაილმა“ მიიღო, 2024 წელს, მეორედ გამოცხადებულ აუქციონში კი, „მათიკომმა“ გაიმარჯვა. 5G-ის ინტერნეტს საქართველოში უკვე სამივე ოპერატორი აწვდის მომხმარებელს.

5G



სელფი მობაილი მათიკომი სილქნეტი

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ხარისხის მონიტორინგი

კომუნიკაციების კომისია, ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონში, რეგულარულად ატარებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ხარისხის მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც სამივე მობილური ოპერატორის მომსახურების ხარისხი მონიტორინგდება. 2020 წლიდან მონიტორინგი 2G, 3G და 4G (LTE) ტექნოლოგიების მხარდაჭერის მქონე სისტემის გამოყენებით ტარდებოდა.

2023 და 2024 წლებში ჩატარებული რადიოსიხშირული სპექტრის აუქციონებზე მოპოვებული სიხშირების გამოყენებით, მობილურმა ოპერატორებმა აქტიურად დაიწყეს 5G ტექნოლოგიების დანერგვა და 2025 წლისთვის დაფარეს საქართველოს ძირითადი დასახლებული პუნქტები. რადგანაც კომუნიკაციების კომისიის მონიტორინგის სისტემას არ ჰქონდა 5G ტექნოლოგიის მხარდაჭერა, საჭირო გახდა ახალი სისტემის შექმნა, რომელსაც უახლესი მობილური ტექნოლოგიების მხარდაჭერა ექნებოდა.


2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ მსოფლიოში რადიო ქსელების მონიტორინგის სისტემების წამყვანი მწარმოებლის, Rohde & Schwarz-ის მობილური მომსახურებების მონიტორინგის სისტემა დანერგა, რომელიც 5G ტექნოლოგიის გარდა, ასევე 4G-ს საფუძველზე მომუშავე VoLTE ტექნოლოგიით და WhatsApp სისტემით განხორციელებული ზარების გაზომვასაც ახდენს.

მონიტორინგის სისტემა, აგრეთვე, იყენებს მომსახურების ხარისხის შეფასების ახალ, Network Performance Score (NPS) 3.0 მეთოდოლოგიას, რომელიც დაფუძნებულია ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის ETSI TR 103 559 V1.2.1 სტანდარტზე.

NPS მეთოდოლოგია ითვალისწინებს ოპერატორის ქსელისთვის ხარისხის ამსახველი ქულის გამოყვანას, რომელიც მრავალი ინდივიდუალური KPI-ს (Key Performance Indicators) გაზომვების შედეგებს ეყრდნობა.

NPS ქულის გარდა, საერთაშორისო პრაქტიკისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილია მობილური ქსელების შეფასების ძირითადი KPI, როგორებიცაა: ზარების განხორციელების სტატისტიკა, ხმოვანი და მონაცემთა სერვისების ხელმისაწვდომობა და წარმადობა, ქსელის დაფარვის გეოგრაფიული არეალი, ინტერფერენციის დონე და ა.შ.

ახალი სისტემის დანერგვა კომუნიკაციების კომისიას საშუალებას აძლევს, უფრო მრავალფეროვანი და ხარისხიანი მონიტორინგი ჩაატაროს და შესაბამისად, უფრო დეტალური და ზუსტი ინფორმაცია მიიწოდოს მომხმარებელს მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების ხარისხის შესახებ, ასევე, ოპერატორებს დაეხმაროს ხარისხის გაუმჯობესებაში.



2026 წლის გეგმა

კომუნიკაციების კომისია რეგულარულად გამოაქვეყნებს ქვეყნის მასშტაბით, რეგიონების მიხედვით ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშებს, რაც მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურებების ხარისხის შესახებ, მომხმარებლების ინფორმირებულობას შეეწყობს ხელს.

ქვეყნის ინტერნეტიზაცია და ციფრული ნივნიერება

2025 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა კვლევა, რომლის ფარგლებშიც, 2021-2024 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში მობილური და ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარეები შეისწავლა.

მობილური ინტერნეტის მომსახურების ანალიზის მიხედვით, მობილური ინტერნეტის სიჩქარეები 2024 წლის ბოლო პერიოდიდან, მკვეთრი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ComCom-ის მიერ, 5G აუქციონის სამჯერ ჩატარებითა და სამივე მსხვილი ოპერატორის მიერ 5G ტექნოლოგიის დანერგვით არის განპირობებული. შესაბამისად, მობილური ინტერნეტის სიჩქარის მაჩვენებლით, საქართველო რეგიონში ლიდერია. ამას მოწმობს ისიც, რომ მობილური ინტერნეტის მომსახურების წლიური ზრდის საშუალო მაჩვენებელმა თბილისსა და რეგიონებში, 2021-დან 2024 წლამდე - 53% შეადგინა, მაშინ, როდესაც ფიქსირებული მომსახურებების შემთხვევაში, ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 17% იყო. მსოფლიო ბანკის აღნიშნული კვლევის გარდა, Speedtest Global Index-ის 2025 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო მობილური ინტერნეტის სიჩქარით მსოფლიოში მე-14 ადგილზეა და მას ევროკავშირის მხოლოდ ორი ქვეყანა - ბულგარეთი და დანია უსწრებს. აღნიშნულ რეიტინგში 170 ქვეყნის მონაცემებია შეყვანილი.

რაც შეეხება ფიქსირებულ ინტერნეტს, მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, მიუხედავად ბოლო წლებში დაფიქსირებული პროგრესისა, საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტის დაბალი სიჩქარე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. კერძოდ, ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში ჩამოტვირთვის სიჩქარის მედიანური მაჩვენებელი, 2024 წლის ივლისის

მდგომარეობით, დაახლოებით 20 მბ/წმ იყო, მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი 150 მბ/წმ-ს უტოლდებოდა. გარდა ამისა, კვლევის თანახმად, საქართველოსთვის სიჩქარის ტესტის შედეგების 93%-მა 30 მბ/წმ-ზე დაბალი სიჩქარე აჩვენა, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი სომხეთისთვის - 80%, აზერბაიჯანისთვის - 90%, მოლდოვასთვის - 43%, ხოლო უკრაინისთვის - 74% იყო.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება, რასაც საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „ოუფენ ნეტის“ მიერ ე.წ. „თეთრი ზონების“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურით დაფარვის შედეგად, აღნიშნულ არეალებში ინტერნეტის სიჩქარეების ზრდის ტენდენცია მოწმობს.

კერძოდ, 2025 წლისთვის, „ოუფენ ნეტის“ ინფრასტრუქტურის გამოყენებით, უკვე 18 ინტერნეტ პროვაიდერი და 3 მობილური ოპერატორი აწვდის მომსახურებას 100,000-ზე მეტ მოსახლეს და 100-ზე მეტ სკოლას 14 მუნიციპალიტეტში.

გარდა ამისა, 2021 წლიდან 2025 წლამდე, აღნიშნული ლოკაციებიდან 10-ში, ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარის ზრდის მაჩვენებელი ქვეყნის საშუალო ზრდის მაჩვენებელს, რომელიც 10%-ს შეადგენს, მნიშვნელოვნად აღემატება: აბაშა - 39%, ამბროლაური - 85%, ბაღდათი - 27%, ქობულეთი - 15%, ლენტეხი - 64%, ონი - 84%, ოზურგეთი - 14%, ტყიბული - 36%, ცაგერი - 58%, წყალტუბო - 14%.

მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული ანალიზის მიხედვით, ქვეყანაში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის სიჩქარის გამოწვევებზე ნათლად მიუთითებს საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამედიცინო ცენტრების, ასევე, ფინანსური და საჯარო ინსტიტუტების ინტერნეტის სიჩქარის ტესტირების შედეგებიც. კერძოდ, იურიდიული პირი აბონენტების ინტერნეტმომსახურების სიჩქარეები, უმეტესად, არ აღემატებოდა 30 მბ/წმ-ს. ევროკავშირში დადგენილი სტანდარტის მიხედვით კი, აღნიშნული ინსტიტუციები მინიმუმ 1 გბ/წმ-იანი კავშირით უნდა სარგებლობდნენ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ 2024 წლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტმომსახურების ყველაზე მაღალი მედიანური სიჩქარე - 29 მბ/წმ - თბილისში დაფიქსირდა და 2021 წლიდან წელიწადში საშუალოდ 13%-ით იზრდებოდა. ხოლო რეგიონებიდან სიჩქარის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა, რამაც 39% შეადგინა და 2021 წელს 8 მბ/წმ-დან 22 მბ/წმ-მდე გაიზარდა. საგულისხმოა, რომ 2024 წელს, ფიქსირებული ქსელის მსხვილმა ოპერატორებმა, გაზარდეს აბონენტებისთვის მიწოდებული ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარეები და ყველაზე მეტად მოხმარებადი - 30 მბ/წმ-იანი პაკეტი 50 მბ/წმ-იანით ჩაანაცვლეს, თუმცა, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარე ქვეყანაში, კვლავ გამოწვევად რჩება.

მნიშვნელოვანი შედეგები იყო 2025 წელს ქვეყნის ინტერნეტიზაციის მიმართულებით. Log-in Georgia-ს პროექტის ფარგლებში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის მშენებლობა დასრულდა ქიათურის, საჩხერის, თერჯოლის, ტყიბულის, ჩხორონწყუს, ხობის, სენაკის, წალენჯიხის ნაწილისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, რაც ჯამურად 575 კმ. ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურას მოიცავს.

გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა მესტიის, ზესტაფონის, ხარაგაულის, საჩხერის, თერჯოლის, ხაშურის, გორის, ქარელის, კასპის, დუშეთის, მცხეთის, ქედის, ხელვაჩაურისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, რაც ერთობლივად 1050 კმ. მაგისტრალურ ინფრასტრუქტურას და 200-მდე დასახლებულ პუნქტს მოიცავს.

პროგრამის ფარგლებში დასრულებული და მიმდინარე სამუშაოების მოცულობა 2025 წლის ბოლოს, ჯამურად 3000 კმ. ინფრასტრუქტურას შეადგენდა, რაც 260,000-მდე მოსახლეს და მათთვის შექმნილ ახალ შესაძლებლობებს გულისხმობს.

2025 წელს, ოპტიკური ქსელის მშენებლობის მიზნით, გამოცხადდა კიდევ 3 ახალი ტენდერი: ხულო-ახალციხე-ბორჯომის, წალკა-ახალქალაქი-ახალციხისა და თბილისი-მარნეული-წალკის მიმართულებებზე.

Log-in Georgia-ის პროექტის ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოპტიკური ინფრასტრუქტურის როგორც მშენებლობის, ისე ოპერირების გეოგრაფიული არეალი და მასშტაბი. „ოუფენ ნეტის“ მიერ აშენებულ ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურაზე უკვე ფუნქციონირებს რამდენიმე ასეული სხვადასხვა ტიპის სატელეკომუნიკაციო სერვისი, რომლის საშუალებითაც, ტელეკომ ოპერატორები საკუთარ მომხმარებლებს ფართობოლოვან მომსახურებებს აწვდიან.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში, დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების, მიმდინარე სამშენებლო არეალებისა და ქსელის ტექნიკური მონაცემების ნახვა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს „ოუფენ ნეტის“ ციფრულ რუკაზე - <https://maps.opennet.ge> შეუძლია.

2025 წელს, აქტიურად გაგრძელდა Log-in Georgia-ს მეორე კომპონენტი - „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“, რომელსაც კომუნიკაციების კომისია 2022 წლიდან ახორციელებს.

პროგრამა მიზნად ისახავს შერჩეულ მუნიციპალიტეტებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ციფრული ცნობიერების ამაღლებას, ინტერნეტის მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობას და ციფრულ ეკონომიკაში მათი ჩართულობის გაძლიერებას. პროგრამა შემუშავებულია მოსახლეობის ინტერნეტ საჭიროებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და მოიცავს ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების საკითხებზე სემინარებსა და საინფორმაციო შეხვედრებს.



პროგრამის ფარგლებში, 14 წელს ზემოთ ნებისმიერი ასაკის ბენეფიციარები იღებენ პრაქტიკულ ცოდნას ინფორმაციის მოძიებისა და გადამონმების, ციფრული სერვისებისა და აპლიკაციების გამოყენების, ონლაინ უსაფრთხოებისა და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების შესახებ. ამასთან, ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ელექტრონულ სერვისებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის სახელმწიფო ელ-აუქციონის გამოყენებასა და ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

2025 წელს, „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, დაიფარა 8 მუნიციპალიტეტის 80 სამიზნე სოფელი და დასახლება, ჩატარდა 300-ზე მეტი სემინარი და გადამზადდა 4600 ბენეფიციარი.

ციფრული წიგნიერების და ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების თემატური სემინარების გარდა, „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, ჩხორონყუს, წყალტუბოს და სენაკი მუნიციპალიტეტების მერიის თანამშრომლებთან მედიაწიგნიერების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა. შეხვედრებზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ინფორმირების, დარწმუნების, ფაქტის, მოსაზრებისა და ყალბი ინფორმაციის ტიპების გამიჯვნა, დეზინფორმაციის გავრცელების ტექნიკები, ასევე, ე.წ. ტროლებისა და ბოტების გარჩევა. ასევე, მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია

როგორც პროპაგანდის და კონსპირაციული თეორიების, ისე დეზინფორმაციის საფრთხეებისა თუ ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების შესახებ. თეორიული ინფორმაციის გარდა, შეხვედრები მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც, რომლის ფარგლებშიც, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გუნდური დავალების შესრულების გზით, კონკრეტული მაგალითების ანალიზსა და განხილვაში მიეღოთ მონაწილეობა. აღნიშნულ სემინარებს დაესწრო მერიის 300-მდე თანამშრომელი.

2022 წლიდან, „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ წარმატებით განხორციელდა და მიმდინარეობს 20 სამიზნე მუნიციპალიტეტში, მათ შორის: ოზურგეთში, ჩოხატაურში, სამტრედიამში, ხელვაჩაურში, ქობულეთში, ამბროლაურში, ონში, ცაგერში, ლენტეხში, ზუგდიდში, აბაშაში, ჩხორონყუში, სენაკში, წყალტუბოში, ვანში, ბაღდათში, ჭიათურაში, საჩხერესა და მარტვილში. პროგრამით დაიფარა 300 სოფელი და დასახლება, სულ ჩატარდა 800-მდე სემინარი და გადამზადდა 10,000-ზე მეტი ადგილობრივი ბენეფიციარი. ბენეფიციართა შორის არიან: სკოლის პედაგოგები, მაღალი კლასების მოსწავლეები, შშმ პირები, ადგილობრივი მენარმე ქალები, დიასახლისები, ასევე, დროებით უმუშევარი მოქალაქეები.

2022 წლიდან, კომუნიკაციების კომისიამ, „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ ოპტიკური ინფრასტრუქტურით დაფარული გეოგრაფიული არეალის 70%-ში განახორციელა.

2026 წლის გეგმა

სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში, „ოუფენ ნეტი“ გეგმავს გამოაცხადოს ტენდერები ქვემო ქართლისა და კახეთი-თიანეთის მიმართულებებზე. „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ კი 5 მუნიციპალიტეტში გაგრძელდება და დაემატება ისეთი თემატური სემინარები, როგორებიცაა „ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკული გამოყენება“ და „ინტერნეტი დასაქმებისა და პროფესიული განვითარებისთვის“.

2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, გააგრძელა საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორის კომპლექსური კვლევის მეორე ეტაპი, რომელიც საკომუნიკაციო ფიზიკური ინფრასტრუქტურის ბაზრის ანალიზს მოიცავდა. კვლევის პირველადი შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ ფიზიკური ინფრასტრუქტურის საბითუმო ბაზარზე, კერძოდ, საკომუნიკაციო/საკანალიზაციო არხებთან დაშვების ბაზარზე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი არსებობს. ექსპერტების შეფასებებსა და რეკომენდაციებზე კომუნიკაციების კომისია იმსჯელებს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებს. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულ ბაზრებზე არსებული მარეგულირებელი ჩარჩო საკმარისი არ არის და კონკურენციის განვითარებისთვის საჭიროა დამატებითი რეგულაციები, რაც მცირე და საშუალო ოპერატორებისთვის ხელმისაწვდომი არჩევანის ზრდას, ინფრასტრუქტურაზე თანაბარ დაშვებასა და მომხმარებლებისთვის ხარისხიანი მომსახურებების ხელმისაწვდომობას შეუწყობს ხელს.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის ბაზრის კვლევა ორი ცალკეული ბაზრის სეგმენტის - საკომუნიკაციო/საკანალიზაციო არხებზე დაშვებისა და ბოძებზე დაშვების შეფასებას მოიცავდა. კვლევის პირველადი შედეგებმა აჩვენა, რომ საკომუნიკაციო/საკანალიზაციო არხებზე დაშვების ბაზარზე „სილქნეტი“ პოტენციურად გამოყენებადი ინფრასტრუქტურის დაახლოებით 70%-ს ფლობს. ანალიზი 5 დიდი ქალაქის - თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის და ასევე, საქართველოს სხვა ტერიტორიების მიხედვით ჩატარდა. საკომუნიკაციო ბოძებზე დაშვების ბაზარი კი, კონკურენტულად იქნა მიჩნეული, ვინაიდან ელექტრო და გარე განათების ბოძებზე დაშვება „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონით ისედაც რეგულირდება.

საკომუნიკაციო/საკანალიზაციო არხებზე დაშვების საბითუმო ბაზრებზე ფიქსირდება კონკურენციის ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორებიცაა: ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერები, კონკურენციის ნაკლებობა, ინფრასტრუქტურის დომინანტი მესაკუთრის პოზიციის გაძლიერება და არსებული რეგულაციების ნაკლები ეფექტიანობა.

კვლევის ევროპელმა ექსპერტებმა, ბაზრის ეფექტიანი რეგულირების მიზნით, კომუნიკაციების კომისიას რეკომენდაციები მისცეს. ახალმა რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა და დისკრიმინაციის აკრძალვა, ასევე, დაშვების პროცედურის სტანდარტიზაცია. გარდა ამისა, რეგულაციებმა Com-

Com-ს დაშვების პროცესის მონიტორინგისა და საფასო რეგულაციების უფრო ეფექტიანი შესაძლებლობა უნდა გაუჩინოს. აღნიშნული მექანიზმები ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკაა, რაც სამართლიანი, კონკურენტული და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას, ხარისხიანი მომსახურებების ხელმისაწვდომობის ზრდას და ქვეყნის ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყობს ხელს.

2025 წლის ბოლოს, კომპლექსური კვლევის მეორე ეტაპის პირველადი შედეგები ექსპერტებმა კომუნიკაციების კომისიის გუნდთან ერთად, ტელეკომ ოპერატორების წარმომადგენლებს გააცნეს.

რაც შეეხება ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე კომპანიებისთვის შეთავაზებულ კორპორატიულ პირობებს, კვლევის ფარგლებში ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესწავლა მოხდა. დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულია დეტალური ინფორმაცია, როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი კითხვარებით, ისე სამუშაო შეხვედრებითა და სიღრმისეული ინტერვიუებით. შეხვედრები შედგა როგორც დარგის მსხვილ მოთამაშეებთან, ისე იურიდიულ პირ აბონენტებთან მათ მიერ მიღებული კორპორატიული მომსახურებების შესაფასებლად. გამოიკვეთა იურიდიული პირებისგან ყველაზე მოთხოვნადი მომსახურებები და ამ მომსახურებების შერჩევის მნიშვნელოვანი ფაქტორები, სირთულეები, რომლებსაც აწყდებიან პროვაიდერის შერჩევისას და ა.შ. მიღებული ინფორმაციის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრის გზები შეფასდება.

კომპლექსური კვლევის პირველი ეტაპი 2024 წელს დასრულდა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ როგორც ფიქსირებული, ისე მობილური კომუნიკაციების ბაზარი არაკონკურენტული იყო და განიცდიდა სტაგნაციას. საბითუმო დაშვების შესაბამის ორივე ბაზარზე კი, „მაგთიკომი“ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს წარმოადგენდა, რის გამოც Com-Com-მა კომპანიას დამატებითი ვალდებულებები დააკისრა.





„მაგთიკომს“ დაევალა მობილურ ქსელზე საბითუმო დაშვება, მათ შორის, ეროვნული როუმინგის, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვებისა და თანალოკაციის ვალდებულება, ასევე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ხუთივე სპეციფიკური ვალდებულება, რომლებიც ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და დაშვების წინადადების გამოქვეყნებას მოიცავს.

2024 წელს კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, „მაგთიკომის“ ქსელზე დაშვების, მათ შორის ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ე.წ. VULA და Bitstream ბაზარზე და მობილურ ქსელზე დაშვების საბითუმო ბაზარზე ოფერტები, 2025 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. მონვევის ოფერტები, კომუნიკაციების კომისიის შეფასებით, შემზღვეველ და არასამართლიან პირობებს შეიცავდა, რის გამოც, კომპლექსური კვლევის განმახორციელებელ ევროპულ ექსპერტებთან ერთად, კომისიამ სიღრმისეულად შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტები და კომპანიას ყველა შემზღვეველი პირობის შეცვლა და ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა მოსთხოვა. შედეგად, განახლებული მონვევის ოფერტები დაშვების მსურველებისთვის უკვე ხელმისაწვდომია, თუმცა კომუნიკაციების კომისია, უკვე დაშვების მსურველ კომპანიებთან ერთად, კვლავაც გააგრძელებს აღნიშნული დოკუმენტების რევიზიას, რათა დაშვების პირობები იყოს პრაქტიკულად რეალიზებადი და ქმნიდეს კომერციულად საინტერესო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას.

აღნიშნული პროცესის, მონვევის ოფერტების პირობების გამართვის მთავარი ნაწილია სატარიფო რეგულაციის ფარგლებში დაშვების გონივრული და დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფების განსაზღვრა. ამ ნაწილში ფიქსირებულ ქსელზე დაშვების ტარიფები განსაზღვრულია კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, ხოლო მობილურ ქსელზე დაშვების ტარიფები „მაგთიკომს“ უნდა განესაზღვროს და წარმოედგინა დაშვების წინადადებაში.

კომისიამ შეაფასა „მაგთიკომის“ მიერ მონვევის ოფერტაში გამოქვეყნებული მობილურ ქსელზე დაშვების ტარიფები. აღმოჩნდა, რომ ტარიფები არ აკმაყოფილებდა კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვალდებულებას ხარჯებზე ორიენტირებულობასთან დაკავშირებით და არსებული საცალო შეთავაზებების ფონზე, იყო შეუსაბამოდ მაღალი. კერძოდ, იმ მობილურ მომსახურებებში, რომლებიც ყველაზე მეტად მოთხოვნადი და მზარდია, საბითუმო ტარიფი მნიშვნელოვნად აღემატებოდა „მაგთიკომის“ მიერ ბაზარზე შეთავაზებულ საცალო ტარიფებს. შესაბამისად, პოტენციური MVNO-ს მიერ მიღებული საცალო შემოსავალი საკმარისი ვერ იქნებოდა არა თუ მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობისთვის, არამედ საბითუმო ხარჯების ცვლადი ნაწილის დასაფარადაც კი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კომუნიკაციების კომისიამ ცვლილება შეიტანა 2024 წლის გადაწყვეტილებაში და განსაზღვრა, რომ მობილურ ქსელზე დაშვების ტარიფების გაანგარიშება, ნაცვლად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისა, უნდა განახორციელოს კომუნიკაციების კომისიამ.

ფიქსირებული ფართობოლოვანი და მობილური მომსახურებების საცალო და შესაბამისი საბითუმო ბაზრების კვლევის მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრამ და პრაქტიკულმა დანერგვამ უნდა უპასუხოს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გამოვლენილ გამოწვევებს - შეზღუდულ კონკურენციას, დაბალ დინამიკურობას, ინოვაციების სიმცირესა და პროგრესის დეფიციტს.

კომპლექსური კვლევის ფარგლებში განსაზღვრული რეგულაციის სარგებელი მრავალმხრივია: ბაზრის მცირე ზომის მოთამაშეებს, ან ახალ კომპანიებს მისცემს შესაძლებლობას, განავითარონ საქმიანობა და შექმნან ალტერნატიული საკომუნიკაციო შეთავაზებები; ასევე, ქსელის მფლობელ ოპერატორებს საშუალება მიეცეთ უკეთ აითვისონ საკუთარი ქსელის შესაძლებლობები, რითაც ისინი დამატებით შემოსავალს მიიღებენ. შედეგად კი, სარგებელი აისახება საბოლოო მომხმარებლის კეთილდღეობაზე, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება მრავალფეროვანი სატელეკომუნიკაციო მომსახურებები, რაც თავის მხრივ, ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ციფრულ ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური კვლევის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, „მაგთიკომმა“ ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 500 ათასამდე აბონენტს, რომლებიც 30 მბ/წმ-იანი პაკეტით სარგებლობდნენ, სიჩქარე 50 მბ/წმ-მდე გაუზარდა. აღნიშნული ცვლილება კომპლექსური კვლევის შედეგად მიღებული ერთ-ერთი ხელშესახები სარგებელია მომხმარებლისთვის.

აღსანიშნავია, ასევე მარჟის შეკუმშვის მეთოდოლოგიისა და მოდელის შემუშავების პროცესი. კომუნიკაციების კომისიის გადანყვეტილებით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირს აქვს ვალდებულება, მობილური და ფიქსირებული საბითუმო ბაზრების გარკვეულ სეგმენტებზე დაშვებისას, არ შეკუმშოს მარჟა საცალო და საბითუმო ტარიფებს შორის. კომუნიკაციების კომისიამ უნდა გაუწიოს მონიტორინგი ფასზე დაფუძნებულ შესაძლო დისკრიმინაციას MVNO-ს დაშვებასთან დაკავშირებით, მარჟის შეკუმშვის ტესტის გამოყენებით. აღნიშნული ტესტი მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ ჯვარედინი სუბსიდირების თავიდან აცილებას. ამასთან, ისეთი სიტუაციის აღმოფხვრას, როდესაც ოპერატორი ბაზარს საბითუმო დაშვებას გაზრდილ ფასად სთავაზობს, ხოლო საცალო მომსახურებას - კონკურენტულ ფასებში, რითაც ამცირებს კონკურენტების მარჟებს და ზრდის მათი ბაზრიდან გასვლის ალბათობას.

რაც შეეხება ფიქსირებულ ქსელზე დაშვებას, ადგილობრივი დაშვების შემთხვევაში (VULA), მარჟის შეკუმშვის ტესტის გამოყენება დადგენილია კონკრეტულ ლოკაციებზე. აღნიშნული დასახლებებისთვის,

კონკურენტული გარემოდან გამომდინარე, საბითუმო ზედა ზღვრული ტარიფები დაწესებული არ არის. საკმარისად იქნა მიჩნეული სატარიფო კონტროლი მხოლოდ მარჟის შეკუმშვის ტესტის გამოყენებით განხორციელებულიყო.

შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ, ზემოთ აღნიშნული მიზნების შესაბამისად, შეიმუშავა მარჟის შეკუმშვის მეთოდოლოგია და მოდელი. მარჟის შეკუმშვის ტესტს კომუნიკაციების კომისია ჩაატარებს მომჩივანის მომართვის საფუძველზე ან პერიოდულად, საკუთარი ინიციატივით.

აღნიშნულის შედეგად: გაიზრდება სატელეკომუნიკაციო ბაზრის გამჭვირვალობა და კონკურენცია; მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეეზღუდება სატარიფო დისკრიმინაციის შესაძლებლობა; გაუმჯობესდება ჯვარედინი სუბსიდირების გამოვლენისა და აღმოფხვრის პროცესები; ხოლო კომუნიკაციების კომისიას მიეცემა საშუალება დროულად მოახდინოს რეაგირება დარღვევებზე, ასევე, არასამართლიანი ფასწარმოქმნისგან დაიცვას მომხმარებლისა და ბაზრის მონაწილეების ინტერესები.

2026 წლის გეგმა

კომპლექსური კვლევის მეორე ეტაპის ფარგლებში შესასწავლ ბაზრებთან დაკავშირებით, კომუნიკაციების კომისია საჯარო კონსულტაციებს გამართავს. კომპანიებისგან მიღებული უკუკავშირის განხილვის შემდეგ კი, შესაბამის გადანყვეტილებებს მიიღებს.

კომპანიებისთვის შეთავაზებული მაღალი ხარისხის მომსახურებების საცალო ბაზრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, 2026 წელს იგეგმება შესაბამისი საბითუმო ბაზრის ანალიზი - მაღალი ხარისხის წვდომა ფიქსირებულ ქსელზე, რომელიც ევროკავშირის მიერ პოტენციურად რეგულირებას დაქვემდებარებადი ორი ბაზრიდან ერთ-ერთია.

რაც შეეხება კვლევის პირველი ეტაპის შედეგად მიღებული გადანყვეტილებების აღსრულებას, 2026 წელს კომუნიკაციების კომისია გეგმავს განხორციელოს ფიქსირებულ ქსელზე დაშვების ტარიფების რევიზია და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება. ამასთან, იგეგმება მობილურ ქსელზე დაშვების ტარიფების გაანგარიშება. ასევე, გაგრძელდება მუშაობა ოფერტების პირობებზე ფიქსირებულ და მობილურ ქსელზე დაშვების მსურველებსა და ქსელის ოპერატორებთან, რათა პირობები ორმხრივად სასარგებლო და დაშვება რეალურად განხორციელებადი იყოს.

2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ საქართველოში გაფართოებული ურთიერთჩართვის (IP პირინგის) მომსახურებისა და ინტერნეტის გაცვლის წერტილების (IXP) განვითარების ბარიერების შესასწავლად კვლევა ჩაატარა. პროექტის მიზანია გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ბაზრის განვითარების შემაფერხებელი გარემოებები, რათა გაძლიერდეს კონკურენტული გარემო და მომხმარებლებმა გაუმჯობესებული ინტერნეტსერვისი მიიღონ. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი ციფრული ეკოსისტემის გაძლიერებას და საქართველოს რეგიონულ ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბების პოტენციალს გაზრდის.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ IP პირინგის ბაზარზე არსებული გარემო მცირე და საშუალო ოპერატორებისთვის შემზღვეველია, ხოლო IXP-ის განვითარების პროცესი მნიშვნელოვან შეფერხებებს განიცდის. ექსპერტების დასკვნით, აღმოჩენილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების საცალო და საბითუმო ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევაში მონაწილე ევროპელმა ექსპერტებმა ტელეკომ ოპერატორების, მათ შორის, „მაგთიკომის“, „სილქნეტის“, „სქაიტელის“, „კავკასუს ონლაინისა“ და მცირე და საშუალო ოპერატორების წარმომადგენლებს, კვლევის შედეგები წარუდგინეს. შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო კვლევის მიგნებები და სამოქმედო რეკომენდაციები.

მცირე და საშუალო ოპერატორებისთვის გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების (ე.წ. პირინგის - Peering) ბაზარზე არსებული გარემო შემზღვეველია. ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ხელსაყრელი პირობებით ჩაერთონ დიდ ოპერატორებს და ჰქონდეთ საქართველოში განთავსებულ რესურსებთან სრულფასოვანი წვდომა. ამასთან, IP პირინგის ბაზარზე დამკვიდრებული არასტანდარტული და გაუმჭვირვალე პრაქტიკა, რაც აფერხებს მცირე და საშუალო ოპერატორების განვითარებას. კერძოდ, პირინგის გარიგებების დროს, თანხას ტრაფიკის მიმღები ქსელი ან ორივე მხარე იხდის, ხოლო უფასო პირინგის გარიგებები იშვიათია, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპულ პრაქტიკასთან, სადაც პირინგი, ხშირად, ორმხრივად სასარგებლო და უფასო გარიგებაა. ამასთან, პროვაიდერებს არ აქვთ გამოქვეყნებული პირინგული პოლიტიკები, რაც ამცირებს გამჭვირვალობას პირინგის სერვისის მომხმარებლებისთვის.

მსოფლიო კონტენტ პროვაიდერების, მათ შორის Facebook, Google, Amazon და სხვა, რესურსების განთავსებას ე.წ. ქეშირებულ სერვისებზე, საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. IXP-ის (ინტერნეტის ურთიერთგაცვლის წერტილი) განვითარების ძირითად ბარიერს წარმოადგენს მოცემულობა, რომ მასში საქართველოში არსებული დიდი ინტერნეტ პროვაიდერები არ არიან დაერთებული. შედეგად, ტრაფიკის მოცულობა არასაკმარისია, რის გამოც, მსხვილი კონტენტ-პროვაიდერები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მსგავს ინფრასტრუქტურაზე თავიანთი რესურსის განთავსებით.

ექსპერტების დასკვნითა და რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია IP ტრანზიტის და ინფრასტრუქტურაზე დაშვების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, რაც მცირე ოპერატორებს მისცემს შესაძლებლობას, მივიდნენ ქვეყნის საზღვრებამდე და საერთაშორისო მომწოდებლებისგან ინტერნეტ კავშირი დამოუკიდებლად შეისყიდონ. ამასთან, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ „ოუფენ ნეტის“ ინიციატივის გამოყენება საზღვრებთან ინფრასტრუქტურის მოწყობისა და საერთაშორისო მიმწოდებლებთან დაერთების უზრუნველსაყოფად, გააძლიერებს კონკურენციას და უზრუნველყოფს ლოკალური ოპერატორების ეროვნულ მაგისტრალურ ქსელზე კონკურენტული ტარიფებით დაშვებას. ამასთან, ექსპერტების დასკვნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია IXP-ის განვითარება, რისთვისაც აუცილებელია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის ჩართულობა, რათა გაიზარდოს ტრაფიკის მოცულობა და ჩართული ოპერატორების რაოდენობა ინტერნეტის ურთიერთგაცვლის წერტილში. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს აღნიშნულ ლოკაციებზე გლობალური კონტენტ პროვაიდერებისა და IP ტრანზიტის მიმწოდებელი საერთაშორისო ოპერატორების მოზიდვას, რაც გადამწყვეტი იქნება ქვეყნის ციფრულ ჰაბად გარდაქმნის პოტენციალის რეალიზებისთვის.

პროექტი კომუნიკაციების კომისიამ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Plum Consulting Paris SAS-ის მხარდაჭერით განახორციელა, რომელიც უკვე მრავალი წელია სატელეკომუნიკაციო და ციფრული ბაზრების რეგულირების მიმართულებით მუშაობს. კვლევას მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები - სემ ვუდი, გრანტ ფორსაითი და მაიკ ბლანში ხელმძღვანელობდნენ.

2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ „მაგთიკომის“ მიერ ინტერნეტზე ფასების გაზრდის გადაწყვეტილების შესწავლა დაიწყო. აღნიშნული გადაწყვეტილება კომისიამ მას შემდეგ მიიღო, რაც გაზრდილი ფასების შესახებ მომხმარებელთა მომართვიანობა გაიზარდა. „მაგთიკომის“ გადაწყვეტილებით, ფასები როგორც მობილურ, ისე ფიქსირებულ ინტერნეტზე გაძვირდა.


კერძოდ: „მაგთიკომმა“ მობილური ინტერნეტის პაკეტი „ულიმიტო ინტერნეტ-კვირა“ 9 ლარიდან, 10 ლარამდე, „ულიმიტო ინტერნეტ-თვე“ კი 32 ლარიდან, 35 ლარამდე გააძვირა. კომისიის ხელთ არსებული მონაცემებით, აღნიშნული პაკეტების აქტივაციების რაოდენობა ყოველთვიურად „ულიმიტო ინტერნეტ-კვირა“-ს შემთხვევაში - 499 ათასს, ხოლო „ულიმიტო ინტერნეტ-თვე“-ს შემთხვევაში - 144 ათასს შეადგენს. შესაბამისად, კომპანია აღნიშნული პაკეტების აქტივაციების ამ რაოდენობის შენარჩუნების შემთხვევაში, თვიურ შემოსავალს, ჯამურად 931 ათასი ლარით გაზრდის.

ფიქსირებული ინტერნეტის შემთხვევაში, „მაგთიკომის“ გადაწყვეტილებით, ქვეყნის მასშტაბით, იმ აბონენტებს, რომლებიც 50 მბ/წმ-იანი ფიქსირებული ინტერნეტ შეთავაზებით, ან ინტერნეტს + IPTV მომსახურებით სარგებლობენ, მომსახურების ტარიფი 3 ლარით გაუძვირდათ. კომუნიკაციების კომისიის შეფასებით, ცვლილება დაახლოებით 456 ათას აბონენტს შეეხო, რაც, აბონენტების შენარჩუნების შემთხვევაში, „მაგთიკომის“ თვიურ შემოსავალს დაახლოებით 1.37 მილიონი ლარით გაზრდის.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ პირველადი შეფასება გააკეთა, რამაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) შესაძლო დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვი გააჩინა.

კანონმდებლობის შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება ბაზარზე კომპანიის საბაზრო წილის, ასევე, მისი კონკურენტების საბაზრო წილების მიხედვით და ამასთან, ბაზარზე შესვლისა და წარმოების გაფართოების ბარიერებით, მყიდველის საბაზრო ძალაუფლებით, ხელმისაწვდომობით, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებით. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად კი, შეიძლება ჩაითვალოს: არასამართლიანი ფასის ან არასამართლიანი სავაჭრო პირობების დადგენა; წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა; პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება და მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომუნიკაციების კომისიაში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შესაძლო ფაქტის შესწავლის მიზნით, საქმის მოკვლევა მიმდინარეობს.




თელეკომ სექტორის მსოფლიო ტენდენციების მიმოხილვა

2025 წელს, მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მთავარი გამოწვევა კვლავ 5G ტექნოლოგიის დანერგვა და განვითარება იყო. მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებში (ფინეთი, აშშ, ჩრდილოეთ კორეა) 5G ტექნოლოგია 2019 წლიდან ეტაპობრივად ჩაეშვა, აღნიშნული ტექნოლოგიის განვითარება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავ აქტუალურია¹. დღეს, ევროპაში, მობილური მოწყობილობების 82% მე-5 თაობის ქსელთან არის დაკავშირებული. ამ მონაცემებით მსოფლიო ლიდერები სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები არიან, სადაც მობილური მოწყობილობების 95% აღნიშნული უახლესი თაობის ქსელთანაა დაკავშირებული. GSMA-ს² პროგნოზის მიხედვით, 2030 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით მობილური აბონენტების 57%-ს 5G ქსელთან ექნება წვდომა, ამასთან, 2G და 3G ქსელებში, შესაბამისად, 1% და 5%-ით ნაკლები მობილური მოწყობილობა იქნება ჩართული³. საქართველოში 5G ტექნოლოგია 2023 წლის ბოლოდან გახდა ხელმისაწვდომი, თუმცა თავდაპირველად, თბილისის მხოლოდ რამდენიმე უბანს მოიცავდა. 2025 წელს 5G ქსელის გასავითარებლად, უკვე სამივე ქართული ოპერატორი ფლობს ლიცენზიებს და შესაბამისად, აბონენტებს უახლესი ტექნოლოგიის მობილურ სერვისს სამივე კომპანია სთავაზობს.

5G ტექნოლოგიის განვითარება 2025 წლის განმავლობაში გაგრძელდა სხვა ქვეყნებშიც. რიგ ქვეყნებში ასევე, დაიწყო მოწინავე 5G-Advanced, 5.5G-დ ცნობილი ტექნოლოგიის დანერგვა, რომელიც კიდევ უფრო სწრაფ ინტერნეტკავშირს, ნაკლები დაყოვნებით და უკეთესი ენერგოეფექტურობით უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ 5G-Advanced-ს აქვს ხელოვნური ინტელექტისა (AI) და მანქანური სწავლების (Machine learning) ინტეგრაციის შესაძლებლობა, რაც ქსელის ოპტიმიზაციასა და ეფექტურობაში მეტ ავტომატურობას უზრუნველყოფს. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა წინასწარ განისაზღვროს ქსელის დატვირთულობა და შესაბამისად, ქსელის რესურსების გადანაწილება, რომ მომხმარებლებს ხარვეზები არ შეექმნათ სერვისის გამოყენებისას. ხელოვნური ინტელექტი, ასევე, დიდ როლს ასრულებს შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირებასა და კიბერშეტევების პრევენციაში. ხელოვნური ინტელექტი, ეხმარება ოპერატორებს ხარჯების შემცირებაში, მისი ალგორითმები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, წინასწარ ანალიზებს აპარატურის შესაძლო დაზიანებას და დროულად ატყობინებს ქსელის ოპერატორს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქსელის გათიშვისა და მის საოპერაციო ხარჯებს⁴.

2025 წლის გამოკითხვაში, GSMA-ს ოპერატორების 45%-მა ხელოვნური ინტელექტით უზრუნველყოფილი შემოსავლის წყაროები სტრატეგიულ პრიორიტეტად დაასახელა. აღსანიშნავია, რომ, როგორც უსაფრთხოების, ისე ინციდენტების მართვის კუთხით, AI მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა ხელოვნური ინტელექტი, ასევე, უწყვეტ მონიტორინგსა და კვალიფიციურ კადრებს⁵ მოითხოვს.



¹Telia-მ და Nokia-მ ფინეთში 5G დანერგეს, 2019. 5G-ის ეპოქა: როგორ ცვლის 5G სამყაროს, GSMA.

²GSMA - გლობალური მობილური საკომუნიკაციო სისტემების ასოციაცია.

³მობილური ეკონომიკა 2026, GSMA.

⁴Top 3 telecom trends to watch in 2025 სატელეკომუნიკაციო სფეროს 3 მთავარი ტენდენცია, რომელსაც 2025 წელს უნდა მივაქციოთ ყურადღება, GSMA.

⁵მობილური ეკონომიკა 2026, GSMA.

GSMA-ის კვლევამ აჩვენა, რომ ოპერატორები ხელოვნურ ინტელექტს, ჯერჯერობით, დაბალ რისკიანი და შედარებით მარტივი ამოცანებისთვის იყენებენ. დანერგილი გადაწყვეტილებების თითქმის 50%-მდე მომხმარებელთა მომსახურებაზე მოდის, ხოლო ქსელების ავტომატიზაციაზე - 20%-ზე ნაკლები. მიუხედავად იმისა, რომ AI-ის გამოყენების 80% კვლავ შიდა ეფექტურობის გაზრდაზეა ორიენტირებული, ოპერატორები სულ უფრო მეტად განიხილავენ ხელოვნურ ინტელექტს შემოსავლების ზრდის ახალ სტრატეგიულ შესაძლებლობად, რაც უზარმაზარი სერვერული სისტემების მფლობელ გლობალურ ტექნოლოგიურ გიგანტებთან და ღრუბლოვანი მომწოდებლებთან მჭიდრო პარტნიორობაში გამოიხატება. ეს პროცესი სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდება: AI ინფრასტრუქტურის განთავსება ოპერატორის ინფრასტრუქტურის სივრცეში მონაცემების სწრაფი დამუშავების უზრუნველსაყოფად; ულტრა სწრაფი კავშირის უზრუნველყოფა სხვადასხვა ობიექტებთან; AI სერვისების მონეტიზაცია კორპორატიული (B2B) აბონენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების შეთავაზებით.

ხელოვნური ინტელექტის როლი მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად გაიზარდა 2025 წელს. მისი გამოყენება გაიზარდა არა მარტო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მიერ, არამედ თავად ინტერნეტ მომხმარებლებს შორის. ხელოვნური ინტელექტისა და დიდი ენობრივი მოდელების (LLM) მომხმარებელთა რიცხვმა, 2025 წელს მილიარდს გადააჭარბა. მაგალითად, მხოლოდ ერთ-ერთ ხელოვნური ინტელექტის პლატფორმა ChatGPT-ზე, რომელიც იყენებს დიდ ენობრივ მოდელს, ყოველდღიურად მილიარდობით საუბარი მიმდინარეობს⁶.

საყურადღებოა, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება დიდი გამოწვევაა მონაცემთა ცენტრებისთვის და ელექტროენერჯის კომპანიებისთვის. AI მოითხოვს მონაცემთა ცენტრების ინფრასტრუქტურის არსებით განახლებას და ინოვაციური ენერჯომომარაგებისა და უფრო ძლიერი გავრელების სისტემების დანერგვას⁷.

ხელოვნური ინტელექტი ასეთი ტემპით ვერ განვითარდებოდა, რომ არა ინტერნეტზე საყოველთაო წვდომა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება მსოფლიოს მასშტაბით. მსოფლიოში მობილური და ფიქსირებული ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობამ, 2025 წლის ოქტომბრის მონაცემებით, 6 მილიარდს გადააჭარბა, რაც 5.1%-ით მეტია 2024 წლის მონაცემებთან შედარებით⁸.

რეგიონების მიხედვით, მოსახლეობაში ინტერნეტ მომხმარებელთა ყველაზე მაღალი წილი ევროპაში დაფიქსირდა (93.8%), ამ მონაცემით მას ოდნავ ჩამორჩება ჩრდილოეთ ამერიკა (93.3%). ყველაზე დაბალი წილი კვლავ აფრიკის რეგიონშია (43.1%), სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტს კვლავ არ აქვს ინტერნეტ რესურსებთან წვდომა.

რეგიონი	ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა (მლნ)	ინტერნეტ მომხმარებელთა წილი მოსახლეობაში
ევროპა	698	93.8%
ჩრდილოეთ ამერიკა	362	93.3%
სამხრეთ ამერიკა	368	83.8%
ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვა	180	77.9%
ოკეანეთი	36.7	77.5%
აზია	3,720	76.9%
აფრიკა	671	43.1%

⁶ციფრული 2026: გლობალური მიმოხილვის ანგარიში, 15 ოქტომბერი, 2025.

⁷ქსელის მდგომარეობა, 2026 წლის გამოცემა, TeleGeography.

⁸ციფრული 2026: გლობალური მიმოხილვის ანგარიში, 15 ოქტომბერი, 2025.

ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის პირობებში, გლობალური გამტარუნარიანობაც იზრდება. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გათვლების მიხედვით, 2025 წელს გლობალური ინტერნეტის ჯამური ტრაფიკი 8.8 ზეტაბაიტს (8.8×10^{15} მეგაბაიტი) აღწევდა. აქედან, 1.5 ზეტაბაიტი მობილურ ინტერნეტ ტრაფიკზე მოდის, ხოლო 7.3 ზეტაბაიტი - ფიქსირებულ ფართობოლოვან ინტერნეტზე⁹.


გასაკვირი არ არის, რომ 2024 წლის მონაცემებით, გლობალური ინტერნეტ ტრაფიკის დიდი ნაწილი კონტენტსა და ღრუბლოვან საცავზე (cloud storage) მოდის. კომპანიები, როგორცაა: Google, Meta, Microsoft და Amazon, მსოფლიო ინტერნეტ ტრაფიკის უდიდეს ნაწილს, სამ მეოთხედს აგენერირებენ. შესაძარებლად, ცხრა წლის წინ, 2016 წელს, ინტერნეტ ტრაფიკის მოთხოვნის უმეტეს ნაწილს ინტერნეტის მაგისტრალური მომწოდებლები ქმნიდნენ¹⁰.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ მოხმარება ყოველწლიურად იზრდება. 2021 წლიდან მობილური ინტერნეტის ტრაფიკი წლიურად, საშუალოდ, 19%-ით იზრდება, ხოლო ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის ტრაფიკი - 16%-ით. 2025 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ერთი აბონენტი თვეში საშუალოდ, 15.3 გბ მობილურ ინტერნეტს მოიხმარდა. ევროპის საშუალო მაჩვენებელი 16 გბ იყო¹¹. ევროპის მსგავსად, საქართველოშიც მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება, 2025 წელს, 16 გბ დაფიქსირდა.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის საშუალო მოხმარება ერთ აბონენტზე თვეში, რაც ძირითადად ერთ შინამეურნეობას გულისხმობს, 369 გბ იყო, რაც ბუნებრივია, დიდად აღემატება მობილური აბონენტის მიერ ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობას.

მუდმივად მზარდი ინტერნეტ გამტარუნარიანობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, საჭირო გახდა დამატებითი ინვესტიციების განხორციელება წყალქვეშა საკაბელო ინფრასტრუქტურის გასავითარებლად. ბოლო 9 წლის განმავლობაში, ახალი მშენებლობების ჯამურმა ღირებულებამ, წელიწადში საშუალოდ 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ინვესტიცია კვლავ გაგრძელდება და 2025 - 2027 წლებში ექსპლუატაციაში შესასვლელად დაგეგმილი ახალი წყალქვეშა კაბელების ღირებულებამ შესაძლოა 14 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბოს¹².

წყალქვეშა საკაბელო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები (მლრდ. აშშ დოლარი)



⁹მობილური ფართობოლოვანი ტრაფიკი სწრაფი ტემპით იზრდება, თუმცა სადენიანი ქსელები კვლავ ატარებს ინტერნეტმონაცემების უმეტეს ნაწილს, ITU, 2025.

¹⁰ქსელის მდგომარეობა, 2026 წლის გამოცემა, TeleGeography.

¹¹მობილური ფართობოლოვანი ტრაფიკი სწრაფი ტემპით იზრდება, თუმცა სადენიანი ქსელები კვლავ ატარებს ინტერნეტ-მონაცემების უმეტეს ნაწილს, ITU, 2025.


¹²ქსელის მდგომარეობა, 2026 წლის გამოცემა, TeleGeography

მზარდ გამტარუნარიანობას, გაზრდილ მოთხოვნასთან ერთად, ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების განვითარება, რაც საშუალებას იძლევა 1 წამში გაცილებით უფრო მეტი მონაცემი გაატაროს, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი. მსოფლიო მასშტაბით, ინტერნეტ გადაცემის სიჩქარე ყოველწლიურად მზარდია. 2025 წლის ბოლოს მონაცემებით, მსოფლიოში ჩამოტვირთვის საშუალო სიჩქარე მობილურ ქსელზე 107.14 მბ/წმ იყო, ხოლო ფიქსირებულ ფართობოლოვან ქსელზე ეს მონაცემი 118.02 მბ/წმ-ს აღწევს¹³.

ქვეყნების ჭრილში, მობილური ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით, მსოფლიო ლიდერი, 2024 წლის მსგავსად, 2025 წელსაც არაბთა გაერთიანებული საამიროებია, სადაც მობილური ინტერნეტის ჩამოტვირთვის მედიანურმა სიჩქარემ 686 მბ/წმ-ს გადააჭარბა, რაც გასულ წელთან შედარებით, 51%-ით მაღალი შედეგია. ევროპის ქვეყნებს შორის უპირობო ლიდერი კვლავ ბულგარეთია, სადაც მობილურ ქსელზე ჩამოტვირთვის მედიანური სიჩქარე 277.97 მბ/წმ დაფიქსირდა. ამ შემთხვევაშიც, გასულ წელთან შედარებით, მედიანური სიჩქარე თითქმის 50%-ით გაიზარდა.

იმავე წყაროს მონაცემებით, საქართველოში მობილურ ქსელში ჩამოტვირთვის მედიანური სიჩქარე, შარშანდელთან შედარებით, 18%-ით გაიზარდა და 165.88 მბ/წმ მიაღწია¹⁴.

მობილური ინტერნეტის ჩამოტვირთვის მედიანური სიჩქარე (მბ/წმ)



¹³ქვეყნების მიხედვით სიჩქარის მედიანური მაჩვენებლები, Speedtest გლობალური ინდექსი, 2026.


¹⁴ქვეყნების მიხედვით სიჩქარის მედიანური მაჩვენებლები, Speedtest გლობალური ინდექსი, 2026.

ფინანსური მაჩვენებლები

სატელეკომუნიკაციო ბაზრის შეფასებისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ოპერატორების EBITDA მარჟა - მოგება პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე, გაყიდვებთან შეფარდებით. მსოფლიო წამყვანი ოპერატორების EBITDA მარჟამ, 2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, 34% შეადგინა¹⁵.

საქართველოს შემთხვევაში, სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდება. ქვეყნის სამი უმსხვილესი ოპერატორის EBITDA მარჟა მსოფლიო ქვეყნების წამყვანი ოპერატორების მარჟას საგრძნობლად აღემატება. კერძოდ, 2024 წელს „მაგთიკომის“ EBITDA მარჟამ, დაახლოებით, 74% შეადგინა, „სილქნეტისამ“ - 64%, ხოლო „სელფი მობაილს“ - 53%-ს აღემატებოდა.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის სამი უმსხვილესი ოპერატორის EBITDA მარჟა




¹⁵სატელეკომუნიკაციო ოპერატორების საქმიანობის გლობალური საორიენტაციო მაჩვენებლები, Twimbit, გაზაფხული, 2024.


ელექტრონული კომუნიკაციების დარგის შემოსავალი და მოქმედი ავტორიზებული კომპანიების რაოდენობა

2025 წელს, ელექტრონული კომუნიკაციების დარგში 284 მოქმედი¹⁶ კომპანია დაფიქსირდა. დარგში 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 3-მა პირმა: „მაგთიკომმა“, „სილქნეტმა“ და „სელფი მობაილმა“ მიიღეს (A კატეგორიის¹⁷ კომპანიები) და მათ მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა მთელი შემოსავლის 84% შეადგინა. იმ კომპანიების ჯამური შემოსავალი, რომლებმაც 2025 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღეს (E კატეგორიის 145 პირი) მთელი შემოსავლის 0.3% იყო.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედი კომპანიების რაოდენობა სეგმენტების მიხედვით




ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედი კომპანიების შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით



2025 წელს, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებიდან, ავტორიზებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 120 მლნ ლარით გაიზარდა და 1,855 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ბოლო 5 წლის განმავლობაში, საცალო შემოსავლის წლიური ზრდა¹⁸ 11%-ია.

ელექტრონულ კომუნიკაციებში ავტორიზებული კომპანიების მიერ საკომუნიკაციო მომსახურებაებიდან მიღებული შემოსავალი (მლნ. ლარი)



	2021	2022	2023	2024	2025
■ საცალო შემოსავალი	1,058	1,202	1,353	1,461	1,562
■ სხვა საკომუნიკაციო მომსახურებები	181	239	257	274	293
■ სულ	1,239	1,441	1,610	1,735	1,855

¹⁶მოქმედად განიხილება კომპანია, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა.


¹⁷განიხილება შემდეგი კატეგორიები:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ. ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ. ლარიდან 100 მლნ. ლარამდე
C	1 მლნ. ლარიდან 10 მლნ. ლარამდე
D	100 000 ლარიდან 1 მლნ. ლარამდე
E	100 000 ლარზე ნაკლები

¹⁸საშუალო წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate).

სატელეკომუნიკაციო დარგის შემოსავალმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1.8% შეადგინა (მაჩვენებელი გაანგარიშებულია „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის მშპ-ის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით).


საცალო შემოსავლებიდან, ყველაზე დიდი წილი მოდის მობილურ მომსახურებებზე, საიდანაც 2025 წელს კომპანიებმა ჯამურად, 926 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს. მას მოსდევს ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. მესამე ადგილზეა მაუნჯებლობის ტრანზიტი.



მობილური კომუნიკაციები¹⁹ საქართველოში

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 3%-ით გაიზარდა მობილური აბონენტების²⁰ რაოდენობა და წლის ბოლოსათვის 5.91 მლნ-ს მიაღწია. ასევე, გაიზარდა პენეტრაცია საქართველოს მოსახლეობაში და 169% შეადგინა²¹. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ წელს უფრო მეტ მომხმარებელს გააჩნია ერთზე მეტი მობილური ნომერი და საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა მომსახურებაზე მისთვის ხელსაყრელი პირობების მისაღებად, სხვადასხვა ოპერატორის აბონენტი ხდება, ან იყენებს მისთვის ხელსაყრელ მომსახურებებს სხვადასხვა ოპერატორისგან ერთდროულად. აღსანიშნავია, რომ eSIM და iSIM ტექნოლოგიების²² დახმარებით, სულ უფრო მეტ მომხმარებელს ეძლევა საშუალება გამოიყენოს სხვადასხვა ოპერატორის მომსახურება ერთდროულად, ერთი მობილური მონყობილობით.

მობილური აბონენტების რაოდენობა (მლნ) და სიმკვეთე 5 წელზე გავით მოსახლეობაში



¹⁹მონაცემები შეადგენს წლის ბოლოს მაჩვენებელს, 2026 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით.

²⁰აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან განუღებია რაიმე სახის მობილური მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით, მაგრამ სატელეტო ბარათებისა და M2M/IoT მონყობილობების ჩათვლით).

²¹საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს.


²²eSIM / iSIM - ტექნოლოგია, რომელიც მობილურ აპარატშია ქარხნულად ჩამონტაჟებული და იძლევა საშუალებას ფიზიკური SIM ბარათის გარეშე დარეგისტრირდეს და გახდეს ამა თუ იმ მობილური ქსელის აბონენტი.

²³M2M/IoT - მონყობილობებს შორის კავშირისა (M2M) და „საგანთა ინტერნეტის“ (IoT) SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა, ან განუღებია რაიმე სახის მობილური მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი.

ანგარიშის შემდეგ ნაწილში M2M/IoT SIM ბარათები ჩათვლილია აბონენტების რაოდენობაში, გარდა APRU-ს განგარიშებისა.

აბონენტების რაოდენობის ზრდა გამოწვეულია, როგორც იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობის ზრდით, ისე ფიზიკური პირი აბონენტების ზრდით. 2025 წლის ბოლო კვარტალში, იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობამ მთლიანი აბონენტების 26.3% შეადგინა.

აბონენტების რაოდენობა ტიპების მიხედვით (მლნ)



აბონენტების განაწილება



მობილური ოპერატორების საბაზრო წილი, აბონენტების რაოდენობის მიხედვით, 2025 წლის ბოლოსთვის, წინა წელთან შედარებით, თითქმის არ შეცვლილა და ასე განაწილდა: „მაგთიკომი“ - 41%, „სილქნეტი - 36%, „სელფი მობაილი“ - 23%, ხოლო ვირტუალური ოპერატორის, „ეკლექტიკის“, ბრენდული სახელით „ჰალოს“, აბონენტების რაოდენობამ 2025 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებით, 30 ათასი შეადგინა, შესაბამისად მისი საბაზრო წილი 0.4%-ია.

აბონენტების რაოდენობა და ბაზრის წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით (მლნ.)


	2021	2022	2023	2024	2025
 მაგთი MAGTI	2.31 42%	2.44 42%	2.45 41%	2.52 41%	2.63 41%
 სილქნეტი SILKNET	1.85 33%	1.96 33%	2.02 34%	2.17 35%	2.31 36%
 სელფი	1.4 25%	1.45 25%	1.41 24%	1.42 23%	1.47 23%
 ჰალო		0.004 0.1%	0.03 0.1%	0.03 0.5%	0.03 0.4%

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (მლნ.)


	მაგთიკომი	სილქნეტი	სელფი მობაილ	ჰალო	სულ
ფიზიკური	1.9	1.63	1.18	0.02	4.7
იურიდიული	0.72	0.67	0.3	0.0	1.7

2025 წელს, მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 928 მლნ ლარი შეადგინა. საცალო შემოსავლებში „მაგთიკომის“ საბაზრო წილია 47%, „სილქნეტის“ - 35%, „სელფი მობაილს“ - 18% და „ეკლექტიკის“ (ჰალო) – 0.2%.

ბაზრის წილი საცალო შემოსავლების მიხედვით



საცალო შემოსავალი (მლნ. ლარი)



შემოსავლებისა და აბონენტების მიხედვით საბაზრო წილების განსხვავებული გადანაწილება კომპანიებს შორის, იმაზე მიუთითებს, რომ „მაგთიკომის“ აბონენტები საშუალოდ, უფრო მეტ თანხას იხდიან მობილურ მომსახურებებში, ვიდრე „სელფი მობაილის“ მომხმარებლები, ხოლო „სილქნეტის“ შემთხვევაში, აბონენტებისა და შემოსავლის წილები თითქმის თანაბარია, რაც ნიშნავს იმას, რომ „სილქნეტის“ აბონენტები საშუალოდ, „სელფი მობაილის“ აბონენტებზე მეტს, მაგრამ „მაგთიკომის“ აბონენტებზე ნაკლებს იხდიან.

ოპერატორების განაწილება შემოსავლებისა და აბონენტების მიხედვით

აბონენტების მიხედვით

- მაგთიკომი** 41%
- სილქნეტი** 36%
- სელფი მობაილ** 23%
- ჰალო** 0.4%




შემოსავლების მიხედვით

- მაგთიკომი** 47%
- სილქნეტი** 35%
- სელფი მობაილ** 18%
- ჰალო** 0.2%

შემოსავალი აბონენტების ტიპის მიხედვით (მლნ. ლარი)

2025 წელს, მობილური შემოსავლების 80% ფიზიკურმა პირებმა დააგენერირეს, ხოლო 20% - იურიდიულმა პირებმა. ორივე სეგმენტზე შემოსავლები მზარდი ტენდენციით ხასიათდება.



	2021	2022	2023	2024	2025
ფიზიკური	416	542	619	684	741
იურიდიული	138	154	168	181	187

შემოსავალი მობილური მომსახურებების მიხედვით (მლნ. ლარი)

ამასთან, მომსახურებების მიხედვით, შემოსავლების დიდი წილი (61%) მობილურ ინტერნეტზე მოდის.




შემოსავლების განაწილება ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების მიხედვით გვიჩვენებს, რომ კომპანიებისთვის ეს თანაფარდობა, მეტ-ნაკლებად, მსგავსია.

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების მიერ დაგენერირებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით

	მაგთიკომი	სილქნეტი	სელფი მობაილ	კალო
ფიზიკური	47.2%	36.3%	16.4%	0.2%
იურიდიული	50.3%	30.1%	19.6%	0.00001%

მობილური მომსახურებაების შემოსავლები ქვეყნის ეკონომიკურ მარკნებლებთან შედარებით

მობილური მომსახურებიდან შემოსავლების ზრდა მშპ-ს ზრდასთან მიმართებით*




	2021	2022	2023	2024	2025
რეალური მშპ-ს ზრდა	11%	10%	7.5%	9.7%	7.5%
მობილური მომსახურებიდან შემოსავლების ზრდა	13%	25.5%	13.2%	9.8%	7.5%

*„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს 19²⁴ ყველაზე მსხვილი ინდუსტრიის (მთლიანი შიდა პროდუქტის წილით) ზრდის საშუალო ტემპი ბოლო 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული მონაცემებით კვლავ ლიდერობს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინდუსტრია.

მშპ-ს საშუალო ზრდის ტემპი ბოლო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (მე-4 კვარტლის პროგნოზი)



²⁴ „სხვა“ მოიცავს შედარებით მცირე ინდუსტრიის ჯამურ ზრდის ტემპს. ეს ინდუსტრიებია: სოფლის, საძეო და თევზის მეურნეობა; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები; სხვა სახის მომსახურება; წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები და შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის.

აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU)²⁵

2025 წლის მონაცემების მიხედვით, თვის განმავლობაში ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი 5%-ით გაიზარდა და 14.8 ლარი²⁶ (დღგ-ს გარეშე) შეადგინა (ერთ აბონენტზე საშუალო შემოსავალი დათვლილია M2M/IoT-ის აბონენტებისა და შემოსავლების გათვალისწინების გარეშე).

ARPU (ლარი)

2021	10.2
2022	12.5
2023	13.5
2024	14.0
2025	14.8




ოპერატორების ქრილში, 2025 წლის დეკემბრის მონაცემებით, ARPU-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „მაგთიკომს“ აქვს, შემდეგ - „სილქნეტს“, ხოლო მობილურ კავშირზე ყველაზე მცირე თანხას „სელფი მობაილის“ და „ჰალოს“ აბონენტები ხარჯავენ. ამასთან, ოპერატორების ეს მაჩვენებელი, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაზრდილია.

ARPU კომპანიების მიხედვით

	მაგთიკომი	სილქნეტი	სელფი მობაილ	ჰალო
2021	11.8	10.9	6.9	0
2022	15.3	13.0	7.7	7.0
2023	16.1	13.9	9.0	8.5
2024	16.6	14.1	9.8	7.7
2025	17.5	14.4	10.9	9.9

2025 წლის დეკემბრის მონაცემებით, ფიზიკური პირების ARPU-ს მაჩვენებელი 9.5%-ით აღემატება იურიდიული პირებისას. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში, ფიზიკური და იურიდიული პირების ARPU-ს შორის სხვაობა საკმაოდ დინამიკურია. მაშინ, როდესაც 2021 წელს იურიდიული პირი აბონენტების საშუალო შემოსავალი ფიზიკური პირების ამ მაჩვენებელს აღემატებოდა, ახლა, პირიქით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-მ იურიდიული პირების საშუალო შემოსავალს გაუსწრო.

საშუალო ARPU აბონენტების ტიპების მიხედვით



²⁵ARPU – Average Revenue per User, საშუალოდ ერთი აბონენტისგან მიღებული შემოსავალი (დღგ-ს გარეშე).


²⁶2025 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით.

მობილური ინტერნეტი

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ყოველ წელს მნიშვნელოვნად იზრდება. 2021 წლიდან 2025 წლის ბოლომდე, საშუალოდ, მობილური ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის წლიურმა ზრდამ 8.2%²⁷ შეადგინა.

2025 წლის ბოლოსთვის, ინტერნეტ მომსახურებით მობილური ქსელის 5.1 მლნ აბონენტი სარგებლობდა. მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივის მაჩვენებელმა მობილურ აბონენტებში, მნიშვნელოვანი წილი - 80% დაიკავა.

მობილური ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტები (მლნ) და სიმკვრივე



2025 წლის ბოლოსთვის, მობილური ინტერნეტის მომხმარებელი ყველაზე მეტი - 1.95 მლნ აბონენტი „მაგთიკომს“ ჰყავდა, მას მოსდევს „სილქნეტი“ 1.80 მლნ მომხმარებლით, ხოლო „სელფი მობაილის“ 1.38 მლნ აბონენტი სარგებლობს მობილური ინტერნეტით.

კომპანიების ქრილში, აბონენტთა საერთო რაოდენობაში მობილური ინტერნეტის მომხმარებლების წილის მაჩვენებლები განსხვავებულია. პირველ ადგილზე არის „სელფი მობაილი“, მობილურ ინტერნეტს კომპანიის აბონენტების 94% მოიხმარს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი „სელფი მობაილის“ შემთხვევაში, ინტერნეტზე შეთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებითა და მომხმარებელთა სეგმენტითაა განპირობებული. ამავე მაჩვენებლებით, მეორე ადგილს 78%-ით „სილქნეტი“, ხოლო მესამე ადგილს „მაგთიკომი“ 74%-ით იკავებს.

მობილური ინტერნეტის მომხმარებლები (მლნ)

	2021	2022	2023	2024	2025
მაგთიკომი	1.34	1.45	1.52	1.63	1.95
სილქნეტი	1.35	1.48	1.57	1.70	1.80
სელფი	1.06	1.17	1.21	1.25	1.38
პალო	-	0	0.02	0.02	0.02

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე მობილურ აბონენტებში კომპანიების მიხედვით


სელფი	94%
სილქნეტი	78%
მაგთიკომი	74%
პალო	71%



²⁷საშუალო წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate).


2025 წელს, მობილური მომსახურების აბონენტების მიერ დაგენერირებული მობილური ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 27%-ით გაიზარდა და 834 პეტაბაიტი შეადგინა. ეს მოცულობა განპირობებულია მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობისა და ბაზარზე ახალი თაობის ტელეფონების რაოდენობის ზრდით, ასევე, 5G ქსელის დაფარვის გაფართოებითა და ინტერნეტ კავშირზე გაზრდილი მოთხოვნით.

მობილური ინტერნეტ ტრაფიკი (პეტაბაიტი)




2025 წელს „მაგთიკომის“ აბონენტებმა მობილური ინტერნეტის მთლიანი ტრაფიკის 48.7%, ხოლო „სილქნეტისა“ და „სელფი მობაილის“ აბონენტებმა, შესაბამისად, 33% და 19% დააგენერირეს.

ოპერატორების წილი მობილურ ინტერნეტ ტრაფიკში



მობილური ინტერნეტის მთლიანი მოცულობის ზრდა, ასევე, გამოწვეულია ერთ აბონენტზე მობილური ინტერნეტის საშუალო მოცულობის ზრდით. წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 7%-ით გაიზარდა და 16 გბ-ს მიაღწია.

ერთი აბონენტის მიერ თვეში მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება (გბ)




აბონენტის მიერ მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში (გბ)




4G და 5G ტექნოლოგიის მოხმარების ზრდასთან ერთად, იკლებს 2G და 3G ტექნოლოგიებით დაგენერირებული ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობა. 2025 წელს, მთლიანი მობილური ინტერნეტ ტრაფიკის 97.4% 4G და 5G ტექნოლოგიებზე ერთად მოდიოდა.

4G+ 5G ტრაფიკის წილი ჯამურ მობილურ ტრაფიკში



2025 წლის ივნისის ბოლოს, კომუნიკაციების კომისიამ ჩაატარა აუქციონი, რომლის მიზანი იყო მობილური ოპერატორებისთვის 5G ტექნოლოგიისთვის ჰარმონიზებული სიხშირული რესურსების შეთავაზება. აუქციონის შედეგად, 5G ქსელის გამოყენების ლიცენზია „სილენეტმა“ შეიძინა. შესაბამისად, 2025 წლის მეორე ნახევრიდან, უკვე სამივე ოპერატორის აბონენტებს აქვთ ახალი, 5G ტექნოლოგიის სერვისების გამოყენების შესაძლებლობა. პირველად 5G ტექნოლოგიისთვის განკუთვნილი სიხშირეების ლიცენზია „სელფი მობაილმა“ 2023 წელს გამოცხადებული აუქციონის ფარგლებში მოიპოვა, ხოლო 2024 წლის ბოლოს, აუქციონის შედეგად, „მაგთიკომი“ გახდა შესაბამისი სიხშირული რესურსის ლიცენზიის მფლობელი და მეხუთე თაობის ტექნოლოგია კომერციულად მყისიერად გაუშვა.


ყოველივე აღნიშნულის შედეგად, 2025 წელს საქართველოში მობილური ინტერნეტის ტრაფიკში მნიშვნელოვნად გაიზარდა 5G ტექნოლოგიით დაგენერირებული ტრაფიკის წილი.




იურიდიული პირი აბონენტების სეგმენტი

2025 წლის ბოლოსთვის, სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აქტიური აბონენტების რაოდენობამ 299 ათასი შეადგინა, რაც იურიდიული პირი აბონენტების ჯამური რაოდენობის 22%-ია.


იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობის განაწილება




იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავლების განაწილება



კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ყოველთვიური ARPU, საშუალოდ, 0.5 ლარით აღემატება სხვა იურიდიული პირი აბონენტების ARPU²⁸-ს.




კონსოლიდირებული აბონენტების გადასახლება კომპანიების მიხედვით



კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტები „მაგთიკომსა“ და „სილქნეტს“ ჰყავთ, მათგან უფრო დიდი წილი „მაგთიკომზე“ მოდის.

კონსოლიდირებული აბონენტების ARPU კომპანიების მიხედვით (ლარი)




ამასთან, 2025 წლის დეკემბრის მონაცემებით, „მაგთიკომის“ ქსელში კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართულმა აბონენტებმა 1.87 ლარით მეტი დახარჯეს, ვიდრე „სილქნეტის“ იმავე სეგმენტის აბონენტებმა.


²⁸2025 წლის დეკემბრის ARPU.

2025 წლის ბოლოსთვის, ამავე აბონენტებში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების სიმკვრივე 79%-ია, სხვა იურიდიული პირი აბონენტებისთვის ეს მაჩვენებელი 78%-ს შეადგენს, ფიზიკურ პირ აბონენტებში მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კი, 81%-ია, ის აღემატება, როგორც კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე აბონენტების მოხმარებას, ისე სხვა იურიდიული პირების მოხმარებას.

მობილური ინტერნეტის მოხმარებალი მობილური აბონენტების სიმკვრივე აბონენტების მთლიან რაოდენობაში მოცემული სეგმენტების მიხედვით




ერთი აბონენტის მიერ მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში (გბ)



რაც შეეხება ხმოვან მომსახურებას, 2025 წელსაც კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტები ყველაზე მეტს საუბრობენ. 2025 წელს ისინი მობილურზე საუბარს თვეში საშუალოდ, 200 წუთს²⁹ უთმობდნენ. სხვა იურიდიული პირი აბონენტები - 82 წუთს, ხოლო ფიზიკური პირი აბონენტები - 95 წუთს საუბრობდნენ. სამივე სეგმენტისთვის კლებადია საშუალოდ ერთი აბონენტის მიერ გამოყენებული ხმოვანი მომსახურების წუთების რაოდენობა.

საშუალო MOU (წუთი)



²⁹2025 წლის მე-4 კვარტლის საშუალო.

ხმოვანი ტრაფიკი და ზარის საშუალო ხანგრძლივობა (MOU)

ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)


2021	10.23
2022	9.17
2023	8.41
2024	8.02
2025	7.50



მსოფლიო ტენდენციის კვალდაკვალ, ტრადიციული ტექნოლოგიებით მიწოდებული ხმოვანი მომსახურების ტრაფიკის შემცირება საქართველოშიც იკვეთება. აღნიშნულის მიზეზი ინტერნეტის მოხმარების ზრდაა, რაც აბონენტებს საშუალებას აძლევს ხმოვანი კომუნიკაცია ყოველგვარი დამატებითი საფასურის გარეშე, სხვადასხვა სოციალური ქსელის, ან შესაბამისი OTT (Over the Top)³⁰ აპლიკაციების მეშვეობით (WhatsApp, Viber, Zoom, Teams და სხვა) განახორციელონ.

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, ჯამური გამავალი ხმოვანი ტრაფიკი 7%-ით შემცირდა და 7.5 მლრდ წუთი შეადგინა. შემცირებულია MOU³¹-ს მაჩვენებელიც. 2025 წლის საშუალო MOU³²-მ 98 წუთი შეადგინა.

საშუალო MOU



მობილური ოპერატორების წრილში, 2025 წლის მე-4 კვარტლის MOU-ს მონაცემები განსხვავებულია. საშუალოდ თვეში ყველაზე მეტი ხმოვანი ტრაფიკი „სელფი მობაილის“ აბონენტებმა დააგენერირეს, რაც კომპანიის მიერ შეთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებითაა გამოწვეული.

საშუალო ყოველთვიური MOU კომპანიების მიხედვით (მლრდ. წუთი)



108



95



93



6


³⁰ეს არის აპლიკაცია ან სერვისი, რომელიც ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მეშვეობით, ტრადიციული სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გვერდის ავლით, აწვდის მომხმარებელს ისეთ სატელეკომუნიკაციო მომსახურებებს, როგორებიცაა: ტექსტური და მულტიმედიაური შეტყობინებები, ხმოვანი ზარები (აუდიო) და ვიდეო შინაარსი.

³¹MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა.

³²2025 წლის მე-4 კვარტლის საშუალო.

გასული როუმერების რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით, კვარტლების ქრილში, შემდეგია:


გასული როუმერები (ათასი)



გასული როუმერები	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
	2021				2022				2023				2024				2025			
	57	87	132	127	132	194	227	309	153	174	196	172	157	219	284	258	242	278	308	296

სულ როუმინგული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა, 2025 წელს, 36.2 მილიონი ლარი შეადგინა.


შემოსავალი როუმერებიდან (მლნ. ლარი)




ყველაზე მეტი თანხა, 2025 წელს, როუმინგულ მომსახურებაზე საქართველოდან გასულმა როუმერებმა კვლავ თურქეთში დახარჯეს, რასაც ხელს უწყობს თურქეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის გამოყენება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ჩასასვლელად. გარდა ამისა, მეზობელი ქვეყანა, ასევე, წარმოადგენს ხელსაყრელ მიმართულებას მოგზაურობისთვის. მეორე პოზიციას, ამ პარამეტრით, კვლავ რუსეთის ფედერაცია იკავებს, ხოლო არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა მე-5 ადგილიდან, მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

გასული როუმერების მიერ დაგენერირებული შემოსავლის დიდი წილი (64%), კვლავ ინტერნეტ სერვისზე მოდის. სხვა სერვისების მიხედვით, წილები შემდეგია:

გასული როუმერების მიერ დაგენერირებული შემოსავლის გადანაწილება სერვისების მიხედვით




ტოპ ქვეყნები გასული როუმერებისთვის (შემოსავალი, მლნ. ლარი)




საქართველოში ყოფნის დროს, მობილურ მომსახურებაზე ყველაზე დიდი თანხა დახარჯეს რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულმა როუმერებმა. ეს ტენდენცია არ შეცვლილა 2025 წელსაც.

ჩამოსული როუმერების მიერ დაგენერირებული შემოსავლის გადანაწილება სერვისების მიხედვით:


ჩამოსული როუმერების მიერ დაგენერირებული შემოსავლის გადანაწილება სერვისების მიხედვით



ტოპ ქვეყნები ჩამოსული როუმერებისთვის (შემოსავალი, მლნ. ლარი)



მობილური ნომრების პორტირება




პორტირებადი ნომრების რაოდენობა (ათასი)

2021	37
2022	52
2023	39
2024	38
2025	39


2025 წელს, მობილური ოპერატორების ქსელებში 39 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა, რაც 2024 წელთან შედარებით, ათასი ნომრით მეტია.

პორტირებადი აბონენტების რაოდენობა (ათასი)



ყველაზე მეტი აბონენტი კვლავ „მაგთიკომის“ ქსელში დაპორტირდა, ყველაზე მეტი პორტირებული აბონენტი კი „სელფი მობაილის“ ქსელიდან დაფიქსირდა.


პორტირებადი ოპერატორების მიხედვით (ათასი)



საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი წლიდან წლამდე იზრდება. აღნიშნული, ძირითადად, ქვეყანაში საცხოვრებელი სახლებისა და ბიზნეს ორგანიზაციების რაოდენობის ზრდით, ასევე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებითა და მისი დაფარვის არეალის გაფართოებითაა განპირობებული. ბოლო წლების დინამიკა მიუთითებს, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიწოდებული ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობა სტაბილურად იზრდება, ხოლო შედარებით მოძველებულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მომსახურებების (xDSL და ფიქსირებული უსადენო, მათ შორის ფიქსირებული LTE ინტერნეტი) მომხმარებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. აღნიშნული ცვლილება ტექნოლოგიურ სტრუქტურაში, ძირითადად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ტექნიკური და ეკონომიკური უპირატესობებითაა განპირობებული, მათ შორის, მონაცემთა გადაცემის უფრო მაღალი სიჩქარით, გაზრდილი გამტარუნარიანობითა და დაბალი დაყოვნებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ვითარდება სატელიტური ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურებაც, რაც განპირობებულია ქვეყანაში Starlink-ის მომსახურების ხელმისაწვდომობით. სატელიტური ინტერნეტის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც ფიქსირებული ინფრასტრუქტურის განვითარება ეკონომიკურად ნაკლებად ეფექტიანია.

2025 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 1.21 მილიონი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 4.7%-ით, დაახლოებით 54 ათასი აბონენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა თანაბრად - 4.7%-ით გაიზარდა. გრძელვადიანი დინამიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აბონენტთა რაოდენობის ზრდა, სტაბილური ტენდენციით ხასიათდება. საანგარიშო პერიოდში აბონენტების რაოდენობის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა, ფიზიკური პირი აბონენტების შემთხვევაში 4.6%, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების შემთხვევაში - 5.4% შეადგინა.

აბონენტების რაოდენობა ხელშეკრულების ტიპის მიხედვით (ათასი)




³³ITU-ს განმარტებით, ეს არის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა გადაცემა განხორციელდეს 256 კბ/წმ ან მეტი სიჩქარით, წყარო: Manual for measuring ICT Access and Use by Households and Individuals by ITU, 2014 Edition.

2025 წელს, ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობამ 1.15 მილიონი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 51.4 ათასი აბონენტით მეტია. ანგარიშის მომზადების პერიოდში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ, შინამეურნეობის 2024 წლის აღწერა, გამოქვეყნებული არ იყო, შესაბამისად, პენეტრაციის მონაცემები წარმოდგენილი იქნება კომუნიკაციების კომისიის მომდევნო წლის ანგარიშში.

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის ყველაზე დიდი ზრდა, 20 ათასი აბონენტით - „სილქნეტს“ და 13 ათასი აბონენტით - „სქაიტელს“ ჰქონდა. „სქაიტელის“ აბონენტების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი კომპანიის მიერ 2025 წლის განმავლობაში რამდენიმე მცირე ოპერატორის შერწყმა იყო.


ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)



	2021	2022	2023	2024	2025
მაგთიკომი	474	497	508	518	529
სილქნეტი	285	308	322	341	361
საბეილი	50	55	58	64	77
საბალი ქსელების ჯგუფი	59	60	64	64	64
სხვა	94	104	109	115	123

2025 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, იურიდიული პირი აბონენტების ყველაზე დიდი რაოდენობა „სილქნეტს“ ჰყავს, მეორე ადგილზე „მაგთიკომია“, ხოლო მესამე ადგილს, წინა წლის მსგავსად, „სქაიტელი“ იკავებს.


იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)



	2021	2022	2023	2024	2025
სილქნეტი	20	21	23	24	26
მაგთიკომი	14	15	16	16	16
საბეილი	5	6	6	6	7
საბალი ქსელების ჯგუფი	3	3	3	3	3
სხვა	5	7	6	7	6


2025 წელს, ფიქსირებული ფართობოლოგანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 9%-ით გაიზარდა და 454 მლნ. ლარი შეადგინა.

საცალო სავაჭრის შემოსავლები (მლნ. ლარი)



შემოსავლისა და აბონენტთა რაოდენობის ზრდის ტემპი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განსხვავებულ სურათს აჩვენებს. კერძოდ, ფიქსირებული ფართობოლოგანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 11.4%-ია, ხოლო აბონენტთა რაოდენობის საშუალო წლიური ზრდა 4.7%. აღნიშნული დისბალანსი მიუთითებს იმაზე, რომ საშუალოდ, ერთი აბონენტის მიერ გადახდილი სააბონენტო საფასური წლიდან წლამდე მატულობს, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ტარიფების ზრდასთან, ისე მაღალფასიანი სერვისების მეტად გამოყენებასთან.


საცალო შემოსავლის და აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი




იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავალი, მთლიანი ოდენობის 28%-ს შეადგენს მაშინ, როცა ამ ტიპის აბონენტების რაოდენობა ბაზრის მხოლოდ 5%-ია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ განსხვავებით მობილური მომსახურებებისგან, იურიდიული პირი აბონენტების მომსახურების საფასური მნიშვნელოვნად აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების მიერ გადახდილ სააბონენტო გადასახადს.

შემოსავლისა და აბონენტების გადანაწილება აბონენტების ტიპების მიხედვით


აბონენტების რაოდენობა



მიღებული შემოსავალი




- ფიზიკური
- იურიდიული




აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, ფიქსირებული ფართობოლოგანი ინტერნეტ მომსახურებიდან შემოსავლის 87% ბაზრის ოთხმა დიდმა მოთამაშემ დააგენერირა, ხოლო 13% - შედარებით მცირე კომპანიებზე გადანაწილდა. „მაგთიკომს“, შემოსავლის მიხედვით, ბაზრის 44.3% უკავია, „სილქნეტს“ - 32.8%, „სქაიტელს“ - 6.2%, ხოლო „ახალი ქსელების ჯგუფს“ - 3.7%.

შემოსავლების გადანაწილება კომპანიების მიხედვით




ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების შრილში თუ შევადარებთ, აბონენტებისგან მიღებული შემოსავლის წილების მიხედვით, ფიზიკურ პირებში ყველაზე დიდი წილი „მაგთიკომს“, ხოლო იურიდიულ პირებში - „სილქნეტს“ უკავია.

ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით




იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით



ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლისა და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ცვლილების პროცენტული მაჩვენებლები, 2025 წელს კვლავ დადებითია და წინა წელთან შედარებით, უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. მშპ-ს ზრდის ტემპი 9.4%-დან 7.5%-მდე³⁴ შემცირდა, ხოლო ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ზრდის ტემპი 6%-დან 9%-მდე გაიზარდა.

მშპ-სა და ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლის ზრდის ტემპი



2025 წელს, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-მ³⁵ 24.8 ლარი, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების ARPU-მ 184.8 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, იურიდიული პირი აბონენტების ამ მაჩვენებლის 3.7%-იან ზრდას წარმოადგენს, ხოლო ფიზიკური პირი აბონენტების ეს მაჩვენებელი 7.7%-ით გაიზარდა.

ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების ARPU

	2021	2022	2023	2024	2025
■ იურიდიული	149.5	157.1	169.7	178.2	184.8
■ ფიზიკური	19.1	22.4	23.1	23.1	24.8




³⁴ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი მონაცემები.

³⁵ ARPU – Average Revenue per User - ერთ აბონენტზე საშუალო შემოსავალი.


2025 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისში, 40%-ით აღემატება რეგიონებში არსებული აბონენტების ამავე მაჩვენებელს. დედაქალაქში ARPU წინა წელთან შედარებით, 4%-ით, ხოლო რეგიონების შემთხვევაში - 12%-ით გაიზარდა.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისსა და რეგიონებში



ფიზიკური პირი აბონენტების ARPU ყველაზე მაღალი ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე და 24.4 ლარს შეადგენს.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (ლარი) ტექნოლოგიების მიხედვით




აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირი აბონენტების ARPU სატელიტურ ტექნოლოგიაზე, მნიშვნელოვნად აღემატება ბაზარზე არსებული სხვა ტექნოლოგიების ARPU-ს და ის 190.8 ლარს შეადგენს.

ფიზიკური პირი აბონენტების უმეტესი ნაწილი, 90.8%, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობს, სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით, დიდი წილი (7.9%) ფიქსირებულ უსადენო ტექნოლოგიაზე მოდის.


იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით, მცირედით განსხვავებულია. აქ ფიქსირებულ უსადენო (FWA)³⁶ და xDSL ტექნოლოგიებს, შედარებით დიდი წილი უჭირავს, ვიდრე ფიზიკური პირი აბონენტების ბაზრის სეგმენტზე.

³⁶Fixed Wireless Access (FWA) — ფიქსირებული უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგია.

ფიზიკური პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით



იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




ბოლო 5 წლის განმავლობაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა ზრდას განაგრძობს და ჯამურად მისი წლიური ზრდის ტემპი 5.7%-ს შეადგენს. წინა წელთან შედარებით, აღნიშნული ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა 5.2%-ით - 54.5 ათასი აბონენტით გაიზარდა.

აბონენტების რაოდენობის მიხედვით, ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებაში წამყვანი პოზიცია უკავია ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას, რომლის წილი ბაზარზე 91%-ს შეადგენს, ხოლო მეორე პოზიციაზეა ფიქსირებული უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგია 8%-ით. 2025 წელს, წინა წლის ანალოგიურად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო ფიქსირებული LTE, xDSL და ფიქსირებული უსადენო ინტერნეტის აბონენტთა რაოდენობა შემცირდა. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარების ინტენსიური პროცესით და მისი დაფარვის არეალის ზრდით, რაც ხელს უწყობს ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ზრდას. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს Starlink-ის საქართველოს ბაზარზე შემოსვლის შედეგად, ხელმისაწვდომი გახდა სატელიტური ინტერნეტ მომსახურება. 2025 წლის მონაცემებით, აღნიშნული ტექნოლოგიის აბონენტთა რაოდენობამ 4,794 შეადგინა.


2021 წლიდან, წელიწადში საშუალოდ 17.6%-ით იკლებს xDSL ტექნოლოგიისა და 22.6%-ით - ფიქსირებული LTE ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა. ავტორიზებული პირები სულ უფრო აქტიურად ცდილობენ მოძველებული და შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობების მქონე ტექნოლოგია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით ჩაანაცვლონ.

აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




2025 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების 50.5% „მაგთიკომის“ მომსახურებით სარგებლობდა, 33.6% - „სილქნეტის“, ხოლო სხვა ოპერატორების წილი, ჯამში, 16%-ს შეადგენდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




2025 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით, ფიქსირებული უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების 56.4% „სქაიტელის“ მომსახურებით სარგებლობდა, სხვა ოპერატორების წილი ჯამში 43.6%-ს შეადგენდა.

ფიქსირებული უსადენო ინტერნეტის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




რაც შეეხება xDSL ტექნოლოგიას, ფიზიკური პირი აბონენტების (სულ 9 ათასი) 83% „სილქნეტის“, 9% - „ახალი ქსელების ჯგუფის“, 7% - „გლობალ ერთის“ და 1% - „სერვისნეტის“ მომხმარებელი იყო.


xDSL ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით




ფიქსირებული ინტერნეტის 50 მბ/წმ-იანი პაკეტის 3 ლარით გაძვირების შემდეგ, „მაგთიკომმა“ 2025 წლის შემოდგომაზე, 50 მბ/წმ სიჩქარე 70 მბ/წმ-მდე გაზარდა.




ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება თბილისსა და რეგიონებში, პაკეტების მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით, ასე გამოიყურება: თბილისში ყველაზე მეტი, 242 ათასი აბონენტი 70 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ პაკეტით სარგებლობს; მეორე ადგილზეა 45 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტის პაკეტი, 114 ათასი აბონენტით; 80 მბ/წმ სიჩქარით - 29 ათასი აბონენტი, ხოლო 100 მბ/წმ სიჩქარით - 7 ათასი აბონენტი სარგებლობს.



რეგიონებშიც ანალოგიური სურათია: პირველ ადგილს 70 მბ/წმ სიჩქარის პაკეტი იკავებს, 269 ათასი აბონენტით, ხოლო მეორე ადგილზე 45 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტის პაკეტი, 128 ათასი აბონენტით.



ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით (რეგიონები)




100 მბ/წმ და მეტი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში, საშუალოდ, ოჯახების 72% სარგებლობს 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტით³⁷. შედარებისთვის, საქართველოში ოჯახების მხოლოდ 2%-ს აქვს 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტი.

³⁷The Digital Economy and Society Index (DESI) Indicators, 2025.


2025 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობის პროცენტული გადანაწილება თბილისსა და რეგიონებში, წინა წელთან შედარებით, მცირედით შეიცვალა.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში (წილი, ათასი აბონენტი)




2025 წელს, წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობის 5.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა რეგიონებში, თბილისში კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 3.4% შეადგინა.


აბონენტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში (ათასი)



აბონენტების განაწილება კომპანიების მიხედვით თბილისსა და რეგიონებში (ათასი)




აბონენტების რაოდენობა რეგიონებში კომპანიების მიხედვით (ათასი)



2025 წლის ბოლოს, საქართველოს ხუთი დიდი ქალაქის: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა, ქვეყნის აბონენტების რაოდენობის 61%-ს შეადგენდა. აღნიშნულ ქალაქებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი ვითარდება და შესაბამისად, მზარდია ამ ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა.


აბონენტების რაოდენობა საქართველოს 5 დიდ ქალაქში ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)



აღსანიშნავია, რომ ხუთივე დიდ ქალაქში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების წილი, თითოეული ქალაქის ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მთლიანი რაოდენობის 98%-ია.


ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 66% (722 ათასი აბონენტი) საქართველოს ხუთ დიდ ქალაქზე: თბილისზე, ქუთაისზე, ბათუმზე, რუსთავსა და ფოთზე მოდის.

აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დასახლებებში ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების მთლიანი რაოდენობის 46%, 509 ათასი აბონენტი, თბილისშია, სხვა ოთხ დიდ ქალაქზე (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი) ჯამში, ამ ტექნოლოგიის მომხმარებელთა 20% (213 ათასი აბონენტი) მოდის, დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე კი - 34%, რაც 375 ათას აბონენტს შეადგენს.

ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე



ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში. რაც შეეხება სოფლებს, საქართველოში სულ 3,385 სოფელია, საიდანაც 76%-ს ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა აქვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს აგრეთვე, ფარავს Starlink-ის მაღალსიჩქარიანი სატელიტური ინტერნეტი, რომელიც ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მიღების საშუალებას ყველა დასახლებულ პუნქტში იძლევა.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა დასახლებებში (ცხრილში მოცემულია დასახლებების რაოდენობა)




	ქალაქი	დაბა	სოფელი
● არ არის ხელმისაწვდომი	0	0	802
● ხელმისაწვდომია	56	35	2,583
დასახლებების რაოდენობა	56	35	3,385

ფიქსირებულ ინტერნეტთან კომბინაციაში სხვა საკომუნიკაციო სერვისების მოხმარება

საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტის აბონენტების ნაწილი, ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად, იმავე მომწოდებლის სხვა სატელეკომუნიკაციო სერვისებთან სარგებლობს. სხვადასხვა მომსახურების კომბინაციებს მომხმარებლებს, ძირითადად, „სილქნეტი“, „მაგთიკომი“, „სქაიტელი“ და „ახალი ქსელების ჯგუფი“ სთავაზობენ.

ოპტიკური ინტერნეტის აბონენტთა უდიდესი ნაწილი ინტერნეტ მომსახურებას მაუწყებლობის ტრანზიტის სერვისთან ერთად მოიხმარს. მათი წილი 61.8%-ს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (58.1%) შედარებით, გაზრდილია. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ მომხმარებლები სულ უფრო მეტად ანიჭებენ უპირატესობას ინტერნეტისა და ტელევიზიის ერთიან პაკეტებს. ამასთან, სავარაუდოდ, სწორედ ამ ტენდენციის გავლენით შემცირდა მხოლოდ ინტერნეტ მომსახურებით მოსარგებლე აბონენტთა წილი. თუ 2024 წელს მათი წილი 30.3% იყო, 2025 წელს - 27.4%-მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ცალკე მდგომი ინტერნეტ მომსახურების აბონენტთა რაოდენობა აბსოლუტურ მაჩვენებელშიც შემცირებულია. სამი სერვისის კომბინაციებს შორის კვლავ ყველაზე მეტად გავრცელებულია ინტერნეტის, ტელევიზიისა და მობილური მომსახურებების ერთობლივი გამოყენება, ხოლო მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინტერნეტის, ტელევიზიისა და ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების კომბინაცია. ერთი მომწოდებლის ოთხივე მომსახურებით მოსარგებლე აბონენტთა წილი, კვლავ უმნიშვნელოა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ კომპანიების ერთობლივი საბაზრო წილი, რომლებიც ფიქსირებულ ოპტიკურ ინტერნეტთან ერთად, მომხმარებლებს სხვა სატელეკომუნიკაციო სერვისებსაც სთავაზობენ, აბონენტების რაოდენობის მიხედვით, ფართობლოვანი ინტერნეტის მთლიანი ბაზრის დაახლოებით 90%-ს³⁸ შეადგენს.




³⁸2025 წლის მე-4 კვარტალის მონაცემები, კომუნიკაციების კომისია.
³⁹ანალოგში მონაწილეობს „მაგთიკომის“, „სილქნეტის“, „სქაიტელისა“ და ახალი ქსელების ჯგუფის“ ფიზიკური პირი აბონენტები.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება⁴⁰

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიწოდება ხორციელდება სადენიანი, უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიებით. 2025 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით, მომსახურების მიწოდებას 28 კომპანია ახორციელებდა. ფიქსირებული სადენიანი ტექნოლოგიით მომსახურებას 7 ავტორიზებული პირი, უსადენოთი – 1, ხოლო VoIP ტექნოლოგიით - 24 პირი⁴¹ აწვდიდა.


2025 წლის ბოლოს, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 234 ათასი შეადგინა. 2024 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 9%-ით (24 ათასი აბონენტი) შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების (შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის) შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და ამით გამოწვეული OTT⁴² სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.

აბონენტების რაოდენობა (ათასი)



2025 წელს, წინა წლების ანალოგიურად, აბონენტების რაოდენობა შემცირდა გამოყენებულ სადენიან ტექნოლოგიაზე.

აბონენტების რაოდენობა (ათასი)



⁴⁰2025 წლის მე-4 კვარტლის მიხედვით.


⁴¹ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით, ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების რაოდენობის ჯამს.

⁴²ეს არის აპლიკაცია ან სერვისი, რომელიც ინტერნეტის (IP) მეშვეობით აძლევს მომხმარებელს საშუალებას, ისარგებლოს ისეთი სატელეკომუნიკაციო მომსახურებებით, როგორებიცაა: ტექსტური და მულტიმედიური შეტყობინებები, ხმოვანი ზარები (აუდიო) და ვიდეო შინაარსი.


მობილური მომსახურების პირობებისგან განსხვავებით, ფიქსირებული მომსახურების მიწოდებისას, თუ აბონენტი ფიქსირებულ მომსახურებას არ მოიხმარს, ფიქსირებული სატელეფონო ოპერატორის მხრიდან, მისთვის სატელეფონო ნომრის/ხაზის გაუქმება მოკლე ვადაში არ ხდება, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს აბონენტების რაოდენობის შენარჩუნებას.

აბონენტების კლებასთან ერთად, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)




აბონენტების რაოდენობის შესაბამისად, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკის კლების ტენდენციაც გრძელდება.

გამავალი ნუთები (მლნ)




გამავალი წუთების წილი
ტექნოლოგიების მიხედვით




სადენიანი ტექნოლოგიის აბონენტების დიდი წილის მიუხედავად, იკვეთება, რომ VoIP ტექნოლოგიის საშუალებით დაგენერირებულ ტრაფიკს, გამავალი წუთების მთლიან რაოდენობაში უფრო დიდი წილი უკავია.

სადენიანი ტექნოლოგიის აბონენტების
განაწილება კომპანიების მიხედვით



ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე, სადენიანი ტექნოლოგიის მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების აბონენტების მიხედვით, ბაზრის ლიდერია „სილქნეტი“, რომელსაც ბაზრის 68%-ი უკავია.

VoIP ტექნოლოგიის აბონენტების
განაწილება კომპანიების მიხედვით



VoIP ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობის გადანაწილებაში „სილქნეტს“ ყველაზე დიდი წილი (32%) აქვს.

მაუწყებლობის ტრანზიტი⁴³

2025 წელს, მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებით 803 ათასი აბონენტი სარგებლობდა⁴⁴, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 3%-ით (27 ათასი აბონენტი) მეტია. 2021 წლის შემდეგ, აბონენტების რაოდენობის ყოველწლიური საშუალო ზრდა 2.75%-ია.


ანგარიშის მომზადების პერიოდში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ, შინამეურნეობის 2024 წლის აღწერა, გამოქვეყნებული არ იყო, შესაბამისად, პენეტრაციის მონაცემები წარმოდგენილი იქნება კომუნიკაციების კომისიის მომდევნო წლის ანგარიშში.

აბონენტების რაოდენობა (ათასი)

2025		803
2024	+3%	776
2023	+4%	745
2022	-1.3%	755
2021	+0.5%	751



2025 წელს, მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებულმა საცალო შემოსავალმა 157.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 5%-ით (7 მლნ ლარი) მეტია. საცალო შემოსავლების ყოველწლიური საშუალო ზრდა 2021 წლის შემდეგ 6%-ია.




⁴³მონაცემები წარმოდგენილია 2025 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით.


⁴⁴2025 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემები.

2025 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, IPTV ტექნოლოგია მაუწყებლობის ტრანზიტის კვლავ ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მისი წილი, წინა წელთან შედარებით, 5%-ით გაიზარდა და 87% გახდა. IPTV-ის საცალო შემოსავლების წილიც, მთლიან შემოსავალში, 3%-ით გაიზარდა და 92% შეადგინა.

აკონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ. ლარი)




წლის ქრილში, თვის საშუალო ARPU მცირედით გაზრდილია ყველა სახის ტექნოლოგიაში.


საშუალო წლიური ARPU ტექნოლოგიების მიხედვით



IPTV-ის აბონენტების რაოდენობა (ათასი)



IPTV-ის საცალო შემოსავლები (მლნ ლარი)



IPTV მომსახურებას 2025 წლის ბოლო კვარტალში, ძირითადად ორი ოპერატორი - „მაგთიკომი“ (52%) და „სილქნეტი“ (38%) აწვდიდა.




IPTV-ის აბონენტების განაწილება




ტრანზიტორებმა, 2025 წელს, სააბონენტო შემოსავლის 97.6% ფიზიკური პირებისგან მიიღეს, იურიდიულ პირებს კი, მხოლოდ 2.4% ეკუთვნით. შედარებისთვის, 2024 წელს, ეს მაჩვენებელი 97.5% და 2.6% იყო. ორივე შემთხვევაში, აბონენტების გადანაწილება ერთგვარია და აბონენტების 99%-ს ფიზიკური პირები შეადგენდნენ.

სააბონენტო შემოსავლების გადანაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით



აბონენტების გადანაწილება ხელშეკრულების ტიპის მიხედვით



მულტიპლექს მომსახურება

2025 წელს, საქართველოში სულ 27 მულტიპლექსის ოპერატორი საქმიანობდა, თუმცა მულტიპლექსის მომსახურებით კომერციული შემოსავალი მხოლოდ 9 მათგანმა მიიღო. დანარჩენი ოპერატორები საკუთარ არხებს/არხს ავრცელებდნენ, შესაბამისად, მულტიპლექსით კომერციულ მომსახურებას არ ეწეოდნენ.

მულტიპლექსით მომსახურებიდან ოპერატორებმა, შემოსავლის სახით, წლის განმავლობაში 6.3 მლნ ლარი მიიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი „სტერეო+“-სა და „საქართველოს ტელერადიოცენტრზე“ მოდიოდა.




მულტიპლექსების მიერ დაგენერირებული შემოსავლების განაწილება

სტერეო +	73%
საქართველოს ტელერადიოცენტრი	25%
სხვა	3%

ელექტრონულ კომუნიკაციაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები


ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების⁴⁵ ოდენობა წლიდან წლამდე მზარდია. 2025 წელს, წინა წელთან შედარებით, კაპიტალური ინვესტიციები 17%-ით გაიზარდა და 395 მლნ. ლარს გადააჭარბა.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიცია (მლნ. ლარი)




ქსელის ტიპების მიხედვით, განხორციელებული ინვესტიციების უდიდესი წილი კვლავ მობილურ საკომუნიკაციო ქსელზე მოდის. 2025 წელს კაპიტალური ინვესტიციების თითქმის 76% მობილურ ქსელს მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ ოპერატორები ქვეყნის მასშტაბით, აქტიურად ავითარებენ 5G ტექნოლოგიას, რაც დიდ ინვესტიციებს მოითხოვს.

ელექტრონულ კომუნიკაციაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება ქსელის ტიპების მიხედვით




⁴⁵მოიცავს მობილური და ფიქსირებული (სადენიანი და უსადენო) მომსახურების ქსელსა და მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების ოდენობას. კაპიტალური ინვესტიციების ოდენობაში შედის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული იმ პირების მონაცემები, რომლებმაც წლიურად მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ. ლარი)




მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ. ლარი)



მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის განაწილებაში არ შედის „სილქნეტის“ მიერ 2025 წელს შეძენილი 5G სიხშირული ლიცენზიის საფასური - 48.8 მლნ ლარი.


წინა წლის მსგავსად, მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი (64%) ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე მოდის.

მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის განაწილება (მლნ. ლარი)




მობილური მომსახურების მსგავსად, 2025 წელს „მაგთიკომმა“ ფიქსირებულ მომსახურებაში სხვა კომპანიებზე მეტი ინვესტიცია განახორციელა და მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის წილმა 47%-ს გადააჭარბა. მას მცირედ ჩამორჩება „სილქნეტი“, რომელმაც ფიქსირებულ მომსახურებაში 40 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა და მისი ინვესტიციების წილმა 43%-ს გადააჭარბა.

ფიქსირებაულ* მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ. ლარი)



ფიქსირებულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების ნახევარზე მეტი (52%) აპარატურაზე მოდის, ხოლო ერთი მესამედი ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე გადანაწილდა.

ფიქსირებაულ* მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის განაწილება (მლნ. ლარი)



*მოიცავს ფიქსირებულ სადენიან და უსადენო ქსელებს და მათზე მომსახურების ტრანზიტის მომსახურებას.

2025 წელს, მაუწყებლობის დარგში 102 მოქმედი⁴⁶ კომპანია დაფიქსირდა, რომელთა ჯამური შემოსავალი, სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლების ჩათვლით, 240.6 მლნ ლარი იყო.

გასულ წელს 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი არცერთმა მაუწყებელს არ მიუღია. B კატეგორიაში⁴⁷ კი, სულ 4 მაუწყებელი იყო, რომელთა მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა მაუწყებლების ჯამური შემოსავლების 71.8% დააგენერირა.

ხოლო იმ კომპანიების ჯამურმა შემოსავალმა, რომლებმაც 2025 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 59 პირი), მთელი შემოსავლების 0.8% შეადგინა.

2025 წელს, მაუწყებლობიდან შემოსავალი⁴⁸ 101 კომპანიას დაუფიქსირდა. მათმა ჯამურმა შემოსავალმა კი, 123.5 მლნ ლარი შეადგინა. მაუწყებლობიდან 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 2-მა კომპანიამ - „ტელემედი“ და „მედია ჰოლდინგმა“ მიიღო (B კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 52.7% იყო. იმ კომპანიების ჯამურმა შემოსავალმა, რომლებმაც 2025 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 60 პირი), მთელი შემოსავლების 1.6% შეადგინა.


2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყანაში 108 სატელევიზიო სამაუწყებლო არხი იყო ავტორიზებული. აქედან კი, ღია საეთერო ეროვნული სატელევიზიო მაუწყებელი - 17. ამას ემატება „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის“ ოთხი არხი. შესაბამისად, 2025 წელს, სულ 21 ღია საეთერო ეროვნული სამაუწყებლო არხი მაუწყებლობდა.

რაც შეეხება რადიომაუწყებლებს, 46 კომპანია ფლობს რადიომაუწყებლობის 84 ლიცენზიას, ხოლო ავტორიზებულია 12 რადიომაუწყებელი.


2025 წლის განმავლობაში, შემოსავალი 68 სატელევიზიო და 39 რადიომაუწყებელს დაუფიქსირდა.

2025 წელს, მაუწყებლობიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 123.5 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 115.3 მლნ ლარი ტელევიზიებმა, 8.1 მლნ ლარი კი, რადიოებმა მიიღეს.


მაუწყებლობის შემოსავლის წილები კატეგორიების მიხედვით



მოქმედ მაუწყებლობა განაწილება მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით



მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ. ლარი)⁴⁹



⁴⁶მოქმედად განიხილება კომპანია, რომელსაც წლის განმავლობაში მაუწყებლობიდან რაიმე სახის შემოსავალი დაუფიქსირდა.

⁴⁷კატეგორიები შემოსავლების მიხედვით:


⁴⁸მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი გულისხმობს მაუწყებლის მიერ მიღებულ შემოსავალს გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლებისა.

⁴⁹მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუწყებლების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ. ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ. ლარიდან 100 მლნ. ლარამდე
C	1 მლნ. ლარიდან 10 მლნ. ლარამდე
D	100 000 ლარიდან 1 მლნ. ლარამდე
E	100 000 ლარზე ნაკლები

2025 წელს, ტელევიზიებისა და რადიოების ჯამური სარეკლამო⁵⁰ შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 18%-ით გაიზარდა და 109.4 მილიონი ლარი შეადგინა.

გაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)^{51/52}



2025 წელს, ტელევიზიების კომერციული სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხა 100.1 მილიონი ლარია, რაც წინა წელთან შედარებით, 41.6%-ით არის გაზრდილი.


სატელევიზიო კომერციული რეკლამის შემოსავალი (მლნ ლარი)

2025	100.1
2024	70.7
2023	87.3
2022	73.7
2021	79.7



აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული ჯამური⁵³ სამაუწყებლო შემოსავლის 76.7%-ს კომერციული რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა.

სატელევიზიო გაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით



⁵⁰რეკლამა აერთიანებს 5 კატეგორიას - პირდაპირი რეკლამა (მათ შორის ფასიანი პოლიტიკური რეკლამა), სპონსორობა, ტელეშოპინგი, განცხადებები და პროდუქტის განთავსება.

⁵¹იგულისხმება ყველა ტიპის შემოსავალი, გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა.

⁵²მოცემული ინფორმაცია გასული წლის ანგარიშში მითითებული მონაცემებისგან განსხვავდება, რადგან მაუწყებლების ნაწილმა ინფორმაციის კორექცია მოახდინა.

⁵³გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა.

⁵⁴კატეგორია „სხვა“ მოიცავს ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებიდან მიღებულ შემოსავლებსაც.

ტელევიზიების მიერ მიღებული ჯამური სარეკლამო შემოსავლის ძირითად წყაროს კომერციული რეკლამა, პროდუქტის განთავსება და სპონსორობა შეადგენდა.

სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული კომერციული სარეკლამო შემოსავლის გადანაწილება კატეგორიების მიხედვით



სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების⁵⁵ ოდენობის მიხედვით, 2025 წელს ყველაზე დიდი წილი - 39.1% „ტელეიმედს“ ეკავა, „მედია ჰოლდინგს“⁵⁶ - 17.4%, „პოსტეს“ - 6.9%, „სილქ მედიას“ - 6.5%, „ტელეკომპანია პირველს“ - 6.4%, „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს - 5.7%, „ფორმულას“ - 4.5%, „ბი ემ ჯის“ - 3.6%, „საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნებას“ - 1.7%, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ კი - 1.3%. სხვა მაუწყებლების შემოსავლების ჯამურმა წილმა 6.9% შეადგინა.

2025 წელს მიღებული სატელევიზიო კომერციული სარეკლამო⁵⁷ შემოსავლების ოდენობის მიხედვით, ყველაზე დიდი წილი „ტელეიმედს“ ეკავა - 45.4%, „მედია ჰოლდინგს“ - 18.7%, „პოსტეს“ - 7.7%, „ჯი-დი-ეს თი-ვის“ - 6.7%, „ტელეკომპანია პირველს“ - 5.9%, „ფორმულას“ - 4.8%, „ბი ემ ჯი“-ს - 4.2%, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ - 1.3%, „სილქნეტს“ - 1%, „პალიტრანიუსს“ - 0.6%. სხვა მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 3.8% შეადგინა.

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით

სატელევიზიო კომერციული სარეკლამო შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით

ტელეიმედი	39.1%
მედია ჰოლდინგ	17.4%
პოსტ	6.9%
სილქ მედია	6.5%
ტელეკომპანია პირველი	6.4%
ჯი-დი ეს-თი-ვი	5.7%
ფორმულა	4.5%
ბი ემ ჯი	3.6%
საქართველოს საპატრიარქო ტელევიზია ერთსულოვნება	1.7%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	1.3%
სხვა	6.9%



ტელეიმედი	45.4%
მედია ჰოლდინგ	18.7%
პოსტ	7.7%
ჯი-დი ეს-თი-ვი	6.7%
ტელეკომპანია პირველი	5.9%
ფორმულა	4.8%
ბი ემ ჯი	4.2%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	1.3%
სილქნეტი	1.0%
პალიტრანიუსი	0.6%
სხვა	3.8%


⁵⁵გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვა არასამაუწყებლო შემოსავლისა.

⁵⁶„მედია ჰოლდინგი“ მოიცავს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს, „მაროსა“ და „კომედი არხს“.

⁵⁷კომერციულ სარეკლამო შემოსავალს მოიცავს: პირდაპირი რეკლამა, სპონსორობა, ტელეშოპინგი, განცხადებები და პროდუქტის განთავსება.

2025 წელს, ტელემაუწყებლების რეკლამის დამკვეთებს შორის, შემოსავლებით სასურსათო სექტორი 27.3 მილიონი ლარით ლიდერობს, მეორე ადგილზე ფარმაციაა - 6.2 მილიონი ლარით, ხოლო მესამე ადგილზეა - დისტრიბუცია - 3 მილიონი ლარით.


შემოსავლის პროცენტული განაწილება სექტორების მიხედვით



პირდაპირ და გადახვევის რეჟიმებში ყურებადობა

2025 წელს, ერთი ადამიანი საშუალოდ, დღის განმავლობაში, ტელევიზორს დაახლოებით 155 წუთს უყურებდა.

პირდაპირი და გადახვევის რეჟიმში ყურება



⁵⁸2023 წელს მონაცემების მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებულია კომპანია „ტრი მედია ინტელიჯენსის“ მიერ აუდიტორიის საზომი კვლევის პანელის გაფართოებით.

რადიომაუწყებლობა

რადიომაუწყებლობის
სარეკლამო შემოსავლები
(მლნ ლარი)

2025 წელს, რადიომაუწყებლების სარეკლამო შემოსავლებმა 7.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით, 1.3 მლნ ლარით ნაკლებია.



2025	7.7
2024	9.0
2023	7.6
2022	6.3
2021	7.2

რადიომაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ძირითად წილს, 99.8%-ს კომერციული რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა, განცხადებებს კი, მცირე წილი ეკავა.

რადიომაუწყებლობის სარეკლამო შემოსავლების განაწილება
კატეგორიების მიხედვით



რადიომაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2025 წელს, ყველაზე დიდი წილი - 61.4% რადიო ჰოლდინგ „ფორტუნას“ ეკავა. „რადიო იმედს“ – 8.9%, რადიო „პალიტრას“ - 5%, „ჰოლდინგი-აფხაზეთის ხმას“ - 4.5%, „ქართული რადიოს“ - 3.8%, „მდ ჯგუფს“ - 3.3%, „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთს“ - 2.4%, რადიო „ჯორჯიან თაიმსს“ - 1.9%, „ძველ ქალაქს“ - 1.1%, რადიო „ურბანიკს“ კი - 0.9% ეკავა. სხვა რადიომაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 6.9% შეადგინა.

რადიომაუწყებლობის სარეკლამო შემოსავლის განაწილება
კომპანიების მიხედვით


რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	61.4%
რადიო იმედი	8.9%
რადიო პალიტრა	5.0%
ჰოლდინგი - აფხაზეთის ხმა	4.5%
ქართული რადიო	3.8%
მდ ჯგუფი	3.3%
სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი	2.4%
რადიო ჯორჯიან თაიმსი	1.9%
ძველი ქალაქი	1.1%
რადიო ურბანიკი	0.9%
სხვა	6.9%



მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები

2025 წელს, მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების⁵⁹ ოდენობამ 70 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 13.9%-ით ნაკლებია.

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები (მლნ. ლარი)



მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა კატეგორიების შესაბამისად (მლნ. ლარი)




⁵⁹კაპიტალური ინვესტიციების რაოდენობაში შედის იმ მაუწყებელი კომპანიების მონაცემები, რომლებმაც წლიურად მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით




საზოგადოებრივი მაუწყებელი	32%
სილქნეთი	30%
თელიძე	19%
მედია ჯოინტინგ	17%
სხვა	1%

მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით (მლნ. ლარი)



მაუწყებლობის სფეროში განხორციელებული კაკიტალური ინვესტიციის წილი კომპანიების მიხედვით



სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები

2025 წელს, კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში სულ 643,842,117 ლარი შევიდა. გასულ წელს, მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების⁶⁰ სახით გადახდილმა თანხამ 47,200,867 ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ შეტანილმა თანხამ - 470,768,047 ლარი. რაც შეეხება ლიცენზირებიდან მიღებულ შემოსავალს, 2025 წელს, სულ კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 125,816,349 ლარი შევიდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმის⁶¹ სახით ბიუჯეტში 56,854 ლარი ჩაირიცხა.

⁶⁰მონაცემები ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა. მოიცავს: საშემოსავლო გადასახადს, მოგების გადასახადს, დღგ-ს, აქციზს, იმპორტის გადასახადს, ქონების გადასახადს, მიწის გადასახადს (სასოფლო-არასასოფლო).

⁶¹ადმინისტრაციული ჯარიმები იხ. დანართი 8.

მედიის გამოწვევები: ყალბი ინფორმაცია, ფაქტისა და მოსაზრების აღრევა

ქვეყანაში არსებულმა მედია პლურალიზმმა და მრავალფეროვნებამ, ბოლო წლებში მედიის მიმართულებით მთელი რიგი გამოწვევები გაჩინა, კერძოდ, დეზინფორმაცია, ყალბი ინფორმაცია, ფაქტისა და მოსაზრების ერთმანეთში აღრევა, რაც მაყურებელზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და მას ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში უშლის ხელს. სწორედ აღნიშნული გამოწვევების დაძლევისა და ევროპულ კანონმდებლობასთან სრული ჰარმონიზაციის მიზნით, 2025 წლის 1 აპრილს ცვლილებები შევიდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის შედეგადაც, რეგულირებას დაექვემდებარა ფაქტის ჭეშოვანი სიზუსტე და პასუხის უფლება, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის, ასევე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და საგანგებო ვითარების გაშუქების საკითხები.

კანონმდებლობით, მაუწყებლებს ევალებათ ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია ჭეშოვანი სიზუსტით გადასცენ მაყურებელს. ასევე, დაიცვან სამართლიანობის და მიუკერძოებლობის სტანდარტი, მკაფიოდ გამიჯნონ ერთმანეთისგან ფაქტი და მოსაზრება, ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები არ გააშუქონ მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების ან მოსაზრების საფუძველზე. კანონმდებლობა აწესრიგებს ისეთ საკითხებსაც, როგორებიცაა: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მაუწყებლის მიერ ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება ან/და გადაცემა, შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქება და პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანი პირების უფლებების დაცვა. აღსანიშნავია, რომ ევროპაში ასეთი კანონმდებლობა მრავალი წელია მოქმედებს და მის დაცვას მედიამომსახურების სფეროს მარეგულირებელი ორგანოები ზედამხედველობენ. ჩამოთვლილი ჟურნალისტური სტანდარტებით საქმიანობა, მაყურებელთა უფლებების დაცვისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საკითხების ნაწილი მანამდე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით არ რეგულირდებოდა და მხოლოდ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ იყო განსაზღვრული. 2025 წლის 1 აპრილს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით კი, დადგინდა აღნიშნული მოთხოვნების აღსრულების ახალი წესი. კანონში ცვლილებამდე შინაარსობრივი მოთხოვნების დიდი ნაწილი აღსრულდებოდა მხოლოდ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ და მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში, კომუნიკაციების კომისიაში, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში

გასაჩივრება არ დაიშვებოდა. ცვლილებების თანახმად, კომუნიკაციების კომისიას აღნიშნულ საკითხებზე სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილება მიენიჭა.

კომუნიკაციების კომისიამ აღნიშნული კანონის აღსრულება 2025 წლის აპრილში დაიწყო. კანონის ეფექტიანად და მაღალი სტანდარტით აღსრულების მიზნით, კომუნიკაციების კომისია აქტიურად მუშაობს ბრიტანულ კოლეგებთან, გამომდინარე იქიდან, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, სწორედ ბრიტანული კანონის ანალოგია. კომუნიკაციების კომისიამ დეტალურად შეისწავლა ბრიტანეთის მარეგულირებელი კომისიის (OFCOM) პრაქტიკა და გადაწყვეტილებები და შედეგად შეიმუშავა „გზამკვლევი მაუწყებლობის შინაარსობრივი მოთხოვნების თაობაზე - სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, ჭეშოვანი სიზუსტე, პასუხის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საგანგებო ვითარების გაშუქება“. გზამკვლევის მიზანია, მაუწყებლებისთვის წინასწარ განჭვრეტადი გახდეს აღნიშნულსაკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციების კომისიის ხედვები და მიდგომები კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, რაც მათ საქმიანობის სწორად წარმართვაში და კანონის დაცვაში დაეხმარებათ. გზამკვლევი ემსახურება კანონმდებლობის განმარტების თაობაზე მედიამომსახურებების სფეროს მარეგულირებელი ორგანოს ხედვის ილუსტრირებას და არ აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. კომუნიკაციების კომისიის მიზანია, რომ მაუწყებლებს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულებაში დაეხმაროს.



აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს მაუწყებლებთან, როგორც სამუშაო შეხვედრების, ისე რეკომენდაციების ფორმატში. ComCom-მა კანონმდებლობის სწორად და ეფექტიანად აღსრულების მიზნით, მაუწყებლებისთვის შინაარსობრივი მოთხოვნების, კერძოდ, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის, ჯეროვანი სიზუსტის, პასუხის უფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და საგანგებო ვითარების გაშუქების შესახებ, გზამკვლევი შეიმუშავა.

2025 წლის განმავლობაში, კომუნიკაციების კომისიამ, აღნიშნული კანონის ფარგლებში, 7 საჩივარი განიხილა, მათ შორის: „ტელეიმედის“, „ტელეკომპანია პირველის“, „ფორმულას“, „მთავარი არხისა“ და „ობიექტივის“ წინააღმდეგ, საიდანაც 4 საჩივარი დაკმაყოფილდა, მაუწყებლები სამართალდამრღვევად იქნენ ცნობილი და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ.

2026 წლის გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ კომუნიკაციების კომისიისთვის, როგორც ქვეყანაში მედიაპოლიტიკის შემქმნელი ორგანიზაციისთვის, მაყურებლისა და საზოგადოების ინტერესების მაქსიმალურად დაცვა და მაღალი მედიასტანდარტის დამკვიდრება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, კომუნიკაციების კომისია აღნიშნულ პროცესს და კანონის ეფექტიან აღსრულებას გააგრძელებს.

სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის გამონაკვეთი - Product Placement

2025 წელს კომუნიკაციების კომისია, ბოლო წლებში მაუწყებლების მხრიდან სარეკლამო კომუნიკაციების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის გახშირებულ ფაქტებზე რეაგირებას აქტიურად ახდენდა. სპონსორობისა და პროდუქტის განთავსების წესების დარღვევა ლახავს მაყურებლის უფლებებს, ვინაიდან წამყვანების მიერ პროდუქტის მახასიათებლებსა და უპირატესობებზე გადაჭარბებული ხაზგასმისას, შეუძლებელი ხდება რეკლამისა და გადაცემის შინაარსის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. გადაცემები, ხშირად, მორგებული და აწყობილია რეკლამის დამკვეთზე და არა მაყურებლის ინტერესებზე, რაც კატეგორიულად დაუშვებელია. კომუნიკაციების კომისიის მიზანია ერთი მხრივ, დაიცვას მაყურებელი ფარული და შეცდომაში შემყვანი კომერციული კომუნიკაციისგან, მეორე მხრივ კი, დაიცვას მაუწყებელი კომერციული გავლენებისგან. შესაბამისად, გასულ წელს კომისია ინტენსიურად ატარებდა მონიტორინგს პროდუქტის განთავსების

წესების დარღვევების მიმართულებით და კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულების მიხედვით, რეაგირებას ახდენდა.

2025 წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, 15 დარღვევა გამოვლინდა, საიდანაც მაუწყებლებს 7 ფინანსური ჯარიმა, ჯამში 47,500 ლარის ოდენობით, დაეკისრათ, 8 შემთხვევაში კი, მაუწყებლებმა წერილობითი გაფრთხილება მიიღეს.

2025 წლის განმავლობაში, ეთერში პროდუქტის განთავსების წესების დარღვევისთვის ფინანსური ჯარიმა დაეკისრა:

- „ტელეიმედს“ – 22,500 ლარი;
- „მედია ჰოლდინგს“ (რუსთავი 2) – 12,500 ლარი;
- „ფორმულას“ – 10,000 ლარი;
- „ტელეკომპანია პირველს“ – 2,500 ლარი.



2026 წლის გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ კომუნიკაციების კომისიისთვის, მნიშვნელოვანია როგორც მაყურებლების უფლებების, ისე მაუწყებლების ინტერესების დაცვა, სატელევიზიო სარეკლამო კომუნიკაციების მონიტორინგს და კანონთან შესაბამისობის დარღვევის შემთხვევებზე, რეაგირებას მომავალშიც გააგრძელებს.

კომუნიკაციების კომისიამ, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, მედია მონიტორინგი ჩაატარა, რომელიც 4 აგვისტოდან 4 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა და სულ 49 მაუწყებელს აკვირდებოდა. მედია მონიტორინგის პროცესში დაკვირვების საგანს წარმოადგენდა: წინასაარჩევნო რეკლამა; წინასაარჩევნო დებატები; ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები; წინასაარჩევნო აგიტაცია; საზოგადოებრივი აზრის კვლევები და გამოკითხვები.

რაოდენობრივი მონიტორინგი მოიცავდა სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას და გენდერს. პირდაპირ დათმობილ დროს ფარგლებში, შეფასდა შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში. ირიბად დათმობილ დროს ფარგლებში, გაანალიზდა მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო. მონიტორინგის შედეგებში ინფორმაცია, ასევე, ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებელზე, საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში, ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

გარდა ამისა, მონიტორინგის ანგარიშები მოიცავდა 7 სამაუწყებლო არხის, კერძოდ: „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის“, „რუსთავი 2“-ის, „ტელეიმედის“, „პოსტვ“-

ის, „ტელეკომპანია პირველისა“ და „ფორმულას“ გაშუქების ტონის მონიტორინგს. გაშუქების ტონი შეფასებულია სამი კატეგორიის შესაბამისად: პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური. აღნიშნულ 7 არხზე მონიტორინგი მიმდინარეობდა საუკეთესო დროს - 19:00-24:00 საათამდე პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ მხოლოდ ერთი სამართალდარღვევის ოქმი, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წესის დარღვევის გამო, „პოსტვ“-ის წინააღმდეგ შეადგინა.

2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებული მედია მონიტორინგის ანგარიშები, კომუნიკაციების კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებული.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ განაახლა გზამკვლევი მაუწყებლებისთვის საარჩევნო საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით. გზამკვლევი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას დაგროვილი პრაქტიკისა და იმ ნორმების შესაბამისად განახლდა, რომლებიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ დამიმდინარე კანონმდებლობაში ამოქმედდა.



ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის ანალიზი

კომუნიკაციების კომისიამ 2025 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამების ანალიზი ჩაატარა, რომელმაც აჩვენა, რომ ტელე და რადიომუხსებლებმა წინასაარჩევნო პერიოდში, უფასო პოლიტიკურ რეკლამას ჯამში 15,000 წუთზე მეტი დაუთმეს. დროის 83% ტელევიზიებს, 17% კი რადიოებს დაეთმო.

ტელეეთერში განთავსებული 12,632 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამის უფასო წუთების გადანაწილება ტელევიზიების შემთხვევაში ასეთია: საზოგადოებრივი მაუწყებელი - 14.7%, აჭარის ტელევიზია - 12.5%, „ფორმულა“ - 8.5%, „პოსტვ“ - 8.4%, „რუსთავი 2“ - 8.3%, „ტელეიმედი“ - 7.7%, „ტელეკომპანია პირველი“ - 7.7%.



საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 1,852 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამა განთავსდა, რომლებიც 11 პოლიტიკურ პარტიაზე გადანაწილდა: „გირჩი“ - 32.1%, „ქართული ოცნება“ - 30.7%, „თავისუფალი საქართველო“ - 8.3%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 6.3%, „კონსერვატორები საქართველოსთვის“ - 5.4%, „გახარია საქართველოსთვის“ - 4.9%, „მწვანეთა პარტია“ - 4.5%, „ძლიერი საქართველო“ - 3.5%, „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ - 2.4%, „მამული, ენა, სარწმუნოება“ - 1.5%, „სახალხო ხელისუფლება“ - 0.4%.



აჭარის ტელევიზიაში 1,574 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამა 8 პოლიტიკურ პარტიას შორის გადანაწილდა: „გირჩი“ - 35.1%, „ქართული ოცნება“ - 30.6%, „თავისუფალი საქართველო“ - 10.2%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 7.6%, „კონსერვატორები საქართველოსთვის“ - 6.1%, „გახარია საქართველოსთვის“ - 6.1%, „ძლიერი საქართველო“ - 3.6%, „სახალხო ხელისუფლება“ - 0.8%.



„ფორმულაზე“ 1,076 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამა 2 პოლიტიკურ პარტიას შორის გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ - 51.7% და „გირჩი“ - 48.3%.



„პოსტვ“-ის ეთერში განთავსდა 1,060 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამა, რომელიც 2 პოლიტიკურ პარტიას დაეთმო: „ქართული ოცნება“ - 53.8% და „გირჩი“ - 46.2%.



„რუსთავი 2“-ზე განთავსებული 1,049 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამა 2 პოლიტიკურ პარტიას შორის გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ - 53.2% და „გირჩი“ - 46.8%.



„ტელეიმედი“ 979 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამა განთავსდა, რომელიც განაწილდა 2 პოლიტიკურ პარტიას შორის: „ქართული ოცნება“ - 56.5% და „გირჩი“ - 43.5%.



„ტელეკომპანია პირველი“ ეთერში განთავსებული 968 წუთის უფასო პოლიტიკური რეკლამა 2 პოლიტიკურ პარტიას შორის გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ - 53.8% და „გირჩი“ - 46.2%.

რაც შეეხება ფასიან პოლიტიკურ რეკლამას, კომუნიკაციების კომისიაში მაუწყებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ეროვნულ არხებზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამა სულ 2-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ - „ძლიერი საქართველო“ და „თავისუფალი საქართველო“ დაუკვეთა, რომლებმაც ჯამში 3,004,713 ლარი დახარჯეს. განთავსდა 936 წუთის ფასიანი პოლიტიკური რეკლამა. „ძლიერმა საქართველო - ლელომ“ ფასიანი პოლიტიკურ რეკლამებში, ჯამში 3,004,437 ლარი დახარჯა და რეკლამა 3 სატელევიზიო არხზე განათავსა: „ტელეკომპანია პირველი“ - 59%, „ფორმულა“ - 31% და „რუსთავი 2“ - 10%. ფასიანი პოლიტიკური რეკლამიდან ყველაზე მეტი შემოსავალი - 1,757,795 ლარი, „ტელეკომპანია პირველი“ მიიღო, „ფორმულამ“ - 944,652 ლარი, ხოლო „რუსთავი 2“-მა - 301,990 ლარი.

ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამების ანალიზი, რომელიც კომუნიკაციების კომისიის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, აგვისტო-ოქტომბრის პერიოდს მოიცავს და მაუწყებლების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ეყრდნობა. ანალიზი ტელე და რადიომუხსებლების მონაცემებს, მათ შორის ეროვნულ და რეგიონალურ მაუწყებლებს მოიცავს.

2025 წელს კომუნიკაციების კომისიამ, რადიოების განვითარების მიზნით, კერძო რადიომუწყებლობის ლიცენზირების პროცესის გამარტივების ახალი გეგმა შეიმუშავა, რომელიც წამყვან კერძო FM რადიომუწყებლების წარმომადგენლებს წარუდგინა.

კომუნიკაციების კომისიის ახალი ინიციატივა რადიომუწყებლებისთვის მეტად მოქნილი პირობების შექმნას და ინვესტიციების დაზოგვას ისახავს მიზნად.

კერძოდ, ინიციატივა ითვალისწინებს მაუწყებლობის ზონების რაოდენობის 15-დან 32-მდე გაზრდას, მათ შორის, კახეთის, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ზონების დაყოფას სამ, ხოლო იმერეთის - ხუთ ზონად. მოცემული ცვლილება შეამცირებს თითოეული ზონის ტერიტორიას და მაუწყებლებისთვის საინვესტიციო ხარჯების დაზოგვას შეუწყობს ხელს.

ამასთან, კომუნიკაციების კომისია უფრო მოქნილს გახდის მოთხოვნებს გადამცემების რაოდენობის, მდებარეობისა და ტექნიკური პარამეტრების მიმართ, რაც რადიომუწყებლებს საშუალებას მისცემს, გადამცემების შექმნისა და განთავსების მათთვის ოპტიმალური ვარიანტი შეარჩიონ.

საგულისხმოა, რომ 2021 წელს, რადიომუწყებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ მნიშვნელოვნად შეცვალა კერძო FM რადიომუწყებლების ლიცენზირების წესები: შემუშავდა

რადიომუწყებლების კონკურსის ჩატარების სტრატეგია და განისაზღვრა ადგილობრივი მაუწყებლობის თხუთმეტი გეოგრაფიული ზონა. თითოეული ზონისთვის კომუნიკაციების კომისიამ დაადგინა მაუწყებლობის ტექნიკური პირობები, როგორცაა გადამცემების რაოდენობა, მდებარეობა და მათი ტექნიკური პარამეტრები, რომლებიც რადიომუწყებლებს უნდა დაეცვათ.

თუმცა, სამაუწყებლო ბაზრის შეფასებამ აჩვენა, რომ რადიომუწყებლების უმეტესობას გაუჭირდებოდა ლიცენზირების კონკურსის პირობებით განსაზღვრული სავალდებულო ინვესტიციის განხორციელება, რაც ლიცენზირების პირობების შეუსრულებლობის მიზეზით, მაუწყებლობის შეწყვეტას გამოიწვევდა.



2026 წლის გეგმა

რადიომუწყებლებთან კონსულტაციების დასრულებისა და მათი მხრიდან მიღებული უკუკავშირის შესწავლის შემდეგ, კომუნიკაციების კომისია ლიცენზირების პროცესის გამარტივების მიზნით, ფორმალურ პროცედურებს დაინყებს.

მედიანგნიერების განვითარება


„საქართველოს მოსახლეობის 51% ფლობს ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისა და გამოყენების საშუალო და/ან უფრო მაღალ უნარებს“ - აღნიშნული შედეგი მედიანგნიერების კვლევამ აჩვენა, რომლის მიზანიც ქვეყანაში საზოგადოების მედია და ინფორმაციული წიგნიერების დონის შეფასება იყო. კვლევის მიზანს ასევე, წარმოადგენდა არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება და მედიანგნიერების განათლების პოლიტიკის განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის 51% მედიანგნიერების უნარ-ჩვევებს ფლობს, მეტწილად, 2018 წლიდან კომუნიკაციების კომისიის მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროექტებისა და ხედვის შედეგია. კომუნიკაციების კომისიის, როგორც ქვეყანაში მედიანგნიერების განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის, სტრატეგიულ მიზანს მედიანგნიერების განათლების ყველა საფეხურზე ინტეგრირება წარმოადგენს. ამ მიმართულებით, 2025 წელს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და ღონისძიება განხორციელდა, როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების საფეხურებზე.

მედიანგნიერების ინტეგრირება ზოგად განათლებაში

მედიანგნიერება, როგორც გამჭოლი კომპეტენცია, 2018 წლიდან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით სხვადასხვა საგანშია ინტეგრირებული. ამასთან, მედიანგნიერების, როგორც ცალკე არჩევითი საგნის დანერგვამ, მნიშვნელოვნად გააფართოვა სწავლების მასშტაბი. კერძოდ, 2025 წელს მედიანგნიერების საგანი საქართველოს 300 საჯარო და კერძო სკოლაში ისწავლებოდა, რომელთა 90%-ზე მეტი რეგიონებშია.

მედიანგნიერების საგანს 10,000-მდე მოსწავლე სწავლობდა. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მედიანგნიერება იმ რამდენიმე არჩევით საგნებს შორის გამოყო, რომელთა მიმართ სკოლების დაინტერესება მზარდია. აღნიშნული პოზიტიური დინამიკა 2022 წელს კომუნიკაციების კომისიის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თანამშრომლობით დაწყებული „მედიანგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების“ პროექტის შედეგს წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში, მედიანგნიერება 2023 წელს ინტეგრირდა ფორმალურ განათლებაში, ხოლო სკოლების ჩართულობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება - 2023 წელს მედიანგნიერების საგანი 6-მა საჯარო სკოლამ აირჩია, ხოლო 2024 წელს უკვე 227 სკოლაში ისწავლებოდა.



„მედიანგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების“ პროექტი X-XI კლასის მოსწავლეებისთვის მედიანგნიერების არჩევითი საგნის დანერგვას ითვალისწინებს. პროექტი, სასწავლო კურსის ფარგლებში, მედიანგნიერების საკვანძო პრინციპების სწავლებას და ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კიბერბულინგი, მედიისა და ინფორმაციის ენა, ინფორმაციის დამუშავება და დეზინფორმაცია. პროექტის საწყის ეტაპზე ჩატარებული საჭიროებების კვლევის საფუძველზე, შემუშავდა მედიანგნიერების საგანმანათლებლო სტანდარტი, სასწავლო მოდული და მასწავლებელთა სახელმძღვანელო - „მედიანგნიერების გაკვეთილები“. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს მასწავლებელთა მედიანგნიერების კომპეტენციების სისტემურ გაძლიერებას. ამ მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან (TPDC) და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით, 2025 წლის ჩათვლით, ქვეყნის მასშტაბით 2,600 სხვადასხვა საგნის მასწავლებელი გადაამზადა, რაც მედიანგნიერების საგნის მდგრად ინტეგრირებასა და სასკოლო პრაქტიკაში მის ეფექტიან დანერგვას უზრუნველყოფს.

მედიანგიწიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხელშეწყობისა და სკოლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, 2025 წელს თბილისსა და ქუთაისში გაიმართა კონფერენცია თემაზე „მედიანგიწიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირება – მასწავლებლების როლი და პრაქტიკული მიდგომები“. ღონისძიების ფარგლებში მასწავლებლების, სკოლის დირექტორებისა და მოსწავლეების მონაწილეობით, განხილული იყო როგორც პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები, ისე პრაქტიკული მიდგომებისა და სწავლების ეფექტიანი მეთოდები. პანელური დისკუსიების ფორმატში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროექტში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის

გზებს, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და ისეთ დამატებით აქტივობებს, როგორებიცაა სასკოლო კლუბები და პროექტული სწავლება.

მედიანგიწიერების ზოგად განათლებაში დანერგვისა და სწავლების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა საინფორმაციო კამპანია, რომელიც მოიცავდა მედიანგიწიერების მასწავლებლების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და გამოცდილების გაზიარებას.

კომუნიკაციების კომისიისთვის, მედიანგიწიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირება და სკოლების მზარდი დაინტერესება, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მედიანგიწიერ და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოებად ჩამოყალიბებას.

2026 წლის გეგმა

კომუნიკაციების კომისია გააგრძელებს მედიანგიწიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხელშეწყობას. გაგრძელდება საინფორმაციო შეხვედრები სკოლის დირექტორებთან, ყურადღება დაეთმო მასწავლებელთა მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებას, მათ შორის, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, საგანმანათლებლო რესურსების განახლება და მედიანგიწიერების პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებას სასკოლო გარემოში, განსაკუთრებით რეგიონებში.

კონკურსი „მედიანგიწიერების ოლიმპიადა“

2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ, UNESCO-ს მედია და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის ფარგლებში, „მედიანგიწიერების ოლიმპიადა“ მეორედ ჩაატარა. ოლიმპიადის მიზანი სასკოლო საზოგადოებაში მედიანგიწიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობაა.

2025 წელს ოლიმპიადაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 320-მდე სკოლა ჩაერთო. პროცესში მონაწილეობა 2200-მდე მოსწავლემ და 300-ზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო, ხოლო კონკურსში 350-მდე საკონკურსო ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. მასწავლებლის ხელმძღვანელობით შექმნილმა მოსწავლეთა გუნდებმა შემოქმედებითი და

ინფორმაციული მასალები მოამზადეს თემაზე „ხელოვნური ინტელექტი და დეზინფორმაცია - გამოწვევა თუ შესაძლებლობა?“.

წარმოდგენილი ნამუშევრებიდან უიურიმ, ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ორი გამარჯვებული სკოლა გამოავლინა. 2025 წელს კონკურსის გამარჯვებულები მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამულას საჯარო სკოლა და ბათუმის პირველი საჯარო სკოლა გახდნენ. კომუნიკაციების კომისიამ გამარჯვებული გუნდების სკოლებს თანამედროვე მედიალაბორატორია მოუწყო და მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა გადასცა, რაც მომავალშიც მოსწავლეების მიერ ხარისხიანი მედიაპროდუქტების შექმნასა და მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

2026 წლის გეგმა

„მედიანგიწიერების ოლიმპიადა“ არის პროექტი, რომელიც სკოლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მედიანგიწიერების აქტიური სწავლებისა და პრაქტიკაში გამოყენების ირგვლივ აერთიანებს. კომუნიკაციების კომისიისთვის აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მოზარდებსა და ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის გადამოწმებისა და პასუხისმგებლიანი ციფრული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით. შესაბამისად, „მედიანგიწიერების ოლიმპიადა“ სასკოლო საზოგადოებისთვის, 2026 წელსაც ჩატარდება.



2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ მედიაწიგნიერების კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ მეთორმეტედ ჩაატარა, რაც კონკურსის მდგრადობასა და მონაწილეთა მზარდ ინტერესზე მეტყველებს. კონკურსში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან VIII-XI კლასის 215-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. წარმოდგენილი იყო 215 ნამუშევარი, რაც კონკურსის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ რეკორდულ მაჩვენებელს წარმოადგენს.


კონკურსის ფარგლებში მონაწილეებმა მოახდინეს მედიაში გავრცელებული დაუდასტურებელი ინფორმაციის იდენტიფიცირება, მისი სანდო წყაროებზე დაყრდნობით გადამოწმება და დეზინფორმაციის აღმოჩენის პროცესის ანალიზი. წარმოდგენილი ნამუშევრებიდან გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთა ავტორებიც კომუნიკაციების კომისიამ მაღალტექნოლოგიური პრიზებით დააჯილდოვა. ამასთან, დამატებით გამოირჩა საუკეთესო 20 ნამუშევარი, რომელთა ავტორებმა სასაჩუქრე ვაუჩერები მიიღეს.

გამარჯვებული ნამუშევრების უპირატესობა იყო ინფორმაციის ოფიციალურ და სანდო რამდენიმე წყაროსთან გადამოწმება, ასევე საერთაშორისო მედიასაშუალებების გამოყენება და არგუმენტირებული ანალიზი. კონკურსის შედეგებმა ნათლად აჩვენა მონაწილეთა მზარდი უნარი ყალბი ინფორმაციის ამოცნობის, ფაქტების გადამოწმებისა და კრიტიკული აზროვნების პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით.

მედიაწიგნიერების კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ კომუნიკაციების კომისიის ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ და მოთხოვნად საგანმანათლებლო ინიციატივად რჩება, რომელიც წლების განმავლობაში ემსახურება ახალგაზრდებში ინფორმაციის ანალიზის, ფაქტების გადამოწმებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. კონკურსი ჯამში რვაჯერ ჩატარდა სკოლის მოსწავლეებისთვის და ოთხჯერ სტუდენტებისთვის, დღემდე კი 1000-ზე მეტ მონაწილეს აერთიანებს.

2026 წლის გეგმა

კომუნიკაციების კომისია გააგრძელებს კონკურსის „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფორმაციის გადამოწმების პრაქტიკული უნარების გაძლიერებას, ციფრული პლატფორმების პასუხისმგებლიანი გამოყენების საკითხებსა და ახლი ფორმატების დანერგვას, რაც ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების კიდევ უფრო ეფექტიან განვითარებას შეუწყობს ხელს.



„გამარჯობა, რუბი“ არის ფინური საგანმანათლებლო წიგნების სერია, რომელიც II-VI კლასის მოსწავლეებში პროგრამირებისა და კომპიუტერული მეცნიერებების საწყისი ცოდნის ჩამოყალიბებას, პარალელურად კი, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. წიგნების ქართულ ენაზე გამოცემის ლიცენზია კომუნიკაციების კომისიამ 2019 წელს მიიღო და მას შემდეგ, სახელმძღვანელო მედიაწიგნიერებისა და ციფრული განათლების მიმართულებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსად ჩამოყალიბდა.

კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით, წიგნის ავტორი ლინდა ლიუკასი საქართველოში 2019 და 2023 წლებში იმყოფებოდა, რომელმაც ქართველი პედაგოგები „გამარჯობა, რუბის“ უნიკალური სწავლების მეთოდოლოგიაში თავად გადაამზადა. 2024 წლიდან, კომუნიკაციების კომისიამ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, „გამარჯობა, რუბის“ სახელმძღვანელოებით სწავლება და მსურველი სკოლების პედაგოგების გადამზადება ქვეყნის ყველა სკოლისთვის გახადა ხელმისაწვდომი.

2025 წელს, პროექტის ფარგლებში, გაგრძელდა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში დარგობრივი მასწავლებლების პროფესიული გადამზადება. კომუნიკაციების კომისიამ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან

თანამშრომლობით, ჩაატარა ვებინარებისა და სემინარების სერია, რომლის ფარგლებშიც, ლინდა ლიუკასის მიერ გადამზადებულმა ტექნოლოგიების ტრენერებმა „გამარჯობა, რუბის“ სახელმძღვანელოს გამოყენებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების საკითხებზე 400-მდე მასწავლებელი მოამზადეს. გადამზადების ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით 21 რეგიონში ჩატარდა, რაც ფართო გეოგრაფიულ დაფარვას ადასტურებს.

გადამზადებულ მასწავლებლებსა და სკოლებს გადაეცათ „გამარჯობა, რუბის“ სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები, რომელთა ინტეგრირებაც სასკოლო საგაკვეთილო პროცესში მიმდინარეობს. ამასთან, ტექნოლოგიების ტრენერები განაგრძობენ მასწავლებლების მხარდაჭერას სახელმძღვანელოს ეფექტიანი დანერგვის მიზნით.

2025 წლის მდგომარეობით, კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს სკოლებისთვის „გამარჯობა, რუბის“ 20,000 სახელმძღვანელო გამოსცა. სახელმძღვანელოს, როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების დამხმარე რესურსს, ქვეყნის მასშტაბით 1300-მდე სკოლა იყენებს. 2025 წლის ბოლოსთვის, სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო სკოლების დაახლოებით 60%-შია ინტეგრირებული, რაც მოსწავლეებში პროგრამირებისა და ციფრული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.



გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდებში მედიანინგინიერების გაძლიერება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, კომუნიკაციების კომისია უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას რამდენიმე მიმართულებით განაგრძობს. ComCom-ის ხედვით, მედიანინგინიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინფორმაციის გააზრებულ მიღება-გავრცელებას და დეზინფორმაციის მიმართ მედეგობის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ მიდგომის გათვალისწინებით, კომუნიკაციების კომისია 7 საჯარო და კერძო უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. აღნიშნული თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთი მხრივ, სტუდენტებისთვის მედიანინგინიერების დამატარებას დაკავშირებული საკითხების ირგვლივ სისტემატიური საინფორმაციო შეხვედრების, სემინარების, თემატური კონფერენციებისა და კონკურსების შეთავაზებას, მეორე მხრივ კი, აკადემიური პერსონალის კომპეტენციების განვითარებას საუნივერსიტეტო სივრცეში მედიანინგინიერების სწავლებისა და დანერგვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს კომუნიკაციების კომისიამ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან სიღრმისეული კვლევა ჩაატარა, რომლის მიზანი მათი ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება, კონტექსტის შეფასება და არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერება იყო. აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, კომუნიკაციების კომისიას მეტად მორგებული და მიზნობრივი მიდგომის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მიეცა.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის მსგავსად, 2025 წელსაც კომუნიკაციების კომისიამ, პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალს სპეციალურად შემუშავებული პროფესიული გადამზადების პროგრამა შესთავაზა, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მედიანინგინიერებისა და ინფორმაციული წინგინიერების აკადემიური კონცეფციები, მათი ისტორიული განვითარება, სოციალური მედიისა და ციფრული პლატფორმების მახასიათებლები, მათი უსაფრთხო გამოყენების მეთოდები, წყაროების და მედიის გავლენის ანალიზი. თეორიული საკითხების გარდა, გადამზადება მოიცავდა პრაქტიკულ სამუშაოებს, რომლის შედეგადაც მონაწილეებმა მედიანინგინიერების დამოუკიდებელი კურსის შემუშავებისა და ელემენტების არსებულ კურსებში ინტეგრირების მიზნით, ინდივიდუალური მოდელები

შემუშავეს. აღნიშნული გადამზადების შედეგად, 2026 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიანინგინიერების 4 თემატური, სამცხე ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი 1 კურსი დაინერგება. აღნიშნულ კურსებს გადამზადებული ლექტორები/პროფესორები გაუძღვებიან.

ასევე აღსანიშნავია, რომ პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ 5 უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მედიანინგინიერების თემაზე სემინარები ჩაატარა. შეხვედრების ფარგლებში, განხილული იყო მედიანინგინიერების მნიშვნელობა და მისი როლი თანამედროვე სამყაროში, დეზინფორმაციისა და მისინფორმაციის მახასიათებლები, მათი შექმნისა და გავრცელების მიზნები და ეტაპები. ასევე, დრო დაეთმო დეზინფორმაციისა და მანიპულაციური კომუნიკაციის ხერხების, პროპაგანდისა და კონსპირაციული თეორიების, მათი ძირითადი ნიშნების განხილვას. სესიები, ყალბი ინფორმაციის შექმნის კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტისა და „Deepfake“-ის როლის შესახებ მასალებს მოიცავდა. თეორიული ნაწილის გარდა, შეხვედრები ინფორმაციის გადამონმებაზე ორიენტირებულ გუნდურ სავარჯიშოებსაც ითვალისწინებდა, რაც სტუდენტებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევდა.





სიღრმის, არგუმენტირებული მსჯელობისა და ახალი პერსპექტივების წარდგენის კრიტერიუმებს.

კონკურსის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიაში 180-ზე მეტი ანალიტიკური ნაშრომი შემოვიდა, რომელთა ავტორებიც საქართველოს 30-მდე საჯარო და კერძო უნივერსიტეტებიდან იყვნენ. შეფასების შედეგად გამოვლინდა სამი გამარჯვებული, რომლებიც კომუნიკაციების კომისიამ ფულადი პრიზებით დააჯილდოვა. პირველი ადგილის მფლობელი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, თემით - „აღგორითმული მოდელების ევოლუცია და მათი ფსიქოლოგიური ზეგავლენა დეზინფორმაციის გავრცელებაზე“, რომელსაც 5000 ლარი გადაეცა. მეორე ადგილი დაიკავა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, თემით - „თეთრი ტყუილები კურდღლის ლაბირინთში - დეზინფორმაციის დისკურსი სქროლვის კულტურის ფონზე“ და პრიზის სახით გადაეცა 3000 ლარი. ხოლო მესამე ადგილზე გავიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, თემით - „ხელოვნური ინტელექტის ადგილი მედიაში: შესაძლებლობები, გამოწვევები და ორმაგი ბუნება“, რომელსაც 1500 ლარი გადაეცა. სამივე ავტორის ნაშრომი საერთაშორისო პლატფორმაზე “Media and Learning Association” გამოქვეყნდა. გარდა ამისა, შეირჩა 10 საუკეთესო ნაშრომი, რომელთა ავტორებს პროფესიული ლიტერატურის კრებული გადაეცათ, ხოლო პროექტის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატით.

2025 წელს კომუნიკაციების კომისიამ სტუდენტებისთვის პირველად ჩაატარა ანალიტიკური კონკურსი „გახდი მედიანინგინიერების მკვლევარი“, რომელიც უმაღლესი განათლების საფეხურზე მედიანინგინიერების კვლევითი მიმართულების განვითარებას ისახავდა მიზნად. კონკურსი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებზეა ორიენტირებული და ხელს უწყობს აკადემიური კვლევის, კრიტიკული ანალიზისა და მედიანინგინიერების საკითხებზე დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომების მომზადებას.

სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარმოედგინათ ანალიტიკური ნაშრომები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა მედია და ხელოვნური ინტელექტი, დეზინფორმაცია დამისინფორმაცია, ასევე სიძულვილის ენა და ონლაინ დისკრიმინაცია მედიანინგინიერების კონტექსტში. ნაშრომების შეფასება მოხდა აკადემიური სტანდარტების შესაბამისად და ეფუძნებოდა კვლევითი

2026 წლის გეგმა

კომუნიკაციების კომისია მომავალშიც განაგრძობს თანამშრომლობას პარტნიორ უნივერსიტეტებთან და მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტებისა და ღონისძიებების შეთავაზებას. მედიანინგინიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაციების კომისია გეგმავს არსებული უნივერსიტეტების ქსელის კიდევ უფრო გაძლიერებასა და გაფართოებას, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მედიანინგინიერების კომპეტენციების გაუმჯობესებას და მედიანინგინიერების ინტეგრირების ხელშეწყობას საუნივერსიტეტო სივრცეში. საგულისხმოა, რომ ComCom-მა დაიწყო მედიანინგინიერებისა და მედიაგანათლების ყოვლისმომცველ, უახლეს ქართულენოვან რესურსზე მუშაობა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც აღნიშნულ პროცესს, ისე მედიანინგინიერების ეფექტიან სწავლებას.

UNESCO-ს მედია და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ, 2025 წელს საქართველოში კვირეული მესუთედ აღნიშნა. ღონისძიების ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ ჩაატარა კონფერენცია UNESCO-ს გლობალური თემის ირგვლივ - „გონების უპირატესობა ხელოვნურ ინტელექტზე: მედიაწიგნიერება ციფრულ სამყაროში“. კონფერენციაზე, სფეროს ექსპერტებმა განიხილეს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და რისკები, ადამიანის გონებასა და ხელოვნურ ინტელექტს შორის ურთიერთქმედება, ასევე კრიტიკული აზროვნებისა და პასუხისმგებლიანი გამოყენების მნიშვნელობა ციფრულ სამყაროში.

კომუნიკაციების კომისიის ინიციატივითა და მხარდაჭერით, მედიაწიგნიერების კვირეულის ფარგლებში, ასევე ყოველწლიურად აღინიშნება მედიაწიგნიერების დღე სკოლებში. მედიაწიგნიერების დღეს სკოლებში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, მოსწავლეები ერთვებიან თემატურ ღონისძიებებში.


ასევე, აწყობენ სემინარებს, სადაც პრაქტიკული დავალებებით ახდენენ წყაროების კრიტიკულ შეფასებას, ერთვებიან დისკუსიებში ციფრულ ეთიკასა და ონლაინ მედიის პასუხისმგებლიანი მოხმარების შესახებ. მოსწავლეები წარადგენენ მათ მიერ მედიაწიგნიერების მიმართულებით შექმნილ პროექტებს.

კვირეულის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სოციალურ მედიაში ინოვაციური საინფორმაციო კამპანია ჩაატარა. ComCom-მა შექმნა ხელოვნური ინტელექტი „კაი“, რომელიც სოციალურ ქსელებში საზოგადოებას ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო პროდუქტებით აწვდიდა. კამპანიის ფარგლებში კომისიის მიზანი იყო ციფრულ ეპოქაში არსებულ გამოწვევებსა და ამ ეპოქაში მედიაწიგნიერების როლზე გაემახვილებინა საზოგადოების ყურადღება.



2026 წლის გეგმა

მედია და ინფორმაციული წიგნიერების კვირეული 2021 წელს გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციის ფარგლებში ტარდება და საზოგადოებაში მედიაწიგნიერებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. კომუნიკაციების კომისია, გაეროს წევრ ქვეყნებთან ერთად, კვირეულს კვლავ ჩაატარებს და ქვეყნის მასშტაბით სამიზნე აუდიტორიებისთვის შესაბამის ღონისძიებებსა და პროექტებს განახორციელებს.



გადამზადება გაიარეს. გუნდებმა, იდეების გენერირებაზე, განვითარებასა და პროექტულად დახვეწაზე იმუშავეს. მონაწილეებისთვის ასევე ჩატარდა თემატური ტრენინგები იდეების ვალიდაციისა და პროტოტიპების შექმნის შესახებ. წარმოდგენილი პროექტები პრობლემის რელევანტურობის, გადანაცვების ეფექტიანობისა და მდგრადობის კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა.

სამი გამარჯვებული გუნდი ჟიურიმ გამოავლინა და მათ კომუნიკაციების კომისიისა და მედიალაბისგან ფულადი ჯილდო გადაეცათ. პირველი ადგილი გუნდმა „ლიანები“ მოიპოვა, რომელმაც პროექტი აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებისთვის შექმნა. პირველი ადგილის მფლობელს 5000 ლარი გადაეცა. მეორე ადგილზე გავიდა გუნდი „მეტამორფოზა“, რომელმაც მედიანინგინერების თემაზე შექმნილი საგანმანათლებლო კომპიუტერული თამაში წარადგინა, პრიზის სახით კი 3000 ლარი მიიღო. ხოლო მესამე ადგილი დაიკავა გუნდმა „404 crew“, რომლის პროექტიც აკადემიურ სივრცეებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ლექტორებისა და სტუდენტების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. მესამე ადგილის მფლობელს 1000 ლარი გადაეცა.

მედიანინგინერების გლობალური ჰაკათონი ახალგაზრდებზე ორიენტირებული პლატფორმაა, რომელიც მედიანინგინერების მნიშვნელობის გააზრებას, ინოვაციური იდეების განვითარებას და პრაქტიკული ციფრული გადანაცვლებების შექმნის წახალისებას უწყობს ხელს.

2025 წელს, კომუნიკაციების კომისიისა და მედიალაბის ორგანიზებით, UNESCO-ს მედია და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის ფარგლებში, ახალგაზრდებისთვის მედიანინგინერების გლობალური ჰაკათონი მესამედ ჩატარდა. ჰაკათონის თემებს ხელოვნური ინტელექტი, დეზინფორმაცია, ციფრული წიგნიერება და კიბერუსაფრთხოება წარმოადგენდა. ჰაკათონის მთავარი მიზანი ახალგაზრდებში მედიანინგინერების, ინოვაციური აზროვნებისა და პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებაა.

კონკურსში მონაწილეობა 10-მა გუნდმა მიიღო, რომლებმაც მენტორებთან ერთად ორდღიანი

2026 წლის გეგმა

ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, კომუნიკაციების კომისია და მედიალაბი გააგრძელებენ მედიანინგინერების ჰაკათონის ჩატარებას, რაც ახალგაზრდებში ინოვაციური იდეების განვითარებასა და მათი პროექტების განხორციელებაში დაეხმარებათ.

მედიანგნიერების ეროვნული პლატფორმა – www.mediatsigniereba.ge არის კომუნიკაციების კომისიის მიერ შექმნილი ონლაინ სივრცე, რომელიც 2021 წლიდან ფუნქციონირებს და საზოგადოებას მედიანგნიერების განვითარების, ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისა და ციფრული წიგნიერების მიმართულებით, მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს სთავაზობს. პლატფორმის მთავარი მიზანი მედიანგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ძირითადი სამიზნე აუდიტორიისთვის, მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის სანდო და აკადემიური მასალების გაზიარებაა.

პლატფორმაზე განთავსებულია 200-მდე ანალიტიკური და საგანმანათლებლო სტატია, რომლებიც ეხება მედიანგნიერების ძირითად კონცეფციებს, მედიისა და ინფორმაციის ენას, ინფორმაციის გადამონმების მექანიზმებს, დეზინფორმაციის ამოცნობას, ციფრულ სივრცეში ქცევის წესებსა და სწრაფი ციფრული სამყაროს განვითარების გავლენას საზოგადოებაზე.

ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვთა და მოზარდთა დაცვას მავნე ინფორმაციისა და ციფრული საფრთხეებისგან, მათ შორის, ონლაინ რისკების იდენტიფიცირებასა და უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნას. მასალები მომზადებულია მარტივად აღსაქმელი ფორმით და პრაქტიკული მაგალითებით, რაც ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას და გაზიარებას.

www.mediatsigniereba.ge-ს 2025 წლის მონაცემებით, ჯამში, 140,000 ვიზიტორი ჰყავდა. პლატფორმის გამომწერთა რაოდენობამ კი, 1,300 შეადგინა.

მედიანგნიერების ეროვნული პლატფორმა ასევე არის სივრცე, სადაც თავმოყრილია მედიანგნიერების სფეროში არსებული სხვადასხვა ინიციატივა, კვლევა და საგანმანათლებლო რესურსი. პლატფორმა მედიანგნიერების მიმართულებით დაინტერესებულ და მომუშავე 30-ზე მეტ პარტნიორს აერთიანებს და როგორც ადგილობრივ გამოცდილებას, ისე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას აზიარებს.

2026 წლის გეგმა

კომუნიკაციების კომისია გააგრძელებს მედიანგნიერების ეროვნული პლატფორმის განვითარებას, რათა უზრუნველყოს მედიანგნიერების სფეროში მიმდინარე ტენდენციების, დარგობრივი კვლევებისა და ინოვაციური მიდგომების შესახებ განახლებულ ინფორმაციაზე წვდომა.

კომუნიკაციების კომისიამ, მედიანგნიერების პროექტების ფარგლებში, 2019 წლიდან 2025 წლის ჩათვლით, მედიანგნიერების უნარ-ჩვევების, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების განვითარების მიზნით, 16,300 მოსწავლე, 5,500 მასწავლებელი და 1,900 სტუდენტი გადაამზადა. სულ ჩატარდა 1500-მდე კონფერენცია, სემინარი და საინფორმაციო შეხვედრა, ხოლო „ციფრული მხარდაჭერის პროგრამას“ 10,000-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავს.

საერთო ჯამში, 2019 წლიდან მედიანგნიერების პროექტებს 33,700 ბენეფიციარი ჰყავს.

მედიააკადემია

მედიააკადემია მედიის ხარისხისა და პროფესიული სტანდარტების გაძლიერების მიზნით საქმიანობს და მედიის სფეროთი დაინტერესებული ადამიანების ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება.



მედიააკადემიის საქმიანობა აერთიანებს როგორც საგანმანათლებლო ფორმატებს, მათ შორის მოკლე და გრძელვადიან კურსებს, მასტერკლასებს, სემინარებსა და მენტორშიფს, ისე კრიტიკულ-ანალიტიკურ საქმიანობას.

2025 წელს „მედიასკოლის სტუდია“ გრძელვადიან კურსებზე უკვე მესამე ნაკადი მიიღო. 4 თვიანი პრაქტიკული კურსი უფასოა და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას რეალურ გარემოში, რედაქციაში, ე.წ. ნიუსრუმში სრულფასოვნად დაეუფლონ ჟურნალისტიკას.



კურსი მოიცავს მედიის მიმართულებით როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სამუშაოებს, რომლის გავლის შემდეგაც, კურსდამთავრებულებს მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის შექმნა დამოუკიდებლად შეუძლიათ.

გრძელვადიანი კურსები მედიასკოლამ 2024 წელს დაიწყო და „მედიასკოლის სტუდიას“ ჯამში 29 კურსდამთავრებული ჰყავს. მათი უმრავლესობა სხვადასხვა მედიაორგანიზაციაში დასაქმებული. „მედიასკოლის სტუდია“ ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკითაა აღჭურვილი. სტუდენტები, პრაქტიკულად სწავლობენ: ახალი ამბების მომზადებას; გადაცემების წაყვანას, როგორც სატელევიზიო, ისე რადიო ეთერებისა და ონლაინ პლატფორმებისთვის; აუდიომონტაჟს და ხმის რეჟისურას; არასაინფორმაციო სატელევიზიო სიუჟეტებისა და გადაცემების მომზადებას; ტელემონტაჟს; ინტერვიუს მომზადებას; პროდიუსირებას. ასევე, პროგრამაშია, რადიო საინფორმაციო გამოშვების, სიუჟეტებისა და პოდკასტების მომზადება, ოპერატორის ხელოვნება, მეტყველება, სატელევიზიო ბადის შექმნა, ფორმატირება, ფროდაქშენი და სოციალურ მედიაში მუშაობის უნარ-ჩვევები.

კურსის ფარგლებში საგნებს უძღვებოდნენ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალები: „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, თოქ-შოუს ავტორი და წამყვანი ნინო შუბლაძე; „რუსთავი 2“-ის წამყვანი დავით კაკულია; „ტელეიმედის“ დილისა და შუადღის პროგრამების მთავარი პროდიუსერი სოფო ნიკოლაიშვილი; „ტელეიმედის“ ჟურნალისტი, რეპორტიორი და ტელე-დოკუმენტური ფილმების ავტორი მარიამ ბაკურაძე; სპორტული კომენტატორი დიმა ობოლაძე; თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე; „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მედია დირექტორი რუსუდან მანჯგალაძე; „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პროდიუსერი ეკატერინე ტალახაძე; „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტი თეონა მანაგაძე; „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოპერატორები - გიორგი ქასრაშვილი და ვაჟა მაქარაშვილი; „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხმის ჯგუფის უფროსი მაკა კუჭაიძე; ჟურნალისტთა ვერბალური და არავერბალური ტექსტის მართვის უნარის ტრენერი თამთა ცინცაძე და „მედიააკადემიის“ ციფრული მარკეტინგის მენეჯერი ლაშა დარბაისელი.





უკვე 5 წელია მედიასკოლა, ჟურნალისტიკით დაინტერესებულ ადამიანებს, საშუალებას აძლევს უფასოდ, ონლაინ მასტერკლასით პროფესიონალი ავტორებისგან ისწავლონ ის, რაც ზოგადად მედიას, მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის მომზადებასა და პროფესიონალ ჟურნალისტს სჭირდება.

ეს არის ონლაინ ლექციების სერია, სადაც ტელემენეჯერები, პროდიუსერები, ტელენამყვანები, ოპერატორები და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალები, რომლებიც მედიასთან შემხებლობაში არიან, მსმენელს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

2025 წელს „მასტერკლასს“ სამი ახალი ავტორი დაემატა, მათ შორის, სამხედრო რეპორტიორი კობა ლიკლიკაძე, სპორტული ჟურნალისტი და ტელენამყვანი დიმიტრი ობოლაძე და ფსიქოლოგი ზურაბ მხეიძე.

„მასტერკლასის“ ვიდეოლექციები მედიააკადემიის Youtube არხზე, ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია და მას უკვე ჯამურად 4 მილიონზე მეტი ნახვა აქვს.

პროექტის ფარგლებში მედიააკადემიის YouTube არხზე კიდევ 20 ავტორის ვიდეო ლექციებია განთავსებული.

სემინარები მედიის წარმომადგენლებისა და სტუდენტებისთვის

მედიასკოლა, მაღალი მედიასტანდარტის დამკვიდრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 6 წელზე მეტია მოქმედი ჟურნალისტებისა და სტუდენტებისთვის ატარებს უფასო სემინარებს. 2025 წელს მედიააკადემიაში 9 საჯარო ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც ჯამურად 160-ზე მეტი მონაწილე დაესწრო. სემინარის თემები იყო: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მედიაში და ყალბი ამბების ამოცნობა, რომელსაც მონაცემთა ანალიტიკოსი და ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტი, ირაკლი გოგატიშვილი უძღვებოდა. აღსანიშნავია, რომ ირაკლი გოგატიშვილი ფლობს ტურინის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორის ხარისხს და ამასთან, აქვს მრავალწლიანი გამოცდილება AI სისტემების შექმნაში. ასევე, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ ფსიქოლოგ ზურა მხეიძის ტრენინგს დასწრებოდნენ, სადაც ტრენინგმა ისაუბრა, თუ რა გავლენას ახდენს მედია მაყურებელზე და როგორია ინფორმაციის აღქმის პროცესები. მედიასკოლაში ტრენინგს „დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის გაშუქებაზე“, საგარეო საქმეთა სამინისტროს გლობალურ საკითხთა დირექტორატის გენერალური დირექტორი, დიპლომატი კახა სიხარულიძე გაუძღვა, ხოლო ეკონომიკის შესახებ სემინარი ეკონომიკის დოქტორმა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანმა, ვახტანგ ჭარაიამ ჩაატარა.

მედიასკოლის მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ სახალხო დამცველს, ლევან იოსელიანს და მოესმინათ ლექცია ადამიანის უფლებებზე. სტუდენტები ასევე, შეხვდნენ ფსიქოლოგ რუსუდან გორგილაძეს, რეჟისორ გიორგი ებრალიძესა და ქეთი სადღობელაშვილს, რომლებმაც დოკუმენტური კინოს შესახებ ტრენინგი ჩაატარეს. დრამატურგი ბასა ჯანიკაშვილი ამბის თხრობის შესახებ სემინარს გაუძღვა, ხოლო მსახიობმა ია სუხიტაშვილმა მომავალ ჟურნალისტებთან „კამერასთან მუშაობის ტექნიკასა და გამომსახველობითი ხელოვნების“ შესახებ ისაუბრა.

მედიაკრიტიკის ონლაინ პლატფორმა www.mediacritic.ge არის ონლაინ რესურსი, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს პუბლიკაციებს მედიის რეგულირებისა და ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებაზე. ასევე, საზოგადოებას უზიარებს მსოფლიო მედიაში მიმდინარე აქტუალური მოვლენების, ტენდენციებისა და სოციალური მედიის სიახლეების შესახებ ინფორმაციას. მედიაკრიტიკის პლატფორმა ასევე, აქვეყნებს პუბლიკაციებს ქართული ენის ნორმების დაცვისა და მართებული ფორმების დამკვიდრების მიზნით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების ამოქმედებამდე, მედიაკრიტიკამ ათობით კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც ძირითადად ყოველდღიურ ახალ ამბებს ეხებოდა. სტატიებში ყურადღება გამახვილებული იყო ახალი ამბების გადაცემის დროს ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევაზე, მათ შორის, ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნასა და მედიის მიერ ინფორმაციის უკონტექსტოდ გავრცელებაზე. კანონის ამოქმედების შემდეგ, მედიაკრიტიკამ მეტი ყურადღება მედიის რეგულირების თემას დაუთმო.

2025 წლის განმავლობაში, მედიაკრიტიკის პლატფორმას 125,000 ვიზიტორი ჰყავდა. www.mediacritic.ge-ზე განთავსებულ მასალებს, დაარსების დღიდან, მილიონზე მეტი მომხმარებელი გაეცნო, ხოლო ვებგვერდს სამი მილიონზე მეტი ნახვა ჰქონდა.

მედიალაბის საქმიანობის მიზანი ციფრული მედიის ეკოსისტემის გაძლიერებაა. მედიალაბის აქსელერატორი სტარტაპებს სთავაზობს დახმარებას კონსულტაციების, ტრენინგებისა და სპეციალისტების რჩევების სახით. ასევე, აძლევს წვდომას რესურსებზე, მათ შორის: უახლეს ტექნოლოგიებზე, უფასო სამუშაო სივრცეზე, სხვადასხვა ინსტრუმენტებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

მედიალაბი ატარებს ტრენინგებსა და სემინარებს სხვადასხვა აუდიტორიისთვის, გარდა ამისა, მედიალაბი ახორციელებს პროექტებს და ღონისძიებებს, რომლებიც სხვადასხვა გამოცდილების პროფესიონალებს აერთიანებს.

მედიალაბის ტრენინგები და სემინარები

ციფრული გარემო ყოველდღიურად იცვლება და იხვეწება, შეხვედრებითა და სასწავლო ფორმატებით მედიალაბი ადამიანებს აძლევს ცოდნას, რომ ცვალებად ციფრულ გარემოში ადაპტირება შეძლონ. სწორედ ამიტომ, ტრენინგები და სემინარები აერთიანებს როგორც აქტუალურ პრაქტიკულ თემებს, ისე იმ „საბაზისო კომპეტენციებს“, რომლებიც მონაწილეებს საშუალებას აძლევს, ფეხი აუწყონ მუდმივად განახლებად ციფრულ სამყაროს.

2025 წელს მედიალაბმა სტარტაპერებისთვის 15-მდე შეხვედრა და ტრენინგი ჩაატარა.

ტრენინგებისა და სემინარების შედეგად, მედიალაბმა ჯამში 500-ზე მეტი ბენეფიციარი გადაამზადა.

კიბერუსაფრთხოების ფორუმი - ტექ-ტრეკი

2025 წელს მედიალაბმა სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციასთან თანამშრომლობით, კიბერუსაფრთხოების ფორუმი - ტექ-ტრეკი გამართა.

ღონისძიების მთავარ თემას ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენდა და მას 200-მდე ბენეფიციარი დაესწრო, მათ შორის: სტარტაპერები, ციფრული პროდუქტის შემქმნელები, პროგრამისტები, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები, IT ექსპერტები და AI ინჟინრები. მონაწილეები გაეცნენ AI ეკოსისტემის სანდოობისა და უსაფრთხოების საკითხებს. კერძოდ, რა რისკების შემცველია ტექნოლოგიებისთვის მონაცემთა გაზიარება, როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის მოდელები კიბერშეტევის სამიზნე გახდეს, ან რა საფრთხეების მატარებელია გენერაციული AI.

იდეადრომი

2025 წელს მედიალაბმა ორჯერ ჩაატარა სტარტაპიდების კონკურსი „იდეადრომი“, რომლის მიზანი ციფრული მედიის სფეროში პოტენციური სტარტაპერებისა და სტარტაპიდების აღმოჩენა და მათი რეალობად ქცევის ხელშეწყობა იყო. კონკურსში მონაწილე სტარტაპებმა ერთკვირიანი გადამზადება გაიარეს. პროგრამის ფარგლებში მათ მიიღეს სპეციალისტების დახმარება. გუნდებთან იმუშავეს სტარტაპერმა და კომერციალიზაციის ექსპერტმა, იურისტმა, ფინანსისტმა, მარკეტერმა, მედიატორმა და სხვა სპეციალისტებმა. მონაწილეებმა გაიარეს ისეთი ტრენინგები, როგორებიცაა: სტარტაპიდის ვალიდაცია, პროტოტიპირება და პროდუქტის ტესტირების მეთოდები, მოლაპარაკებები და მზადყოფნა ინვესტორებთან შეხვედრისას, ფინანსები, სამართლებრივი და იურიდიული საკითხები სტარტაპებისთვის, იდეისთვის შესაფერისი ბიზნეს მოდელის შერჩევა და სხვა.

ტრენინგების შემდეგ მონაწილეებმა იდეები ჟიურის წარუდგინეს. იდეადრომის საპრიზო ფონდი 10,000 ლარია.

„იდეადრომი“ 11-ჯერ ჩატარდა და მონაწილე გუნდების უმეტესობა აგრძელებს საქმიანობას.



ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირი (ITU)



კომუნიკაციების კომისიის ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა 2025 წელსაც გაგრძელდა.

• კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ, მონაწილეობა მიიღო ITU-ს საბჭოს (ITU Council) სხდომაში. საბჭო ITU-ს მმართველი ორგანოა სრულუფლებიან კონფერენციებს (PP) შორის და პასუხისმგებელია ITU-ს ყოველდღიური მუშაობის უზრუნველყოფაზე, სამუშაო პროგრამების კოორდინაციაზე, ბიუჯეტის დამტკიცებასა და ფინანსებისა და ხარჯების კონტროლზე. საბჭო ITU-ს წევრი 48 ქვეყნის წარმომადგენლებისგან შედგება.

• კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ და ComCom-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა, ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიტის 20 წლისთავისადმი (WSIS+20) მიძღვნილ მაღალი დონის კვირეულსა და „AI for Good“ გლობალურ სამიტში მიიღეს მონაწილეობა. ეკატერინე იმედაძემ მარეგულირებელი ორგანოების ხელმძღვანელებს საქართველოში 5G-ის დანერგვისა და ბაზარზე კონკურენციის წახალისების მიზნით, ComCom-ის პროექტები გააცნო. ამავდროულად, ეკატერინე იმედაძემ მონაწილეობა მიიღო ლიდერთა პანელში „LeadersTalk“, სადაც სატელეკომუნიკაციო დარგის ზედამხედველი ორგანიზაციების მიერ მდგრადი ციფრული განვითარების ხელშეწყობისთვის, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი პოლიტიკების დანერგვის თაობაზე ისაუბრა. გარდა ამისა, ეკატერინე იმედაძე მომხსენებლად წარდგა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ILO) და ITU-ს ერთობლივ სესიაზე, რომელიც ციფრულ უნარებსა და შრომის ბაზარზე ტრანსფორმაციას შეეხებოდა. კვირეულის ფარგლებში, ეკატერინე იმედაძე ქალბატონი მინისტრებისა და ICT სფეროს ლიდერ ქალბატონთა სესიაში მონაწილეობდა, სადაც გენდერული უთანასწორობის შემცირებისა და ციფრულ მმართველობაში ქალთა ჩართულობის შესახებ იმსჯელეს. GovStack-ის ციფრული ლიდერების ფორუმზე კი, რომელიც გერმანიის, ესტონეთისა და ITU-ს ორგანიზებით გაიმართა, ეკატერინე იმედაძე მოხსენებით წარდგა ციფრული ტრანსფორმაციის თემაზე.

• კომუნიკაციების კომისიის წევრმა ეკატერინე იმედაძემ და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელმა მარეგულირებლების რიგით 25-ე გლობალურ სიმპოზიუმში (GSR-25) მიიღეს მონაწილეობა. სიმპოზიუმზე საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო (GSR – Best Practice Guidelines) მიიღეს, რომელიც გლობალური ციფრული ბაზრების რეგულირების სამომავლო ხედვას განსაზღვრავს. კომუნიკაციების კომისია საკონსულტაციო პროცესში აქტიურად იყო ჩართული და საკუთარი ხედვა წარადგინა. მარეგულირებლების ხელმძღვანელთა მრგვალი მაგიდის სესიაზე გამოსვლისას, ეკატერინე იმედაძემ ყურადღება გაამახვილა კომუნიკაციების კომისიის პროექტებსა და წარმატებულ გამოცდილებაზე, როგორებიცაა: სატელეკომუნიკაციო ბაზრების პირველი სრულმასშტაბიანი კვლევა და ბაზრის გახსნისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების ხელშეწყობის სტრატეგია, ფასების ბენჩმარკინგი, მომსახურებების ხელმისაწვდომობის კვლევა და ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგის პროგრამა. სიმპოზიუმის ფარგლებში ეკატერინე იმედაძემ მოდერაცია გაუწია თემატურ სესიას - „დედამიწიდან კოსმოსამდე: სანდოობა და ინოვაციების ხელშეწყობა“. სესიის ფარგლებში იმსჯელეს, თუ როგორ შეიძლება მარეგულირებელმა ჩარჩომ დააბალანსოს ინოვაცია და უსაფრთხოება, რაც შექმნის დაბალრისკიან და გახსნილ სატელეკომუნიკაციო ეკოსისტემას. სიმპოზიუმის ფარგლებში, ინკლუზიური მმართველობის ინიციატივის მხარდასაჭერად, ეკატერინე იმედაძემ მონაწილეობა მიიღო, ITU-ს განვითარების ბიუროს ქალთა ქსელის (NoW) ინტერაქტიულ სესიაში. თემატური განხილვები ტექნოლოგიების სფეროში ლიდერი ქალების მიერ ექსპერტიზის, ხედვებისა და გამოწვევების გაზიარებას დაეთმო.

• კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ და ComCom-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა, მონაწილეობა მიიღეს ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირისა (ITU) და აზერბაიჯანის ციფრული განვითარებისა და ტრანსპორტის მინისტროს (Mincom) მიერ ორგანიზებულ ტელეკომუნიკაციის განვითარების მსოფლიო კონფერენციაში (WTDC-25). კონფერენციის მთავარი თემა იყო „უნივერსალური, მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი დაკავშირებადობა ინკლუზიური და მდგრადი ციფრული მომავლისთვის“. ეკატერინე იმედაძემ მონაწილეობა მიიღო ITU-D-ის ქალთა ქსელის (NoW) სამუშაო შეხვედრაში, სადაც დელეგატმა ქალებმა განიხილეს ტელეკომუნიკაციების სფეროში ქალთა როლის გაძლიერების გზები, გენდერული ბალანსის ხელშეწყობა და ციფრული და ლიდერული უნარების განვითარების მნიშვნელობა. გარდა ამისა, WTDC-25-ის ფარგლებში, ჩატარდა ITU-ს კომიტეტების სამუშაო შეხვედრები, სადაც განხილული იყო ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის საორგანიზაციო საკითხები.

ციფრული მართვლობის ქსელის (DRN) მართვლი საბჭო

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ, 2025 წლის განმავლობაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელის (EaPeReg) სახელით, მონაწილეობა მიიღო ციფრული მართვლობის ქსელის (DRN) მართვლი საბჭოს სხდომებში:

- ITU-ს საბჭოს ფარგლებში გამართული DRN მართვლი საბჭოს სესიის მთავარ თემებს წარმოადგენდა: ციფრული რეგულაციის ძირითადი ტენდენციები, სტრატეგიული პრიორიტეტები და DRN-ს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების გზები;

- WSIS+20-ის ფარგლებში, DRN-ს სპეციალურ სესიაზე, რომლის მთავარ თემსაც მდგრადი ციფრული განვითარების მიზნით მარეგულირებლების მიერ თანამშრომლობის ჩარჩოების შექმნა და ციფრულ სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად, ხელოვნური ინტელექტისა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენდა, ეკატერინე იმედაძემ, EaPeReg-ის სახელით, რეგიონში არსებულ ვითარებასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა;

- GSR-25-ის ფარგლებში გამართულ DRN-ს სპეციალურ სესიაზე ეკატერინე იმედაძემ საზი გაუსვა რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელობას, წარმოაჩინა EaPeReg-ის წარმატებული გამოცდილება და მიმდინარე პროექტები. განსაკუთრებული ყურადღება რეგიონული ჰარმონიზაციისა და მომავალზე ორიენტირებული მარეგულირებელი ინსტრუმენტების საჭიროებას დაუთმო.

ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ქსელი (EaPeReg)



2025 წლის განმავლობაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ქსელმა (EaPeReg) წარმატებით გააგრძელა პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან დაახლოების პროცესის ხელშეწყობა, რასაც ქსელის ექსპერტული ჯგუფების მიერ EU4Digital-ის დახმარებით განხორციელებული პროექტები და ქსელის გაფართოებული საერთაშორისო ურთიერთობები ადასტურებს.

აღნიშნულ პროცესს ComCom-მა აქტიურად შეუწყო ხელი. ITU და EaPeReg-ი 2016 წლიდან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მჭიდროდ თანამშრომლობენ. კომუნიკაციების კომისიის წევრი, ეკატერინე იმედაძე, EaPeReg-ს წარმოადგენს ITU-ს ციფრული რეგულირების მართვლი საბჭოში. ასევე, ITU-ში EaPeReg-ის მუდმივმოქმედ საკონტაქტო პირად ComCom-ის წარმომადგენელია განსაზღვრული. იგი კოორდინაციას უწევს EaPeReg-ისა და ITU-ს თანამშრომლობას.

ევროპის რეგიონული განვითარების ფორუმი და ევროპის რეგიონისთვის WTDC-ის მოსამზადებელი შეხვედრა, უნგრეთის მედიისა და ინფოკომუნიკაციების ორგანოსა (NMHH) და ITU-ს ევროპის ოფისის ორგანიზებით გაიმართა. კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა EaPeReg-ის სახელით, მონაწილეობა მიიღო სესიაში, რომელიც ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართული პარტნიორობის გაძლიერებას ეხებოდა. სესიაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ITU-EMERG-EaPeReg-ის სამმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

- ელექტრონული კომუნიკაციების სააგენტოს (AEC) და ITU-ს ორგანიზებით მარეგულირებლების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე კომისიის წარმომადგენელმა ITU-ს მნიშვნელობასა და EaPeReg-ის წვლილზე ისაუბრა.

- მონტენეგროს ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის ორგანოს (EKIP) და ITU-ს ევროპის ოფისის ორგანიზებით, ევროპის მარეგულირებლების რეგიონული ფორუმი-2025 გაიმართა. კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სესიაში - „საზოგადოებრივი შეტყობინებების სისტემები ციფრულ ეპოქაში“, სადაც რეგიონში Cell Broadcast ტექნოლოგიის დანერგვის დინამიკაზე ისაუბრა.

- ITU-ს ევროპის ოფისისა და კვიპროსის ციფრული უსაფრთხოების სააგენტოს (DSA) ორგანიზებით, მობილური ინფრასტრუქტურის მომსახურების ხარისხის საკითხებზე შესაძლებლობების განვითარების სემინარი გაიმართა. კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა, ციფრული ტრანსფორმაციისა და ინკლუზიური ციფრული ეკოსისტემების განვითარების ხელშეწყობისთვის ITU-სა და EMERG-თან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კომუნიკაციების კომისიის თანამშრომლებმა, რომლებიც EaPeReg-ის ექსპერტული ჯგუფების (IRB EWG, REWG, SEWG) წევრები არიან, მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრებში. მათი ჩართულობით, EU4Digital ინიციატივის ტელეკომის მიმართულების ექსპერტებმა, მუშაობა დაასრულეს შემდეგ დოკუმენტებზე:

- ხმოვანი ზარის დასრულების ბაზრის ანალიზის რეგიონალური ანგარიში (REWG);
- ბაზრის ანალიზის რეგიონალური ანგარიში (IRB EWG);
- ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის მონიტორინგის რეგიონალური და პარტნიორი ქვეყნების ინდივიდუალური ანგარიშები (IRB EWG).

ევროპის საბჭოს მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების მმართველი კომიტეტის (CDMSI) შეხვედრები



CDMSI ევროპის საბჭოს ქოლგის ქვეშ მოქმედი კომიტეტია, რომელიც მედიის თავისუფლების, პლურალიზმის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინტერნეტის მმართველობისა და ციფრულ გარემოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობს. CDMSI-ის მმართველ კომიტეტში საქართველოს წარმომადგენელი ComCom-ის წევრი, ივანე მახარაძეა.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ივანე მახარაძემ და კომუნიკაციების კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიძემ, ევროპის საბჭოს მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების მმართველი კომიტეტის (CDMSI) 28-ე პლენარულ სხდომაში მიიღეს მონაწილეობა.

სხდომა 2026 წლისთვის CDMSI-ის საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრის, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეროვნული მედია და საინფორმაციო წიგნიერების განვითარების სტრატეგიების განხილვას დაეთმო. ამასთან ერთად, ღონისძიებაზე განიხილეს ორი ახალი ექსპერტთა კომიტეტის: ონლაინ სივრცეში მედია პლურალიზმის დაცვისა და პლატფორმებზე დაფუძნებულ გარემოში მედია მარეგულირებლების როლის საკითხზე არსებული კომიტეტების საქმიანობა.

მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმა



მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმა (EPRA) წარმოადგენს მაუწყებლობის მარეგულირებლებისგან დაკომპლექტებულ ქსელს, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა და 47 ქვეყნის 56 მარეგულირებელ ორგანოს აერთიანებს. საქართველო EPRA-ს ქსელს 2013 წელს შეუერთდა და ორგანიზაციაში მას კომუნიკაციების კომისია წარმოადგენს.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ივანე მახარაძემ და მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა, კონსტანტინე ქორიძემ, მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) რიგით 61-ე შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც EPRA-ს ახალი ხელმძღვანელობის არჩევასა და მედიის რეგულირების სფეროში არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებზე მსჯელობას ისახავდა მიზნად.

შეხვედრაზე განხილული იყო მედიის რეგულირების თვალსაზრისით აქტუალური თემები. ერთ-ერთი სესია დაეთმო ვიდეოგაზიარების პლატფორმებსა თუ სოციალურ მედიაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და საარჩევნო პროცესის სწორად წარმართვის საკითხებს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებს, ასევე, იმსჯელეს მარეგულირებელ ინსტრუმენტებსა და განახლებულ საგანმანათლებლო მიდგომებზე. ამასთან, შეხვედრაზე განიხილებოდა მედიის რეგულირების მიდგომები, რომლებიც ქვეყნებში ჯანსაღ მარეგულირებელ პოლიტიკას განსაზღვრავს.

ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა აღმასრულებელი საბჭოს არჩევნები.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ივანე მახარაძემ, ComCom-ის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა, კონსტანტინე ქორიძემ და კომუნიკაციების კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა, სომხეთის ტელევიზიისა და რადიოს კომისიის (CTR) მასპინძლობით გამართულ მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) რიგით 62-ე შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების მთავარ თემებს ციფრულ ეპოქაში მედიაპლურალიზმის დაცვა, ხელშეწყობა და განვითარება, ასევე, სწრაფად განვითარებად გარემოში მარეგულირებლების მიერ საჭირო სტრატეგიების შემუშავება და აღსრულება წარმოადგენდა.

ღონისძიების ფარგლებში, ComCom-ის წარმომადგენლებმა, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, ლიეტუვის, იტალიის, მაკედონიის, ბულგარეთისა და ესპანეთის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

შეხვედრის ფარგლებში, ასევე, გაიმართა თემატური სესიები, სადაც ონლაინ უსაფრთხოების მარეგულირებლების გლობალური ქსელისა (GOSRN) და გლობალური მედიის რეესტრის წარმომადგენლებმა მიმდინარე პრიორიტეტები და საქმიანობა წარადგინეს. EPRA-ს რიგით 62-ე შეხვედრა, ასევე, დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა: მრავალფეროვანი და ჯანსაღი მედიაგარემოს ხელშეწყობისთვის არსებული გზები და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები.

ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია



ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია (EAO) არის ორგანიზაცია, რომელიც ევროპის საბჭოს ქოლგის ქვეშ 1992 წლიდან ფუნქციონირებს და ევროპაში ფილმის, მაუწყებლობის და აუდიოვიზუალური ინდუსტრიის სფეროში არსებული ფაქტებისა და მონაცემების ანალიზს ახორციელებს. ამჟამად ორგანიზაციას 41 წევრი ჰყავს. საქართველო ორგანიზაციის წევრი 2016 წელს, ხოლო თავმჯდომარე ქვეყანა - 2024 წელს გახდა. EAO-ში ქვეყანას კომუნიკაციების კომისია წარადგენს, ორგანიზაციის აღმასრულებელ საბჭოში კი საქართველოს წარმომადგენელი ComCom-ის წევრი, ივანე მახარაძეა.

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ივანე მახარაძემ, მონაწილეობა მიიღო ვენაში გამართულ ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის (EAO) აღმასრულებელი საბჭოს რიგით 73-ე სხდომაზე და თავმჯდომარე ქვეყნის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელიც აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების დირექტივის (AVMSD) განახლებას მიეძღვნა.

შეხვედრის ფარგლებში, განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ახალი აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების დირექტივის (AVMSD) სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება; ინფლუენსერების როლი და გავლენა აუდიოვიზუალურ სფეროზე; არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა მედიის სფეროში და ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის თანამშრომლობის გაღრმავება ევროკომისიასთან.

კომუნიკაციების კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა, მონაწილეობა მიიღო ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის (EAO) აღმასრულებელი საბჭოს რიგით 74-ე სხდომაში, რომელიც EAO-ს 2026 წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცებას დაეთმო.

BRAF



შავი ზღვის აუზის ქვეყნების მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმი (BRAF) 2009 წელს დაარსდა და ყოველწლიური შეხვედრების ფორმატში ოპერირებს. ორგანიზაციის წევრი ქვეყნები არიან საქართველო, თურქეთი, ალბანეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუმინეთი, რუსეთი, მოლდოვა, საბერძნეთი, უკრაინა და სერბეთი.

კომუნიკაციების კომისიის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებმა შავი ზღვის აუზის ქვეყნების მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმის (BRAF) მე-11 და მე-12 წლიურ შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე „ბავშვთა უფლებების დაცვა მედიამომსახურებებში“, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა BRAF-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს გააცნეს მაუწყებლობისა და მედიამომსახურებების სფეროში საქართველოში არსებული სიახლეები და გამოწვევები, ასევე, ონლაინ სივრცეში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ComCom-ის მიერ განეული ძალისხმევა და მიღწეული პროგრესი.

AI-ს ზედამხედველი უწყებების გლობალური ქსელის შეხვედრა

კომუნიკაციების კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა, ხელოვნური ინტელექტის ზედამხედველი უწყებების გლობალური ქსელის (Global Network for AI Supervisory Authorities) პირველ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ვიზიტის ფარგლებში ნინო გრძელიშვილი, ასევე, დაესწრო მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრას, რომელიც AI-ის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებების შესაძლებლობების განვითარებას შეეხებოდა. შეხვედრაზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ხელოვნური ინტელექტის სისტემების ეფექტიანი ზედამხედველობისა და რეგულირების ძირითადი გამოწვევები და სტრატეგიები; ხელოვნური ინტელექტის ზედამხედველობის მიზნით, მარეგულირებელი ორგანოებისათვის საჭირო უნარები თუ ინსტრუმენტები და სხვა.

ხელოვნური ინტელექტის ზედამხედველი უწყებების გლობალური ქსელი წარმოადგენს არაფორმალურ პლატფორმას, რომელიც მარეგულირებელ და პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებს აერთიანებს. 2025 წელს ხელოვნური ინტელექტის ზედამხედველი უწყებების გლობალურ ქსელს კომუნიკაციების კომისიაც შეუერთდა.

საერთაშორისო ღონისძიებები

ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიტის (WSIS+20) კვირეული



კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ და Com-Com-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა, მონაწილეობა მიიღეს ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ (WSIS+20) მაღალი დონის კვირეულსა და „AI for Good“ გლობალურ სამიტში.

კვირეულის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით, გაიმართა სესია თემაზე - „ინოვაციების გამოყენება და რისკებისა და შესაძლებლობების დაბალანსება ციფრულ სივრცეში: საქართველოს გამოცდილება“. სესია საქართველოს ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბების პოტენციალსა და ინკლუზიური ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიმართულებით ქვეყნის ძალისხმევასა და მიღწეულ შედეგებს მიეძღვნა. ღონისძიებაზე, ქვეყნის რეგიონულ ციფრულ ლიდერად პოზიციონირების თვალსაზრისით, კომუნიკაციების კომისიის მიერ განხორციელებულ ინიციატივებზე ComCom-ის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ მოხსენება წარადგინა, სესიას მოდერაცია ComCom-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა გაუწია. დისკუსიის ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს აქვს უპირატესობა, იყოს საკვანძო რგოლი რეგიონში და სანდო პარტნიორი ევროპასა და აზიას შორის, რის უნიკალურ შესაძლებლობასაც საქართველოს ევროკავშირთან პირდაპირი წყალქვეშა კავშირი აძლევს. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, უსაფრთხო და მდგრადი ინფრასტრუქტურა, ასევე, მყარი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო, ხელს უწყობს ინოვაციებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, ხოლო ხელსაყრელი მარეგულირებელი გარემო - ქმნის რეალურ საფუძველს საქართველოს რეგიონულ ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბებისთვის.

GSMA ფორუმი



კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ეკატერინე იმედაძემ და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიშვილმა, მონაწილეობა მიიღეს მობილური კომუნიკაციების ასოციაციის (GSMA) ღონისძიებაში სახელწოდებით „M360 ევრაზიის ფორუმი 2025“.

GSMA-ის ევრაზიის ფორუმის ფარგლებში გამართულ სესიაზე, რომელიც მობილური ინვესტიციების წახალისებას შეეხებოდა, ComCom-ის წევრმა პრეზენტაცია წარადგინა და ხაზი გაუსვა საქართველოს ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბების პოტენციალს და ამ მხრივ ComCom-ის მიერ განეულ ძალისხმევას, ასევე, სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაციისა, თუ კონკურენციის გაძლიერების მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებებს.

GSMA-ის ევრაზიის ფორუმი, ასევე, ეთმობოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ხელოვნური ინტელექტისა და 5G ტექნოლოგიების განვითარება; რეგიონში ინოვაციების, ეკონომიკური პოტენციალისა და ინვესტიციების წახალისება; ასევე, ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და ციფრული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საჭირო ჩარჩოს შექმნა.

ღონისძიებას 100-მდე ქვეყნიდან 3500-ზე მეტი მონაწილე ჰყავდა.

2025 წლის ლიდერთა სამიტი

კომუნიკაციების კომისიის წევრი, ეკატერინე იმედაძე, „2025 წლის ლიდერთა სამიტს“ დაესწრო, რომლის ფარგლებშიც, „G20 ფორმატის დისკუსიაში“ მიიღო მონაწილეობა. დისკუსია ხელოვნური ინტელექტის და 5G ინტერნეტის გამოყენებით მონეტიზაციის შესაძლებლობების გაზრდას, ინკლუზიური სატელეკომუნიკაციო გარემოს შექმნას და ციფრულ სერვისებზე დაფუძნებული ინოვაციური ბიზნეს მოდელების განვითარების განხილვას მიეძღვნა. შეხვედრის ფარგლებში, ComCom-ის წევრმა საქართველოში ტელეკომუნიკაციების სფეროში არსებული სიახლეები მიმოიხილა და 5G-ის დანერგვისა თუ ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით, ComCom-ის ძალისხმევას და მიღწეულ პროგრესს გაუსვა ხაზი.

გარდა ამისა, ეკატერინე იმედაძე მონაწილეობდა მრგვალი მაგიდის დისკუსიებში, სადაც განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორებიცაა: მარეგულირებელი უწყებების ხელშეწყობი როლი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ინოვაციური ტელეკომ სერვისების დანერგვაში; 5G ინტერნეტის განვითარების სტრატეგია და ახალი, 6G ტექნოლოგიისთვის მზადება.


სამიტი, რომელსაც 20 მარეგულირებელი ორგანოსა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სამხრეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ტელეკომუნიკაციების საბჭოს (SAMENA), ასევე არაბთა გაერთიანებული საამიროების ტელეკომუნიკაციებისა და ციფრული მმართველობის მარეგულირებელი ორგანოს (TDRA) მიერ იყო ორგანიზებული.

სპექტრის მართვის მე-20 ევროპული კონფერენცია

კომუნიკაციების კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, სანდრო ქარუმიძემ და სპექტრის მართვის ჯგუფის უფროსმა, გიორგი პაპავამ, სპექტრის მართვის რიგით მე-20 ევროპულ კონფერენციაში (ESMC) მიიღეს მონაწილეობა.

კონფერენციის ფარგლებში განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ევროპული ციფრული ქსელების ინიციატივა (Digital Networks Act); GSO/NGSO თანამგზავრული სისტემების თანაარსებობა; 7.125–8.5 გჰც დიაპაზონის სამომავლო გამოყენება; მობილური ქსელებისთვის 6GHz და sub-700 MHz შუა სიხშირული დიაპაზონების ღირებულების მაქსიმიზაცია; მსოფლიო რადიოკომუნიკაციების კონფერენციისთვის (WRC-27) საერთო ევროპული პოზიციის და პრიორიტეტების განსაზღვრა და სხვა.

სპექტრის მართვის მე-20 ევროპული კონფერენცია

 კომუნიკაციების კომისიის წევრი, ეკატერინე იმედაძე და ComCom-ის კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი, ეკატერინე სიჭინავა, „Capacity Media“-ის საერთაშორისო კონფერენციას - „Capacity Eurasia 2025“ დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში, ComCom-ის წევრმა მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში სახელწოდებით „ორი კონტინენტის დამაკავშირებელი ახალი ციფრული ჰაბები“, სადაც საქართველოს, როგორც რეგიონული ციფრული დამაკავშირებელი ჰაბის უპირატესობაზე ისაუბრა.

სესიის ფარგლებში, რომელიც მიზნად ორი კონტინენტის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნების ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბების საკითხების განხილვას ისახავდა, ეკატერინე იმედაძემ განაცხადა, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა კავკასიაში, რომელსაც აქვს პირდაპირი წყალქვეშა კავშირი ევროკავშირთან, რაც ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას ჩამოყალიბდეს ნეიტრალურ, სტაბილურ და უსაფრთხო მონაცემთა მიმოცვლის პლატფორმად. გარდა ამისა, მან ისაუბრა ComCom-ის ინიციატივებზეც, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანაში ხარისხიანი და მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარებას, ღია წვდომასა და ციფრულ ინკლუზიურობას.

„Capacity Eurasia 2025“ კონფერენციის მიზანია ევრაზიის, კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებიდან ტელეკომ ოპერატორების, ინდუსტრიის წარმომადგენლების, ტელეკომუნიკაციებისა და ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებზე მომუშავე უწყებების და მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლების გაერთიანება და ევრაზიის ციფრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობების განხილვა.



კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ და მედიაწიგნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მარიამ დახუნდარიძემ, UNESCO-სა და საფრანგეთის მედია და ინფორმაციული წიგნიერების ცენტრის (CLEMI) მიერ ორგანიზებულ კონფერენცია - „To educate or to Ban: Breaking the Impasse“-ში მიიღეს მონაწილეობა.

კონფერენცია UNESCO-სა და CLEMI-ს მიერ ციფრული სამყაროს გამოწვევების გადაჭრის შესახებ მშობლებისა და ოჯახებისთვის სახელმძღვანელოს შემუშავებას ემსახურებოდა. ვიზიტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები, ასევე, UNESCO-ს მედია და ინფორმაციული წიგნიერების და ციფრული კომპეტენციების სამსახურის უფროსსა და UNESCO-ს მედიაწიგნიერების ალიანსის პროგრამის მენეჯერთან გამართეს.

ორმხრივი პარტნიორობა

თანამშრომლობა მარეგულირებად ორგანოებთან

- 2025 წელს, კომუნიკაციების კომისიამ ევკვიპტის მარეგულირებელ ორგანოსა და რუმინეთის კომუნიკაციების მართვისა და რეგულირების ეროვნულ ორგანოსთან თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა. თანამშრომლობა ელექტრონული კომუნიკაციების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, თანამგზავრული სისტემებისა და 5G ქსელების განვითარების მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.
- კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ და მედიაწიგნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მარიამ დახუნდარიძემ საფრანგეთის მარეგულირებელი ორგანოს (ARCOM) საერთაშორისო თანამშრომლობის დირექტორთან და მედიაწიგნიერების სამსახურის უფროსთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის ფარგლებში, ComCom-ის წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია საფრანგეთის მედიაწიგნიერების პოლიტიკის განსაზღვრისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების შესახებ. კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა, კოლეგებს მედიაწიგნიერების განვითარების მიმართულებით ComCom-ის მიერ მიღწეული პროგრესისა და წარმატებული პროექტების შესახებ გაუზიარეს ინფორმაცია.

თანამშრომლობა ფინეთთან მედიაწიგნიერების მიმართულებით

კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ნათია კუკულაძემ, მედიაწიგნიერების დეპარტამენტის უფროსმა, მარიამ დახუნდარიძემ და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ნინო გრძელიძემ, მედიაწიგნიერების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და ამ კუთხით, თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ფინელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები გამართეს.

შეხვედრებში მონაწილეობას ფინეთის ეროვნული აუდიოვიზუალური ინსტიტუტის (KAVI) წარმომადგენელი, Finnish Safer Internet Centre-ის პროგრამის დირექტორი, ფინეთის მედიაგანათლების საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი და ფინეთის განათლების ეროვნული სააგენტოს (EDUFI) წარმომადგენლები იღებდნენ.

ComCom-ის წარმომადგენლებმა ფინელ კოლეგებს მედია და ციფრული წიგნიერების სფეროში კომუნიკაციების კომისიის მიდგომები, პროექტები და მიღწეული შედეგები გააცნეს.

თანამშრომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამინისტროსთან

კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენლებმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ციფრული განვითარებისა და ტრანსპორტის სამინისტროს თანამშრომლებთან, საეთერო მაუწყებლობისა და მობილური სერვისების კოორდინაციის მიზნით, სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ციფრული ტელევიზიის, VHF/FM-ის და ციფრული რადიომაუწყებლობის, ასევე, სახმელეთო მობილური სერვისების საკითხები განიხილებოდა. მხარეები FM რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სადგურებისთვის სიხშირეების განაწილებაზე შეთანხმდნენ.

შეხვედრა, ასევე, დაეთმო მობილური ქსელის ერთობლივი ტესტირების შედეგების გაცვლასა და IMT სისტემების კოორდინაციის ტექნიკური შეთანხმების დოკუმენტის (TAD) დანერგვის საკითხების განხილვას. საუბარი შეეხო მობილური ქსელების ოპტიმიზაციას და TAD დოკუმენტის შესაბამისად, სიხშირული არხების, ასევე, NCC, SC და PCI პარამეტრების გამოყენების უზრუნველყოფას. მხარეებმა, შეხვედრის ფარგლებში, მიმოიხილეს 174-230 MHz დიაპაზონის ერთობლივი გამოყენების, ასევე, T-DAB სერვისებისთვის ოპტიმიზაციის შესაძლებლობები და აღნიშნულ დიაპაზონში სიხშირული ბლოკების განაწილების გეგმის მომზადებაზე შეთანხმდნენ.

თანამშრომლობა PSRC-თან

კომუნიკაციების კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, სანდრო ქარუმიძე და დეპარტამენტის წარმომადგენლები სომხეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი მომსახურების მარეგულირებელი კომისიის (PSRC) თანამშრომლებს შეხვდნენ. შეხვედრა სომხეთსა და საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში, მოქმედი და პერსპექტიული FM რადიოსადგურების შეუფერხებლად მუშაობის კოორდინაციას ემსახურებოდა.

მარეგულირებლების ერთიანი პლატფორმა


კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ვახტანგ აბაშიძემ, კოლეგა მარეგულირებელი უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად, მომხმარებლის დაცვის რიგით მესამე საერთაშორისო და კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენციები გახსნა. კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ღონისძიებების ფარგლებში, ის პროექტები მიმოიხილა, რომლებიც სატელეკომუნიკაციო სექტორში მომხმარებლებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით, ქვეყანაში ხორციელდება. ვახტანგ აბაშიძემ ტელეკომ სექტორის კომპლექსური კვლევის პროექტზე, ქვეყანაში 5G ინტერნეტის დანერგვის პროცესსა და ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტზე ისაუბრა. მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ComCom-ის საქმიანობა ვახტანგ აბაშიძემ, შშმ პირთათვის აუდიოვიზუალური პროექტის ხელმისაწვდომობის დამტკიცების საკითხით შეაჯამა, რომელიც ComCom-ს ევროპული აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების დირექტივასთან დაახლოების მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად დაევალა.

ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ComCom-ის კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა, ეკატერინე სიჭინავამ, რომელმაც ტელეკომ ბაზარზე არსებული ტენდენციები მიმოიხილა, ასევე, ComCom-ის მიერ განხორციელებული მობილური და ფიქსირებული მომსახურებების ბაზრის კომპლექსურ კვლევაზე ისაუბრა და ტელეკომ ოპერატორის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის საკითხზე გაამახვილა ყურადღება. გარდა ამისა, ღონისძიებაში ComCom-ის ომბუდსმენი, გვანცა ჩხეიძე მონაწილეობდა, რომელმაც აუდიტორიას მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობა, მომხმარებელთა მიმართვიანობის სტატისტიკა და მიღწეული შედეგები გააცნო.



დანართი 1

კომუნიკაციების კომისიის სტრუქტურა



2025 წელს, საზედამხედველო ინსპექტირების წარმატებით გავლის შემდეგ, კომუნიკაციების კომისიამ საერთაშორისო სტანდარტის - ISO 9001:2015 სერტიფიკატი კვლავ შეინარჩუნა. ISO 9001:2015 სერტიფიკატს კომუნიკაციების კომისია 2020 წლიდან ფლობს, რაც ადასტურებს, რომ ორგანიზაცია მომხმარებლების დაცვასა და კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობას საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ასრულებს.

დანართი 2

კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი

2025 წლის ფაქტიური | 2026 წლის გეგმა

სულ შემოსავლები და რეზერვი	19,351,605	24,825,200
შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	14,231,123	14,667,233
შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	3,568,830	3,392,801
სხვა შემოსავლები	1,341,126	521,388
სარეზერვო ფონდი	210,527	6,243,779
სულ ხარჯები	19,351,605	24,825,200
კაპიტალური დანახარჯები	1,362,239	1,444,986
შრომის ანაზღაურების ხარჯები	9,381,744	10,912,417
მივლინების ხარჯები	324,527	572,039
მომსახურების ხარჯები	2,413,330	4,697,603
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	342,286	463,794
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	305,524	288,362
კომუნიკაციის ხარჯები	40,163	38,952
კომუნალური ხარჯები	109,210	111,630
საკანცელარიო ხარჯები	5,795	12,932
დაცვის ხარჯები	243,600	261,120
საწვავის ხარჯი	34,933	40,589
საწევრო ხარჯები	27,356	28,721
რემონტისა და შენახვის ხარჯები	261,736	251,245
სხვა ხარჯები	34,593	34,341
წარმომადგენლობითი ხარჯები	85,424	210,080
გაუთვალისწინებელი ხარჯები	0	24,005
საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	412,677	612,680
მედიანგიწიერება	3,966,468	4,819,705
<i>მედიანგიწიერების ხარჯები</i>	<i>1,315,165</i>	<i>966,500</i>
<i>ააიპ მედიააკადემიის ხარჯები</i>	<i>2,651,303</i>	<i>3,853,205</i>

დანართი 3

მომხმარებელთა მომართვიანობის სტატისტიკა

2025 წელს, კომუნიკაციების კომისიასთან არსებულმა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა, ქვეყნის მასშტაბით 160 საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა. შეხვედრების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას მიენოებოდა ინფორმაცია სატელეკომუნიკაციო სფეროში მათი უფლებების და დარღვეული უფლებების აღდგენის მიმართულებით არსებული დაცვის მექანიზმების თაობაზე.

2025 წელს, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, ბოლო წლებთან შედარებით, ყველაზე მეტი - 3015 განცხადება/მომართვა შევიდა, საიდანაც ყველაზე მეტი მომართვიანობა, ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანებას და მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის პირობებს, ინტერნეტ სივრცეში დაუშვებელი პროდუქციის განთავსებას და უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.

2025 წელს მომართვიანობის თემატიკა და სტატისტიკა⁶²

თემატიკა	რაოდენობა
1. ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება და მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის პირობები	786
2. ინტერნეტ სივრცეში დაუშვებელი პროდუქციის განთავსება	362
3. უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	359
4. მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე და სადავო დავალიანება	217
5. საანძო მეურნეობა, ინფრასტრუქტურის მონესრიგება, საშიში რადიაციული დასახივება	155
6. სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	154
7. მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება	62
8. სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	53
9. არასასურველი კომერციული მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SPAM)	32
10. სააბონენტო ნომრის პორტირება	13
11. სააბონენტო ნომრის გასხვისება	12
12. სხვა	810

⁶²მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის [2025 წლის საქმიანობის ანგარიში](#)

დანართი 4

ლიცენზირება და ავტორიზაცია, თანხმობა წილებისა და აქტივების გასხვინებაზე

- ვადა გაუგრძელდა კერძო რადიომაუწყებლობის 9 ლიცენზიას;
- ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადდა კერძო რადიომაუწყებლობის ერთი ლიცენზია;
- გაიცა კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გადაცემაზე ერთი თანხმობა;
- მოდიფიცირდა კერძო რადიომაუწყებლობის 2 ლიცენზია;
- ვადა გაუგრძელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 3 ლიცენზიას;
- ვადა გაუგრძელდა ადგილობრივი ციფრული მიწისგადასათელვევიმო ქსელის უზრუნველსაყოფად მულტიკლექსკლათფორმისთვის მინიჭებულ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის 21 უფლებას.

გამოცხადდა 7 კონკურსი რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად და გაიცა 3 რადიომაუწყებლობის ლიცენზია.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად, 17 აუქციონი გამოცხადდა. აუქციონების შედეგად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 5 ლიცენზია გაიცა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- ავტორიზაცია გაიარა 19-მა იურიდიულმა პირმა;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე, ავტორიზაცია გაუქმდა 16 იურიდიულ პირს;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე, ავტორიზაცია შეუჩერდა 6 იურიდიულ პირს;
- კომუნიკაციების კომისიის ინიციატივით, ავტორიზაცია შეუჩერდა 13 იურიდიულ პირს;
- ავტორიზაცია გაუახლდა 2 იურიდიულ პირს;
- გაიცა ავტორიზებადი საქმიანობისთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის 36 უფლება;
- გაუქმდა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ერთი უფლება და კომისიის 5 გადაწყვეტილებით მინიჭებული 7 ნუმერაციის რესურსი;
- გაიცა არავტორიზებადი საქმიანობისთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 195 უფლება;
- გაიცა ავტორიზებადი საქმიანობისთვის დახმარება ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 8 უფლება;
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ 4 იურიდიული პირის განცხადება განუხილველად დარჩა;
- 38 რადიომომყვარულს მიენიჭა სახმობი ნიშანი;
- 23 საზღვაო ხომალდს მიენიჭა სახმობი და ამოცმობის ნიშანი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- მაუწყებლობაზე ავტორიზაცია გაიარა 4-მა იურიდიულმა პირმა;
- მოდიფიცირდა 7 იურიდიული პირის მაუწყებლობის ავტორიზაცია;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე, მაუწყებლობის ავტორიზაცია შეუჩერდა 9 იურიდიულ პირს;
- კომუნიკაციების კომისიის ინიციატივით, მაუწყებლობის ავტორიზაცია შეუჩერდა ერთ იურიდიულ პირს;
- მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია ვერ გაიარა ერთმა იურიდიულმა პირმა;
- მაუწყებლობის ავტორიზაცია გაუახლდა ერთ იურიდიულ პირს;
- გამოქანებით აუდიოვიზუალურ მედიამომსახურებაზე ავტორიზაცია ვერ გაიარა ერთმა იურიდიულმა პირმა.

2025 წელს, ავტორიზებული პირის წილის, აქციებისა და საოპერაციო აქტივების შექენაზე, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, გაიცა 11 თანხმობა.

დანართი 5

რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა და თავისუფალი სიხშირული რესურსი

მომხმარებლებისთვის ინოვაციური მომსახურების მიწოდებისა და ქვეყანაში თანამედროვე რადიოსიხშირული სისტემების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაციების კომისია 2024 წელს განახლებული რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით ხელმძღვანელობს. გასულ წელს კომუნიკაციების კომისიამ ეროვნულ გეგმაში შესატანი ცვლილებები ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის ადმინისტრაციების ევროპული კონფერენციის (CEPT) ელექტრონული კომუნიკაციის კომიტეტის (ECC) მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე მოამზადა. გათვალისწინებულ იქნა ევროკომისიისა და CEPT-ის ელექტრონული კომუნიკაციის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც სპექტრის გამოყენების ისეთ სფეროებს ეხება, როგორებიცაა ლოკალური კორპორატიული ქსელები, სარკინიგზო მობილური სისტემები, ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები, ავიაცია, სააერნაოსნო მოწყობილობების (დრონები) გამოყენება, თანამგზავრული სისტემები, რადარები და სხვა.

რაც შეეხება თავისუფალ სიხშირულ რესურსს, 2025 წელს კომუნიკაციების კომისიამ 6 ზონაში, მათ შორის თბილისის, რაჭის, ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სვანეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის ზონებისთვის თავისუფალი სიხშირული რესურსი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ ზონებში: ზონა N1, N3, N9, N10, N12 და N13, კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად, 6 კონკურსი ჩატარდა და გაიცა 2 რადიომაუწყებლობის ლიცენზია.

დანართი 6

კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები

N1 - 20.03.2025 - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილებაში ცვლილების შეტანა განაპირობა, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებებმა, მათ შორის, ბოლო წლებში ცვლილება შევიდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ხოლო პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მეორე მხრივ, კომუნიკაციების კომისიის პრაქტიკაში არსებული საკითხების უფრო მეტად დახვეწის საჭიროებამ. დადგენილებით ცვლილება შევიდა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილების ორ დანართში: „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებში“ (დანართი N1) და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მარეგულირებელ წესში“ (დანართი N2).

დანართში N1 შეიცვალა კომუნიკაციების კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაგზავნის, გამოქვეყნებისა და შეტყობინების ჩაბარების მარეგულირებელი ნორმები, დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ მხარისთვის გასაგზავნი შეტყობინების რეკვიზიტები, პროცედურის სახელი, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია და კომისიის ვებ-გვერდის მისამართი; ცვლილება შევიდა რადიოსიხშირის მაძიებლის მიერ კომისიაში წარსადგენ განცხადებაში მისათითებელი ინფორმაციის ჩამონათვალში, ასევე, ამოღებულია ნუმერაციის რესურსის სარგებლობის უფლების მინიჭებისა (29¹ მუხლი) და რადიოსიხშირის მინიჭების უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციისთვის კომისიისთვის წარსადგენი დამატებითი განცხადების და თანდართულ დოკუმენტებზე მითითების ნორმები; დაზუსტდა სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭებისთვის წარსადგენი განცხადების რეკვიზიტები; ტექნიკური შესწორებები შევიდა ცალკეულ მუხლში და სხვა.

დანართში N2 სახელწოდება - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, შეიცვალა სახელწოდებით - სსიპ კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. ასევე, შეიცვალა ადგილზე შემოწმების პროცესში მონაწილე მესამე პირთა წრის ჩამონათვალი. ამასთანავე, ვინაიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კონცენტრაციის შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტების ბრუნვის გამოთვლისა და ჯარიმის დაკისრების მიზნებისთვის, ჩანაწერი - „წლიური ბრუნვა“, შეიცვალა შემდეგი რედაქციით - „ერთობლივი შემოსავალი“. აღნიშნული აისახა დანართის ცალკეულ მუხლში და სხვა.

N2 - 20.03.2025 - „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილებაში ცვლილების შეტანა განაპირობა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილების N1 დანართიდან 29¹ მუხლის ამოღებამ, რომელიც ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებას ეხებოდა. ამასთან, ცვლილება გამოწვეული იყო ნუმერაციის მაძიებლის მიერ კომისიაში განცხადების წარმოდგენის მომწესრიგებელი ნორმების დახვეწის საჭიროებით.

ცვლილებით თავიდან გაიწერა დადგენილების მე-3 მუხლი, რომელიც ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებას ეხება. კერძოდ, უკეთ ჩამოყალიბდა ნუმერაციის მოთხოვნისა და განხილვის პროცედურის ეტაპები. გარდა ამისა, ტექნიკური შესწორება შევიდა დადგენილების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში.

N3 - 20.11.2025 - „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - დადგენილებით ცვლილება შევიდა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილების - 56-ე მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, წინამდებარე ცვლილებებამდე „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ მოცემული იყო დისკრიმინაციული ხასიათის ტერმინი - „მოხუცები“, რომელიც ჩანაცვლდა არადისკრიმინაციული ტერმინით - „ხანდაზმულები“. ასევე, ამავე ქვეპუნქტში ფრაზას - „შეზღუდული შესაძლებლობების პირები“ დაემატა სიტყვა „მქონე“ და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები“.

დანართი 7

კომუნიკაციების კომისიის მიერ განხილული დავები

1. შპს „ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე.

დავის საგანი: ეთერში, სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე ახალი ამბების გადაცემისას საკუთარი პოზიციის გამოხატვა, ფაქტებისგან გამიჯვნის გარეშე.

შედეგი: შპს „ტელეკომპანია პირველი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

გადაწყვეტილება: Nგ-25-16/353.

2. ა(ა)იპ „არასამენარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ წინააღმდეგ მოქალაქე ლევან მამფორიას საჩივრის განხილვის შესახებ.

დავის საგანი: მომჩივანის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება, გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, სადავო სიუჟეტის ამოღება ეთერიდან და სოციალური ქსელიდან.

შედეგი: ა(ა)იპ „არასამენარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ფაქტების ჯეროვანი სიზუსტით გადაცემის მოთხოვნის დარღვევის გამო და გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან. მაუწყებელს დაევალა მოქალაქე ლევან მამფორიას საჩივარში მითითებული სიუჟეტის

ა(ა)იპ „არასამენარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ სოციალური ქსელის გვერდიდან („Facebook“) ამოღება და მიღებული ზომების თაობაზე ინფორმაციის კომისიაში წარმოდგენა, ხოლო მომჩივანის მოთხოვნა მის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის იმავე საშუალებით და იმავე პროგრამაში უარყოფის დავალებისა და საჩივარში მითითებული სიუჟეტის სატელევიზიო ეთერიდან ამოღების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება: Nგ-25-16/392.

3. შპს „სეზონი ტვ“-ის წინააღმდეგ მოქალაქეების მარიამ გაფრინდაშვილის, ნანა ქაჭაიასა და ნატალია ქაჭაიას საჩივრის განხილვის თაობაზე.

დავის საგანი: მომჩივანების მიმართ სქესის ნიშნით სიძულვილის ენის გამოყენება; არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის მოთხოვნების დარღვევის შესწავლა.

შედეგი: საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შპს „სეზონი ტვ“-ს დაეკისრა ჯარიმა 2,500.00 ლარის ოდენობით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში 21:00 საათიდან 22:16 საათის ჩათვლით პერიოდში, 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი პროგრამის განთავსების გამო.

გადაწყვეტილება: Nგ-25-16/418.

4. სს „მედია ჰოლდინგისა“ და შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

დავის საგანი: მაუწყებლების მიერ მომჩივანის წინასაარჩევნო კამპანიის არგამუქება.

შედეგი: საჩივარი განუხილველი დარჩა, მისთვის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნის/სავარაუდო დარღვევის დაუზუსტებლობის გამო.

გადაწყვეტილება: Nგ-25-16/528.

5. შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ ა(ა)იპ „საქართველოს მომავლის აკადემიის“ და ალექსანდრე ზიბზიბაძის საჩივრის განხილვის შესახებ.
დავის საგანი: მაუწყებლის მიერ ახალი ამბების/საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში საჩივრის ავტორების საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვა.
შედეგი: საჩივარი არ დაკმაყოფილდა.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/613.
6. შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ ა(ა)იპ „საქართველოს მომავლის აკადემიის“ და ალექსანდრე ზიბზიბაძის საჩივრის განხილვის თაობაზე.
დავის საგანი: ჯეროვანი სიზუსტით ფაქტების გადაცემის მოთხოვნის დარღვევა, პასუხის უფლებაზე უარი, პასუხის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა, სიუჟეტის გასვლის თანაზომიერ დროს, პირდაპირი ეთერის დათმობა გაუღებულ ბრალდებებზე პასუხის გასაცემად.
შედეგი: საჩივარი არ დაკმაყოფილდა.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/668.
7. შპს „გ.ს.ი. ტექნოლოგიასა“ და შპს „მაგთიკომს“ შორის ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული დავის განხილვის თაობაზე.
დავის საგანი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა; ურთიერთჩართვიდან გამომდინარე დარიცხული დავალიანება; ურთიერთჩართვის პირობების შეუსრულებლობა და ზარის დასრულების კანონიერება.
შედეგი: შპს „მაგთიკომის“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „მაგთიკომს“ მიეცა თანხმობა შპს „გ.ს.ი. ტექნოლოგიასთან“ ურთიერთჩართვის შეჩერებაზე, კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებით. შპს „გ.ს.ი. ტექნოლოგიას“ მიეცა წერილობითი გაფრთხილება საერთაშორისო ზარის გამომძახებელი აბონენტის ნომრის იდენტიფიცირების გარეშე დასრულების გამო.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/669.
8. შპს „სფერო ტვ“-ის წინააღმდეგ მოქალაქე კახა კუკავას საჩივრის განხილვის თაობაზე.
დავის საგანი: თვითრეგულირების ეფექტიანობა.
შედეგი: საჩივარი დაკმაყოფილდა და შპს „სფერო ტვ“-ს დაეკისრა ჯარიმა 2,500.00 ლარის ოდენობით.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/469.
9. შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე.
დავის საგანი: სოციალურ ქსელში განთავსებულ ახალი ამბების პროგრამაში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვა.
შედეგი: შპს „მთავარი არხი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/354.
10. შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ ა(ა)იპ „საქართველოს მომავლის აკადემიის“, ალექსანდრე ზიბზიბაძისა და მარია დარჩიევის საჩივრის განსახილველად მიღებისა და დავის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ.
დავის საგანი: მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების საფუძველზე, სამაუწყებლო ეთერში, ვებ-გვერდსა და მესამე პირის ინფორმაციის გაზიარების პლატფორმაზე, ინფორმაციის განთავსება და მეორე მხარესთან კანონდარღვევით სატელეფონო საუბრის ჩაწერა და გავრცელება.
შედეგი: საჩივრი განსახილველად იქნა მიღებული.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/529.
11. „შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ ა(ა)იპ „საქართველოს მომავლის აკადემიის“, ალექსანდრე ზიბზიბაძისა და მარია დარჩიევის საჩივრის განხილვის შესახებ.
დავის საგანი: მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების საფუძველზე, მაუწყებლის მიერ სამაუწყებლო ეთერით, ვებ-გვერდსა და მესამე პირის ინფორმაციის გაზიარების პლატფორმაზე, ინფორმაციის განთავსება და მეორე მხარესთან კანონდარღვევით სატელეფონო საუბრის ჩაწერა და გავრცელება.
შედეგი: საჩივარი არ დაკმაყოფილდა.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/611.
12. შპს „სფერო ტვ“-ის წინააღმდეგ მოქალაქე კახა კუკავას საჩივრის განხილვის თაობაზე.
დავის საგანი: თვითრეგულირების ეფექტიანობა.
შედეგი: საჩივარი დაკმაყოფილდა და შპს „სფერო ტვ“-ს მიეცა წერილობითი გაფრთხილება, დაევალა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ვებ-გვერდის შექმნა და აღნიშნულის დამადასტურებელი ინფორმაციის კომუნიკაციების კომისიაში წარმოდგენა, ასევე დაევალა კ. კუკავას მიერ საჩივრის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, საჩივრის განხილვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
გადაწყვეტილება: Nგ-25-16/169.
13. შპს „მაგთიკომისთვის“ შპს „ვიფიშერთან“ ურთიერთჩართვის შეჩერებაზე კომისიის თანხმობის მიცემის შესახებ.
დავის საგანი: ურთიერთჩართვიდან გამომდინარე დავალიანების გადაუხდელობა.

შედეგი: საჩივარი დაკმაყოფილდა და შპს „მაგთიკომს“ მიეცა კომუნიკაციების კომისიის თანხმობა შპს „ვიფიშერთან“ ურთიერთჩართვის შეჩერებაზე.

გადაწყვეტილება: Nგ-25-16/144.

14. სს „სილქნეტის“, შპს „მაგთიკომის“, შპს „სელფი მობაილის“ წინააღმდეგ შპს „ირკას“ საჩივრის განსახილველად მიღების საკითხის განხილვის თაობაზე.

დავის საგანი: მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

შედეგი: უარი განსახილველად მიღებაზე.

გადაწყვეტილება: Nგ-25-16/217.

15. შპს „ფორმულას“ წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საჩივრის განხილვის თაობაზე.

დავის საგანი: მაუწყებლის მიერ ახალ ამბებში მოსაზრებისა და ფაქტის გაუმიჯნაობა.

შედეგი: შპს „ფორმულა“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

გადაწყვეტილება: Nგ-გ-25-16/355.

16. შპს „სფერო ტვ“-ს მიმართ მოქალაქე კახა კუკავას საჩივრის განხილვის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

დავის საგანი: თვითრეგულირების ეფექტიანობა.

შედეგი: საჩივრის ავტორმა საჩივარი გაითხოვა, საქმის წარმოება შეწყდა.

გადაწყვეტილება: Nგ-25-16/394.

დანართი 8

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო

1. კომპანია: შპს „ონეტ+“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/158.

2. კომპანია: შპს „მარტვ-ნეტ“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/157.

3. კომპანია: შპს „ტერრა-ნეტ“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/203.

4. კომპანია: შპს „მაიგოუ“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა, რეგულირების საფასური გადაუხდელობა.

შედეგი: სამართალდამრღვევად ცნობა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/332.

5. კომპანია: შპს „იპნეტ“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/268.

6. კომპანია: შპს „ალნეტ“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/266.

7. კომპანია: შპს „ანეტი“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/267.

8. კომპანია: შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/368.

9. კომპანია: შპს „ინექსფონი“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/403.

10. კომპანია: შპს „ინექსფონი“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: ჯარიმა, 6,615.92 ლარი.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/564.

11. კომპანია: შპს „ა+ბ“

საფუძველი: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/582.

12. კომპანია: შპს „მახათა“

საფუძველი: კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილების გასხვისება, დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/659.

13. კომპანია: შპს „პროსერვ.ჯი“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარმოდგენლობა, რეგულირების საფასურის გადაუხდელობა.

შედეგი: ჯარიმა, 3,000.00 ლარი.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/416.

14. კომპანია: ინდ. მეწარმე „ავთანდილ ეგუტიძე“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარმოდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/460.

15. კომპანია: შპს „PC&I Networks“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარმოდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/463.

16. კომპანია: შპს „მაქსნეტი“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა.

შედეგი: სამართალდამრღვევად ცნობა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/457.

17. კომპანია: შპს „სქაი სერვისი-Sky Service“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/462.

18. კომპანია: შპს „სქაიტელეკომი-Skytelecom LTD“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/461.

19. კომპანია: შპს „ფლაი ტივი“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და სტატისტიკური ანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/459.

20. კომპანია: შპს „მაქსნეტკომ“

საფუძველი: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის 2024 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/595.

21. კომპანია: შპს „ფონექტი“

საფუძველი: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის 2024 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/593.

22. კომპანია: შპს „სერვისი“

საფუძველი: წილის გაყიდვა კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/86.

23. კომპანია: შპს „მარია“

საფუძველი: წილის გაყიდვა კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/92.

24. კომპანია: შპს „პრაიმნეტი“

საფუძველი: წილის გაყიდვა კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/110.

25. კომპანია: შპს „მეტინეტი“

საფუძველი: ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შედეგი: წერილობითი გაფრთხილება.

გადაწყვეტილება: Nგ-25-18/155.

26. კომპანია: შპს „ტელკომ ნეთვორქსი“

დავის საგანი: „ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2022 წლის 14 ივლისის Nგ-22-18/321 გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ სამაუწყებლო ბადეში აუდიო-ვიზუალური პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე მართლზომიერი ჩვენების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე განთავსების გამო, დაეკისრა ჯარიმა 5,000.00 ლარის ოდენობით.

სტატუსი: მიმდინარე.

101. მოსარჩელე: შპს „ალტ ინფო“

დავის საგანი: „შპს „ალტ ინფოსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის N გ-21-18/236 გადაწყვეტილება.

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „ალტ ინფოს“ სარჩელი.

სტატუსი: მიმდინარე.

102. მოსარჩელე: შპს „მთავარი არხი“

დავის საგანი: „შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 28 იანვრის Nგ-21-18/22 გადაწყვეტილება.

სტატუსი: მიმდინარე.

დანართი 10

აუდიტის დასკვნა

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2025 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
ინდივიდუალური შემოსავლის და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგება	4
ინდივიდუალური გაუნაწილებელი ფონდების ცვლილების ანგარიშგება.....	5
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სარჩევი

შინაარსი.....	1
1 კომისია და მისი საქმიანობა	7
2 საოპერაციო გარემო	8
3 მომზადების საფუძველი	8
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	9
5 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	9
6 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
7 ძირითადი საშუალებები.....	12
8 არამატერიალური აქტივები.....	14
9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	16
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულება.....	16
12 ამონაგები რეგულირების საფასურიდან	17
13 საიჯარო ამონაგები რესურსებით გამოყენების უფლებებიდან.....	17
14 ფინანსური შემოსავალი და მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	18
15 მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი.....	18
16 მიღებული მომსახურება და გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარჯი	19
17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები	19
18 ფინანსური რისკების მართვა.....	20
19 გაუნაწილებელი ფონდების მართვა	21
20 სამართლიანი ღირებულების შეფასება	21
21 საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისიის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომისიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომისიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომისიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია აპირებს კომისიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომისიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო კომისიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომისიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ,

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

მპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 აპრილი 2026


თბილისი, საქართველო




სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025 წელი	31 დეკემბერი 2024 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,775	6,717
ძირითადი საშუალების შესყიდვისთვის გადახდილი ავანსი		-	367
არამატერიალური აქტივები	8	941	526
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,716	7,610
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		3	28
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,457	1,240
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	8
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	10,404	10,290
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,864	11,566
სულ აქტივები		19,580	19,176
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	181	142
მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	14	2,047	1,913
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,228	2,055
სულ ვალდებულებები		2,228	2,055
სულ წმინდა აქტივები		17,352	17,121
გაუნაწილებელი ფონდები			
გაუნაწილებელი ფონდები	19	17,352	17,121
სულ გაუნაწილებელი ფონდები		17,352	17,121

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა საოპერაციო ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 30 აპრილს:


 გოგა გულორიძე
 კომისიის თავმჯდომარე


 ნათია ლევარიანი
 საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი

*სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
შემოსავლებისა და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგება*

ათასი ლარი	შენიშვნა	2025	2024
ამონაგები რეგულირების საფასურიდან	12	14,231	13,184
საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან	13	3,579	3,429
მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	15	(10,120)	(9,162)
ღროებით მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	15	(809)	(176)
მედიაკაადემიის ხარჯი	6	(2,651)	(2,330)
მიღებული მომსახურების ხარჯი	16	(3,970)	(2,438)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(939)	(783)
გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარჯი	16	(97)	(110)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(342)	(373)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		10	24
ფინანსური შემოსავალი	14	1,310	1,098
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		29	0
წლის გაუნაწილებელი ფონდები		231	2,363

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე-7 დან მე-22 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური გაუნაწილებელი ფონდების ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	გაუნაწილებელი ფონდები	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		14,758	14,758
2024 წლის გაუნაწილებელი ფონდები		2,363	2,363
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	19	17,121	17,121
2025 წლის გაუნაწილებელი ფონდები		231	231
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	19	17,352	17,352

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე-7 დან მე-22 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		17,793	16,751
მომწოდებლისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(4,332)	(3,614)
მედიაკადემიის დაფინანსებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,653)	(2,329)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(10,929)	(9,333)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები		-121	1,475
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,061)	(637)
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსი		-	(367)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		32	
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		1,263	1,098
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		234	94
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		1	(1)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		10	10,290
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		10	10,290

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე-7 დან მე-22 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 კომისია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“-სთვის (შემდგომში „კომისია“).

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ დაფუძნდა 2000 წლის 1 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). კომისიის შექმნის წინაპირობა არის პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“. აღნიშნული კანონი 2005 წელს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით შეიცვალა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით მკაფიოდ გამოიხატა მთავრობის, როგორც დარგში პოლიტიკის შემუშავებელი (რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი) ორგანოს და კომისიის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომისია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომისიას არ გააჩნდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

კომისია არა უგვიანეს ყოველი წლის 1 ივნისისა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს და აქვეყნებს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს და ფინანსური აუდიტის შედეგებს.

ძირითადი საქმიანობა. კომისიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროს და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება, ასევე მედიაწიგნიერების განვითარება და ხელშეწყობა. კომისიის შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური, ასევე რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახადებია.

კომისიის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორებიც არის:

- კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- სატელეკომუნიკაციო ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისთვის ავტორიზებულ და ლიცენზიის მფლობელ პირებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირებისა და ასევე დარგის მოთამაშებებსა და მომხმარებელს შორის წარმოქმნილი დაპირისპირების განხილვა;
- სიხშირული სპექტრისა და ნუმერაციის რესურსის ეფექტიანი გადანაწილება;
- მედიაწიგნიერების განვითარება და ხელშეწყობა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ურთიერთჩართვის ტექნიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური საკითხების დარეგულირება, რომლის ძირითადი მიზანი მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ნებისმიერი ოპერატორის მომსახურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

კომუნიკაციების კომისია არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მედიაწიგნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნების მისაღწევად, 2018 წელს კომისიამ დააფუძნა ახალი იურიდიული ერთეული, ააიპ "მედიაკადემია", რომელიც კომისიასთან ერთად უზრუნველყოფს ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარებას.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომისიის იურიდიული მისამართია ქუთაისის გამზ. #50/18, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 საოპერაციო გარემო

კომისიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და იძლევა განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

3 მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომისია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

შეფასების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება. ფასს-თან შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს რიგ მნიშვნელოვან სააღრიცხვო დაშვებებს. ის ასევე მოითხოვს საოპერაციო ხელმძღვანელობის მხრიდან ლოგიკურ მსჯელობებს კომისიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის მსჯელობას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ინფორმაციაზე მოცემულია არსებით მუხლებთან დაკავშირებულ შენიშვნებში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომისიის ფუნქციონალური ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც ორგანიზაცია ოპერირებს. კომისიის ფუნქციონალური ვალუტა და კომისიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი").

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, კონვერტირებულია ქართულ ლარში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღრიცხულია ტრანზაქციის თარიღში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. მოგება და ზარალი, რომელიც ამ ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივების და ვალდებულებების დაანგარიშების შედეგად დადგება, წარდგენილია სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი ფონდების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: აშშ დოლარი 1=2.6951; ევრო 1=3.1737 ქართულ ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1=2.8068; ევრო 1=2.9306 ლარს). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომისიის საოპერაციო ხელმძღვანელობის ან უფლებამოსილი პირების მიერ ფინანსური ინფორმაციის გამოსაცემად დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და განსჯა საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომისია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და დაშვებების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება საოპერაციო ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. საოპერაციო ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე დაშვებებს, შეფასებებთან ერთად, საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. დაშვებები, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 6.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 7.

5 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2025 წელს, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ცხრილი — ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან				
სტანდარტი / ცვლილება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები / ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი
გადაცვლადობის არარსებობა ცვლილებები ბასს 21-ში	2023 წლის აგვისტო	1 იანვარი, 2025	ბასს 21, ფასს 1	

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) 30-ე პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს იმ ცვლილებებსა და სტანდარტებს, რომელთა ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 1 იანვრის შემდგომია.

ცხრილი — ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.				
სტანდარტი / ცვლილება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები / ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2025 წლის 31 დეკემბერი

<p>ფასს 18 წარდგენა განმარტებითი შენიშვნების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში</p>	<p>2024 წლის აპრილი</p>	<p>1 იანვარი, 2027</p>	<p>ფასს 1, ფასს 3, ფასს 5, ფასს 6, ფასს 7, ფასს 8, ფასს 9, ფასს 12, ფასს 13, ფასს 14, ფასს 15, ფასს 16, ფასს 17, ბასს 2, ბასს 7, ბასს 8, ბასს 10, ბასს 12, ბასს 16, ბასს 19, ბასს 20, ბასს 21, ბასს 24, ბასს 28, ბასს 29, ბასს 32, ბასს 33, ბასს 34, ბასს 38, ბასს 40, ბასს 41, ფასილ 1, ფასიკ 14, ფასიკ 17, ფასიკ 19, ფასიკ 23, იმკ-32</p>	<p>ბასს 1</p>
<p>ფასს 19 შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულე ბის გარეშე: განმარტებითი შენიშვნების გამჟღავნება</p>	<p>2024 წლის მაისი</p>	<p>1 იანვარი 2027</p>	<p>ფასს 1, ფასს 5, ფასს 13, ფასს 17, ფასს 18, ბასს 32, ბასს 34, ფასიკ 14</p>	
<p>ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები ფასს 9 -სა და ფასს 7- ში</p>	<p>2024 წლის მაისი</p>	<p>1 იანვარი 2026</p>	<p>ფასს 7, ფასს 9, ფასს 19</p>	
<p>ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება ტომი 11</p>	<p>2024 წლის ივლისი</p>	<p>1 იანვარი 2026</p>	<p>ფასს 1, ფასს 7, ფასს 9, ფასს 10, ბასს 7</p>	
<p>ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულ ელექტროენერჯიას თან დაკავშირებული ხელშეკრულებები ცვლილებები ფასს 9 -სა და ფასს 7- ში</p>	<p>2024 წლის დეკემბერი</p>	<p>1 იანვარი 2026</p>	<p>ფასს 7, ფასს 9</p>	

6 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და განსჯა საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომისია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით.

განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მოთხოვნები/ (ვალდებულებები) 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოთხოვნები/ (ვალდებულებები) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ააიპ მედიააკადემია	2	1

2025 და 2024 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:

ათასი ლარი	მედიააკადემიის ხარჯები 2025 წელს	მედიააკადემიის ხარჯები 2024 წელს
ააიპ მედიააკადემია	2,651	2,330

მედიააკადემიის ხარჯები მოიცავს გაწეულ ხარჯებს, რომელიც დაფინანსებულია კომისიის მიერ.

ათასი ლარი	ააიპ მედიააკადემია 2025 წელს	ააიპ მედიააკადემია 2024 წელს
ააიპ მედიააკადემიისთვის უსასყიდლოდ გადაცემული გრძელვადიანი აქტივები	0	47
ააიპ მედიააკადემიისთვის 10 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაცემული გრძელვადიანი აქტივები	2	777

მედიააკადემიის უსასყიდლოდ გადაცემული გრძელვადიანი აქტივები 2024 წელს მოიცავს მედიააკადემიის მიერ იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობას, ხოლო 10 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაცემული გრძელვადიანი აქტივები არის კომპიუტერული ტექნიკა და „მედიასკოლის“ გრძელვადიანი კურსების სტუდიის ტექნიკური აღჭურვილობა შესაბამისი არამეტერიალური აქტივით, ხოლო 2025 წელს მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას.

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელ პირებს წარმოადგენს კომისიის წევრები და კომისიის თავჯდომარე. სულ, ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია, რომელიც აღრიცხულია სახელფასო

ხარჯებში 2025 წლის განმავლობაში შეადგენს 1,222 ათას ლარს (2024 წელი - 1,228 ათასი ლარი). ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ძირითადად მოიცავს სახელმწიკრულებო ხელფასსა და პრემიას.

7 ძირითადი საშუალებები

არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხებით.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად, მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

შენობა-ნაგებობები	7-დან 60-მდე
სიხშირული სპექტრის და სხვა სპეციალური აღჭურვილობა	7-დან 26-მდე
ავტომობილები	6-დან 19-მდე
კომპიუტერული ტექნიკა	6-დან 23-მდე
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	7-დან 30-მდე

მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და განსჯა საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საოპერაციო ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ გამოყენებად ნივთებს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით დადგენილ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც აქტივებისგან ელიან კომისიისთვის სარგებლის მოტანას. შემდეგი ფაქტორები არის უპირველესად გათვალისწინებული: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რაც გამოწვეულია სამუშაო პროცესის ცვლილებით ან გაუმჯობესებით, ან მოცემული აქტივის მეშვეობით გაწეულ მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნის ცვლილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების 10%-იანი ცვლილება საოპერაციო ხელმძღვანელობის შეფასებისგან 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამოიწვევს ცვეთის შემცირებას ან გაზრდას შესაბამისად 85 ათასი და 94 ათასი ლარით (2024: შემცირებას 69 ათასი ლარით და ზრდას 78 ათასი ლარით).

კომისიის ბალანსზე არის ძირითადი საშუალებები, რომელიც დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს შვილობილი ორგანიზაცია ა(ა)იპ მედიააკადემიისთვის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 634 ათას ლარს.

კომისიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით მესამე პირების სასარგებლოდ.

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2025 წლის 31 დეკემბერი

7 ძირითადი საშალები (გაგრძელება)

კომისიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშალები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	სისხირული სპექტრის და სხვა სპეციალური აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავტომობილები	სხვა აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	8	3,327	4,713	645	2,339	979	163	12,174
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 1 იანვარს	-	(985)	(2,786)	(409)	(903)	(577)	(109)	(5,769)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	8	2,342	1,927	236	1,436	402	54	6,405
დამატებები	-	1	199	63	785	-	1	1,049
ცვეთის ხარჯი	-	(75)	(300)	(44)	(244)	(70)	(4)	(737)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	8	2,268	1,826	255	1,977	332	51	6,717
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	8	3,328	4,912	708	3,124	979	164	13,223
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(1,060)	(3,086)	(453)	(1,147)	(647)	(113)	(6,506)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	8	2,268	1,826	255	1,977	332	51	6,717
დამატებები	-	-	662	10	178	68	2	920
ცვეთის ხარჯი	-	(75)	(349)	(39)	(309)	(65)	(4)	(841)
გასვლები თვითღირებულება	(8)	-	-	(24)	(14)	(97)	-	(143)
გასვლები ცვეთა	-	-	-	18	10	94	-	122
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 1 იანვარს	-	2,193	2,139	220	1,842	332	49	6,775
თვითღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს	-	3,328	5,574	694	3,288	950	166	14,000
დაგროვილი ცვეთა 2025 წლის 31 დეკემბერს	-	(1,135)	(3,435)	(474)	(1,446)	(618)	(117)	(7,225)
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს	-	2,193	2,139	220	1,842	332	49	6,775

8 არამატერიალური აქტივები

არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით და ლიცენზიებით.

შექნილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზია	6-დან 21-მდე
-------------------------------------	--------------

კომისიის ბანანსზე არის არამატერიალური აქტივები, რომელიც დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს შვილობილი ორგანიზაცია ა(ა)იპ მედიააკადემიისთვის. არამატერიალური აქტივების საბალანს ოდირებულება შეადგენს 49 ათას ლარს.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

ათასი ლარი	ლიცენზიები	პროგრამები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	77	1,699	19	1,795
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 1 იანვარს	(14)	(1,535)	(4)	(1,553)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	63	164	15	242
დამატებები			330	330
ცვეთის ხარჯი	(10)	(30)	(6)	(46)
გასავლები				-
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	53	134	339	526
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	77	1,699	349	2,125
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	(24)	(1,565)	(10)	(1,599)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	53	134	339	526
დამატებები	4	259	250	513
ცვეთის ხარჯი	(10)	(55)	(33)	(98)
გასავლები	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს	47	338	556	941
თვითღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს	81	1,958	599	2,638
დაგროვილი ცვეთა 2025 წლის 31 დეკემბერს	(34)	(1,620)	(43)	(1,697)
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს	47	338	556	941

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და განსჯა საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება გადანაწილებული რისკის მახასიათებლების მიხედვით. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილს ან ბოლო 36 თვის გამოცდილებას და ამ პერიოდისთვის შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ დებიტორული დავალიანებები.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ეყრდნობა აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას და კორექტირებულია პერსპექტიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
<i>ათასი ლარი</i>		
სავაჭრო მოთხოვნები*	1,351	1,174
სხვა ფინანსური მოთხოვნები	2	3
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(64)	(37)
სულ ფინანსური აქტივები* სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,289	1,140
გადახდილი ავანსები	168	100
შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით		
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,457	1,240

10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ათასი ლარი	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	-	1
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	10,404	10,289
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,404	10,290

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რისკის ხარისხი 2025 და 2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

ათასი ლარი	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები "BB"-დან "BB+"-მდე რეიტინგის მქონე ბანკებში	10,399	10,285
მიმდინარე ანგარიშები "B"-დან "B+"-მდე რეიტინგის მქონე ბანკებში	5	5
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,404	10,290

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	154	42
სხვა ფინანსური ვალდებულება	27	100
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	181	142

იხილეთ შენიშვნა 20 ფინანსური ვალდებულების ყველა კლასისთვის სამართლიანი ღირებულების შესახებ.

12 ამონაგები რეგულირების საფასურიდან

არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

კომისიის ამონაგები შედგება ამონაგები რეგულირების საფასურიდან და საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებიდან.

ამონაგები რეგულირების საფასურიდან. ამონაგები რეგულირების საფასურიდან წაროდგენს ელექტრონული კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სფეროს ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილ რეგულირების საფასურს. ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის შესაბამისად.

ტრანზაქციის ფასი წარმოადგენს იმ ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომისია მოელის, ხოლო მისაღები თანხები წარმოადგენს მომავალი პოტენციური ეკონომიკური სარგებლის შემოდინებას არაგაცვლითი ოპერაციებიდან, რომელიც აღიარდება ფასდათმობების გარეშე და დადგენილია ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროს ავტორიზებული პირებისათვის, წინა თვის საოპერაციო შემოსავლის 0.75% და 0.5%-ის შესაბამისად.

არაგაცვლითი ოპერაცია წარმოადგენს იმ ტრანზაქციებს, რომლებიც დაანგარიშდება მომხარებლებისგან მიღებული ანაზღაურებით და რომლის შესაბამისი ეკვივალენტი ღირებულების სერვისი შესაძლოა კომისიამ არ გაწიოს.

ათასი ლარი	2025	2024
ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება	13,589	12,675
მაუწყებლობის რეგულირება	642	509
სულ ამონაგები რეგულირების საფასურიდან	14,231	13,184

2025 წლის განმავლობაში კომისიამ რეგულირების საფასურის შემოსავლების 71% მიიღო ორი ოპერატორისგან - შპს მაგთიკომი და სს სილქნეტი (2024 წლის განმავლობაში კომისიამ ამავე ორი ოპერატორისგან მიიღო შემოსავლების 71%).

13 საიჯარო ამონაგები რესურსებით გამოყენების უფლებებიდან

საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან. საიჯარო ამონაგები რესურსების გამოყენების უფლებებიდან წარმოადგენს რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის გადახდილ საიჯარო გადასახადებს. მოცემულ რესურსებზე ფასები განსაზღვრულია კანონმდებლობით და რესურსით სარგებლობისთვის გადასახდელი თანხის სრულად გადახდა ხორციელდება წინასწარ ავტორიზებული და არავტორიზებული პირების მიერ. ხოლო მრავალწლიანი რადიოსიხშირული რესურსის უფლებებიდან - წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის საფუძველზე. საიჯარო შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად წრფივი მეთოდის გამოყენებით. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია რესურსებით სარგებლობის უფლებების განაწილება.

13 საიჯარო ამონაგები რესურსებით გამოყენების უფლებიდან (გაგრძელება)

კომისიის წინასწარ მიღებული ავანსები 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს წინასწარ გადახდილ საიჯარო ავანსებს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2025	2024
ამონაგები გაცემული ნუმერაციის რესურსის უფლებიდან	2,657	2,603
ამონაგები გაცემული რადიოსიხშირული რესურსის უფლებიდან	922	826
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	3,579	3,429

14 ფინანსური შემოსავალი და მომხმარებლისგან მიღებული ავანსები

ათასი ლარი	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობა	642	528
ნუმერაციის რესურსით სარგებლობა	1338	1310
რეგულირების საფასური	67	75
სულ მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	2,047	1,913

კომისიის ფინანსური შემოსავალი 2025 და 2024 წელს არის 1,310 ათასი და 1,098 ათასი ლარი. 2025 წელს 1,310 ათასი ლარი ფინანსური შემოსავალი მიღებულია საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებიდან (2024 წელს 1,098 ათასი ლარი).

15 მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი

ათასი ლარი	2025	2024
ხელფასები და კომპენსაციები (სამტატო თანამშრომლები)	7,715	7,176
ხელფასები და კომპენსაციები (დროებითი თანამშრომლები)*	809	177
პრემია	2,405	1,985
სულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი	10,929	9,338

ხელფასები და კომპენსაციები (დროებითი თანამშრომლები)* - ძირითადად მოიცავს კომპლექსური კვლევის და მარჯის შეკუმშვის ტესტის მეთოდოლოგიაზე დასაქმებულ უცხოელ ექსპერტზე გაცემულ და სხვა კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად, დროებით, მოკლევადიანი ხელშეკრულებებით დაქირავებული ფიზიკური პირების ხელფასების ხარჯებს.

16 მიღებული მომსახურება და გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარჯი

მიღებული მომსახურება

ათასი ლარი	2025	2024
ელექტრონული ონლაინ მომსახურება	354	566
მივლინების ხარჯები	380	417
საკონსულტაციო მომსახურება	2,198	420
სოციალური მედიის ხარჯი	275	307
დაცვის მომსახურება	244	223
კომუნალური ხარჯი	109	109
დასუფთავების ხარჯი	147	131
ტელეკომუნიკაცია	40	34
საწევრო ხარჯები	27	23
სხვა ხარჯი	196	208
სულ მიღებული მომსახურება	3,970	2,438

გამოყენებული ნედლეული და მასალები

ათასი ლარი	2025	2024
სარემონტო მასალები	54	54
საწვავი	37	51
სხვა ხარჯი	6	5
სულ გამოყენებული ნედლეული და მასალები	97	110

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები

სასამართლო დავები. საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლება წარმოიქმნას სარჩელი კომისიის წინააღმდეგ. საოპერაციო ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების საფუძველზე, მიაჩნია, რომ რაიმე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელიც გადააჭარბებს იმ ანარიცხებს, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომისია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საოპერაციო ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების განხილვა. კომისიის საოპერაციო ხელმძღვანელობა აცნობიერებს კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალურ ტენდენციებს. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომისიის საქმიანობასა და მომავალ გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია.

მენეჯმენტი აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომისიის სრულუფლებიანი ოპერირების უზრუნველსაყოფად. ასევე მიიღებს ყველა

სამთავრობო ინსტრუქციას, თუ ეს ინსტრუქციები გავრცელდება იმ სექტორზე, რომლებშიც კომისია ოპერირებს.

18 ფინანსური რისკების მართვა

კომისიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომისიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი, 2025 წლის 31 დეკემბრისა და შესაძარისი პერიოდების მდგომარეობით.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომისიის სამეურნეო საქმიანობის ერთი-ერთი რისკია; ამიტომ, საოპერაციო ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდულების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას.

ლიმიტები. კომისია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის ერთ პარტნიორთან, ან პარტნიორების ჯგუფთან, გეოგრაფიულ და ინდუსტრიის სეგმენტთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. კომისიის მომხმარებლებზე დაფუძნებულ დემოგრაფიას, რომელიც მოიცავს იმ ინდუსტრიის, რომელშიც კომისია მოდგაწეობს დეფოლტის რისკს, საკრედიტო რისკზე ნაკლები გავლენა აქვს. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში. საოპერაციო ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა საკრედიტო პოლიტიკა, რისი მიხედვითაც ყველა ახალი მომხმარებელი განიხილება ინდივიდუალურად კრედიტუნარიანობაზე მანამ, სანამ მათ, კომისიის სტანდარტულ გადახდებისა და მიწოდების პირობებს არ შესთავაზებენ. კომისიის განხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, როცა ისინი ხელმისაწვდომია, და გარკვეულ შემთხვევებში საბანკო რეკვიზიტებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდულებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. კომისია მიმართავს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, რომელიც იყენებს მუდმივი მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის (შენიშვნა 10).

საბაზრო რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავალუტო რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი. კომისიას არ აქვს მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკი 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19 გაუნაწილებელი ფონდების მართვა

კომისია გაუნაწილებელ ფონდებს განკარგავს კანონმდებლობით დადგენილი საქმიანობისთვის საჭირო საოპერაციო და გრძელვადიანი აქტივების ხარჯებისთვის, რათა დააკმაყოფილოს კომისიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებები. ეს მიიღწევა ეფექტური ფულის მართვით, ძირითადად კომისიის ფულადი სახსრების ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი გეგმებით. წლის განმავლობაში არ მომხდარა რაიმე ცვლილება კომისიის გაუნაწილებელი ფონდების მართვის მიდგომებში. გაუნაწილებელმა ფონდებმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 17,352 ათასი ლარი (2024: 17,121 ათასი ლარი).

20 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება განსაკუთრებით შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადი ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). საოპერაციო ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვიდით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით მაგრამ, რომლისთვისაც, სამართლიანი ღირებულება გამოვლენილია. საოპერაციო ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომისიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უთანაბრდება მათ საბალანსო ღირებულებებს. ყველა ფინანსური აქტივი, გარდა ნაღდი ფულისა, მიეკუთვნება მე-2 დონეს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით. ნაღდი ფულის ნაშთი მინიჭებულია 1 დონეზე. "

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების დადგენილი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ვალდებულებები. დადგენილი დაფარვის ვადებით დადგენილი სამართლიანი ღირებულების ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

21 საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ისრაელსა და ირანს შორის დაპირისპირების გამწვავებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ გარემოზე. აღნიშნულმა კონფლიქტმა გამოიწვია საერთაშორისო დაძაბულობის ზრდა, რის საპასუხოდაც სხვადასხვა სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიიღეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო შეზღუდვები, რაც მიზნად ისახავს რეგიონში უსაფრთხოების შემცირებას. აღნიშნული ზომები შეიძლება აისახოს არა მხოლოდ უშუალოდ კონფლიქტში ჩართულ ქვეყნებზე, არამედ იმ კომპანიებსა და ბაზრებზე, რომლებიც მათთან ეკონომიკურ ურთიერთობებში იმყოფებიან.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული გეოპოლიტიკური ვითარება შესაძლოა გავლენას ახდენდეს საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებზე, ამ ეტაპზე რთულია ზუსტად შეფასდეს კონფლიქტის პოტენციური გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.



comcom.ge

